

## სინგაპური ალონსოსია

ფორმულა 1. სინგაპურის გრან-პრი

გვ. 16

## ყველაზე ქართული ფრანგული გუნდი გალიდერდა




გვ. 14

გოდერძი შველიძის ლელო

საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 სექტემბერი **ორშაბათი** 2010
№ 227 (13215) ფასი 60 თეთრი

## მუმლაძე გადადგა

## დარასელია: გორკედოდან დამირეკეს...

გვ. 4



გიორგი დარასელია
პაიფას მაქაბის მთავარი
მწვრთნელის ასისტენტია



თემურ მახარაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# 1:5

## მახარაძის ოლიმპი ოლიმპზე აღარ ჩანს

გვ. 2-3



## კარლოს გამჩერებელი კარლოსი



## ლიდერი იტალიაშიც დამარცხდა



## მაინცმა ბაიერნიც დააჩოქა

ევროთასები გვ. 5-11

## საქართველოს ჩემპიონატი

VII ტური

# სასწაულმოქმედი კოლხური მალამო

25.09. ფოთი. ფაზისი
1 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 5 |
| ოლიმპი | 1 |

1:0 ციცხვაია (19. გველესიანის პასით), 1:1 მოდებაძე (58. ბოლქვაძის პასით), 2:1 ციცხვაია (60. სიჭინავას პასით), 3:1 სილაგავა (69. ციცხვაიას პასით), 4:1 გვალია (81. სილაგავას პასით), 5:1 გულუა (89)

| კოლხეთი 4-5-1 | ოლიმპი 4-3-3 |
|---|---|
| გ. შენგელია | ბედიაშვილი |
| ქითანავა | ლონლაძე |
| მახვილაძე | ა. კვახაძე |
| ინწკირველი | რეხვიაშვილი |
| გველესიანი | ჯაფარიძე |
| თედიაშვილი | ქავთარაძე |
| ჯოჯუა | რაზმაძე |
| სილაგავა | გენაძე |
| სიჭინავა | დ. ბოლქვაძე |
| გვალია | ი. მოდებაძე |
| ციცხვაია | ბერიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. შეროზია | თ. მახარაძე |

**კოლხეთი**

78. ციცხვაია - **გულუა**
85. ჯოჯუა - **ცხვიტარია**
86. ქითანავა - **წიქარიშვილი**

*სათადარიგოები: სტურუა, ბუკია, გოგონაია, ექონია*

**ოლიმპი**

55. ქავთარაძე - **გ. ჭელიძე**
57. ჯაფარიძე - **ხოჭოლავა**
75. ლონლაძე - **ახალკაცი**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, უგულავა, დობროვოლსკი, ყაზაიშვილი*

გაფრთხილება: მახვილაძე (40), ჯოჯუა (45), ინწკირველი (65), გულუა (79)
არბიტრი: თ. გვანცელაძე

ჯერ სათაურზე ვთქვათ: შაბათს, „კოლხეთმა" „ფაზისზე" სასწაულების კასკადი შემოგვთავაზა და საბოლოოდ, ერთი დიდი სენსაციაც გამოაცხო, რაც საკუთარი ქომაგების გარდა გალიდერებულ „ზესტაფონსა" და „ოლიმპის" სხვა მდევრებს უთუოდ მალამოდ მოეფინებოდა.

არადა, ქვემოქართლელები ფოთს უთუოდ მოსაგებად სტუმრობდნენ - წინა დღეს თანაკუთხელი „სიონის" საჩუქარს („დინამოსთან" მოგება) თუ 3 ქულას დაუმატებდნენ, ისინი ერთპიროვნულად გალიდერდებოდნენ. თუმცა, არც ის გვგონია, **თემურ მახარაძეს** ფოთში იოლი გამარჯვება დაეგეგმა. ლიგის დებიუტანტ კოლხებს გარდა ქულების მნიშვნელობისა, ისიც უნდა დაემტკიცებინათ, რომ პირველობის სტარტზე მთლად შემთხვევით არ ეკავათ „ოლიმპის" ადგილი და ლიდერებთან თამაშიც ძალუძს, თანაც მეგრული დერბის წინ კარგი განწყობისთვის მინიმუმ ქულა მისწრება იქნებოდა.

თუმცა, როგორც გამოჩნდა, მხოლოდ ქულაზე არ ფიქრობდა კოლხთა თავკაცი **ბესიკ შეროზია**, ვინც მეტოქეს სივრცეები მოუსპო, მაგრამ ისიც არავის წარმოედგინა, ასე თუ დაჯაბნიდა ლიგის დებიუტანტი მოქმედ ჩემპიონსა და პოტენციურ ლიდერს. ამაში ერთგვარად „დამნაშავეები" თავადაც არიან - კოლხებმა მთავარი ფორვარდი **რეზო ჯიქია** არ ათამაშეს. მართალია, ნამატჩევს „ლელოს" კითხვაზე კოლხთა თავკაცმა კორექტული კომენტარი გააკეთა და ჯიქიას უთამაშებლობა ტაქტიკური მონახაზით ახსნა, თუმცა, როგორც პირადი საუბრებიდან გავიგეთ, ასეთი იყო კლუბებს შორის შეთანხმება - თავდამსხმელი ხომ „კოლხეთში" სწორედ „ოლიმპიდან" გადავიდა. მისმა „შემცვლელმა" **დავით ციცხვაიამ** კი, შეიძლება ითქვას, აანიოკა მეტოქის დაცვა - ორ გოლისა და საგოლე გადაცემის გარდა, ორი კიდევ ისეთი მომენტი ჰქონდა, 100%-იანს რომ უწოდებენ.

თამაშის დასაწყისში გუნდები ხიფათს ვერ ქმნიდნენ, თუმცა კლასში სხვაობა თვალში საცემი იყო - სტუმრები უფრო ლაღად თამაშობდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამით ხეირი არ უნახავთ - გოლამდე შექმნილი ორი ხიფათიც მასპინძლების ანგარიშზეა: ჯერ **მახვილაძემ** დაარტყა სახიფათოდ და დაცვამ მოიგერია, ხოლო შემდეგ **სიჭინავას** მეკარემ აუღო.

მე-19 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა: **გველესიანმა** ჩინებული გადაცემა გაუკეთა ციცხვაიას, ვინც მასპინძელი მცველების შეცდომით ისარგებლა, სიტუაციაშიც კარგად გაერკვა და უკვე საჯარიმოში მყოფმა **ბედიაშვილის** კარისკენ აუღებელი დაარტყა - 1:0.

ხუთიოდ წუთში მასვე შეეძლო მატჩის გმირი უკვე პირველ ტაიმშივე გამხდარიყო - ფორვარდი საჯარიმოს ხაზთან ისევ კარგად გაერკვა სიტუაციაში, კვლავ შეცდა „ოლიმპის" დაცვის ცენტრალური ზონა, თუმცა კოლხს ოსტატობამ უმტყუნა - წინ გამოსული მეკარისთვის თავზე გადაგდების ნაცვლად შეყოვნდა, დაგვიანებული დატყმული კი მცველის გავლით კუთხურზე გადავარდა. ციცხვაია პენალტსაც ითხოვდა, თუმცა ამისთვის მინიმუმ დაცემა იყო საჭირო.

28-ე წუთზე სტუმრებმა პირველად დაარტყეს მასპინძელთა კარის მიმართულებით - **ლონლაძის** ფლანგურ ჩაწოდებულზე **ბერიაშვილს** თავურით ცოტათი დაუცდა. იქვე კარგი კომბინაცია გაითამაშეს რუსთაველებმა, მაგრამ ბოლო მომენტში **ქითანავამ** ხიფათის განმუხტვა შეძლო.

მეორე ტაიმის დასაწყისშიც ხიფათს მხოლოდ კოლხები ქმნიდნენ, ოღონდ, უნდა ითქვას, რომ ამ დროსაც უფრო ლამაზ და სანახაობრივ ფეხბურთს სტუმრები თამაშობდნენ, მაგრამ ბურთისა და მოედნის დათმობის პარალელურად მასპინძლები ორგანიზებულად იცავდნენ თავს და გონივრულად უტევდნენ. ერთ ეპიზოდში **სიჭინავამ** დაარტყა შორიდან, რასაც სტუმართა კიპერი **ბედიაშვილი**, ალბათ, არ ელოდა - შედეგად, ბურთი მისი ხელიდან ძლს, შემდეგ ისევ მეკარეს და კვლავ ძელიდან კუთხურზე გადავიდა.

კიდევ ერთ წუთში კი ის დაუწერელი კანონი ამოქმედდა - არ გაიტან, იქით გაგიტანენო: კუთხურიდან **ბოლქვაძემ** მოაწოდა და ირაკლი მოდებაძემ თავურითა და დაცვის მოდუნებით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა - 1:1.

თითქოს ფსიქოლოგიური უპირატესობა სტუმრებისკენ უნდა გადასულიყო, თანაც გოლამდე 3 წუთში მახარაძემ ორი შეცვლა გააკეთა და საქმე იქითკენ უნდა წასულიყო, გამოცდილ სპეციალისტს გამარჯვებაზე ეფიქრა, მაგრამ...

გოლიდან ორ წუთში ციცხვაიამ დუბლი შეასრულა - მან სიჭინავას პასი, შეირგო ამჯერად კუთხურიდან და სტუმართა დაცვის მორიგი შეცდომად გოლად აქცია - 2:1.

ეს კი შეხვედრაში გადამწყვეტი გამოდგა - კოლხეთმა მეტოქის სისწრაფესა და სანახაობრივ თამაშს კონტრშეტევაზე აწყობილი გამართული ფეხბურთი დაუპირისპირა და შედეგი მიიღო: მეორე გოლიდან 10 წუთიც არ იყო გასული, როცა უკვე ციცხვაია მოგვევლინა საგოლე პასის ავტორის როლში - მან სიჭინავას ფლანგური გადაცემა **სილაგავას** საჯარიმოში ერთ-ერთზე გასასვლელად გაუგრძელა, თანაგუნდელმაც არ დაალალატა და ფაქტობრივად, აქ გადაწყდა მატჩის ბედი.

თუმცა სტუმრები დანებებას ასე იოლად არ ფიქრობდნენ, მათ ისედაც შეცდომებით მოთამაშე დაცვის ხაზს შეტევის გასაძლიერებლად ერთი წევრი დააკლეს, რამაც რუსთაველებისთვის საბოლოოდ კატასტროფული შედეგი გამოიღო. აქვე გეტვით, რომ მესამე გოლამდე წუთებით ადრე, სტუმარმა **ბერიაშვილმა** მწვავე კონტრშეტევისას ჩინებული რეიდი წამოიწყო, რომელიც **ინწკირველმა** ყვითელი ბარათის ხარჯზე შეაჩერა. მართალია, არბიტრს მისი გაძევებაც შეეძლო, თუმცა აღსანიშნავია, რომ კოლხმა მცველმა დიდი ხიფათისგან გადაარჩინა საკუთარი გუნდი.

აქვე გეტყვით, რომ მესამე გოლზე სტუმრები თანმასაჯს შეედავნენ და თამაშგარეს დაფიქსირებას „სთხოვდნენ".

73-ე წუთზე ჩინებულად გაისარჯა სიჭინავა, კარგადაც დაარტყა, მაგრამ ცოტათი ააცილა. რამდენიმე წუთში კიდევ ერთი გოლის გამტანი მოგვევლინა საგოლე პასის ავტორად - სილაგავას გადაცემა **გვალიამ** გამოიყენა - 4:1.

ამის შემდეგ ქვემოქართლელებმა ორიოდ ხიფათი შექმნეს, ჯერ შენგელია დროულად ჩაუვარდა პირისპირ შეყრილ მეტოქეს ფეხებში, ხოლო შემდეგ „კოლხეთი" ძელმა გადაარჩინა. ბოლო წუთზე, სტუმრები პენალტსაც ითხოვდნენ, მაგრამ სადავო სიტუაციაში, არბიტრმა თამაშის გაგრძელება ამჯობინა.

ამ დროისთვის კოლხებს უკვე მითვლილი ჰქონდათ მეხუთე გოლიც - **გულუამ** შორეულ კუთხეში ბედიაშვილს მატჩის ულამაზესი გოლი გაუტანა - 5:1.

*„ძალიან უსუსურად ვითამაშეთ, გაოგნებულები ვართ. თავიდან თითქოს კარგად დავიწყეთ, მაგრამ მეტოქემ სამართლიანად მოგვიგო, რასაც „კოლხეთს" ვულოცავ და წარმატებას ვუსურვებ. შედეგი ასახავს დღევანდელი მატჩის სურათს"* - ეს კომენტარი ნამატჩევს პრესკონფერენციაზე თემურ მახარაძის ნაცვლად მოსულმა მისმა ასისტენტმა **არმაზ ჯელაძემ** გააკეთა.

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 7 | 5 | 0 | 2 | 14 | 6 | 15 |
| 2 | დინამო | 7 | 4 | 1 | 2 | 9 | 6 | 13 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10 | 8 | 13 |
| 4 | ოლიმპი | 7 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 13 |
| 5 | კოლხეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 9 | 6 | 11 |
| 6 | სიონი | 7 | 2 | 4 | 1 | 4 | 5 | 10 |
| 7 | ბაია | 7 | 2 | 3 | 2 | 7 | 8 | 9 |
| 8 | სპარტაკი | 7 | 1 | 2 | 4 | 7 | 12 | 5 |
| 9 | სამტრედია | 7 | 1 | 1 | 5 | 8 | 14 | 4 |
| 10 | ტორპედო | 7 | 0 | 3 | 4 | 2 | 6 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მეგრელაძე (ბაია) | 5 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 4 |

| მომდევნო ტური | | |
|---|---|---|
| 28 სექტემბერი, სამშაბათი | | |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | | |
| სიონი-ზესტაფონი | | |
| 29 სექტემბერი, ოთხშაბათი | | |
| სპარტაკი-ტორპედო | | |
| ოლიმპი-სამტრედია | | |
| ბაია-კოლხეთი | | |

# ზუგდიდში ეს არავის მოეწონებოდაო...

25.09. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე.
1 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| სპარტაკი | 1 |

1:0 გუგუჩია (48-პენ), ჭიჭვეიშვილი (66. ავტოგოლი)

| ბაია 4-1-4-1 | სპარტაკი 4-4-2 |
|---|---|
| ზუხბაია | გრიშიკაშვილი |
| კვეკვესკირი | ჭაფოძე |
| ჭიჭვეიშვილი | მგელაძე |
| კვესეიშვილი | ბოიომო |
| აკობია | კორსანტია |
| გოგობერიშვილი | შ. კაშია |
| წურწუმია | შონია |
| კ. ჩხეტიანი | ხაჭვანი |
| სიხარულია | ჩალაძე |
| გუგუჩია | დეკანოიძე |
| ეხვაია | ბუზალაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | გ. ჩიქოვანი |

**ბაია**

76. სიხარულია - **ლომია**
81. ეხვაია - **ახალაია**
89. გუგუჩია - **კუკავა**

*სათადარიგოები: ზარქუა, კანდელაკი, ვართაგავა, დოლიძე*

**სპარტაკი**

30. ბუზალაძე - **კლოვისი**
65. ხაჭვანი - **ვ. ბოლქვაძე**
79. კაშია - **მაისურაძე**

*სათადარიგოები: დაუშვილი, აქუბარდია, სარალიძე*

გაფრთხილება: წურწუმია (25), კვესეიშვილი (41), კორსანტია (58), ჩალაძე (62), კუკავა (90)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

მეორე ტურია, ზუგდიდური კლუბი შინ მხოლოდ ქულას სჯერდება. ეს შეხვედრაც მასპინძელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო და ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ მაყურებელმა საკუთარი გუნდის გამარჯვება თითქოს წინასწარ ირწმუნა. გადახალისებული შემადგენლობის მიუხედავად, „ბაიას" მეტოქესთან შედარებით სერიოზული უპირატესობა ჰქონდა. პირველ ტაიმში „სპარტაკს" მოედნის ცენტრის გადალახვაც უჭირდა. **გრიშიკაშვილს** კი თავიდანვე უამრავი საქმე ჰქონდა - **ეხვაიას, გუგუჩიას, წურწუმიასა** და **აკობიას** ახლო თუ შორეულ დარტყმებს ცხინვალელთა კარის დარაჯი, ზოგჯერ დამაჯერებლად, ზოგჯერაც რის ვაი-ვაგლახით იგერიებდა.

„ბაიაში" აქტიურობით გამოირჩეოდა მცირე ტრავმის შემდეგ ძირითადში დაბრუნებული **ჩხეტიანი**, რომელიც ცხინვალელთა გოლკიპერსა და დაცვას მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. გრიშიკაშვილს არა ერთი პრობლემა შეუქმნა **კვეკვესკირი-გოგობერიშვილის** დუეტმაც, მაგრამ... მასპინძელთა ბომბარდირის **მეგრელაძის** არყოფნის გამო, საგოლე მომენტების რეალიზაცია ვერ ხერხდებოდა...

მეორე ტაიმიც „ბაიას" სწრაფი შეტევებით დაიწყო და მალევე ანგარიშიც გაიხსნა. ერთ-ერთი შეტევისას „სპარტაკის" ფეხბურთელმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და არბიტრს 11-მეტრიანზე არ უყოყმანია. პენალტი უნაკლოდ შეასრულა გუგუჩიამ და სამი ქულის მოსაპოვებლად გუნდს დიდი სტიმულიც მისცა, თუმცა... სწორედ ამის შემდეგ მოდუნდნენ „ბაიას" ფეხბურთელები, თანდათან მათ მოედნის ცენტრზე კონტროლიც დაკარგეს და დაცვაშიც არადამაჯერებლები გახდნენ.

სტუმრებმა კი მეტოქის ამგვარი მდგომარეობა სათავისოდ გამოიყენეს და 15 წუთში წონასწორობა აღადგინეს, ოღონდ, არა მასპინძელთა დახმარების (რბილად რომ ვთქვათ) გარეშე. შეცვლაზე შესულმა **ბოლქვაძემ** კუთხურიდან ისე სახიფათოდ ჩაახვია ბურთი, **ჭიჭვეიშვილმა** მოგერიების ნაცვლად საკუთარ კარში ჩაჭრა.

ამის შემდეგ ზუგდიდელები ხელახლა გააქტიურდნენ. **სიხარულიას** ზუსტი გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა გუგუჩიამ გრიშიკაშვილს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ „სპარტაკი" მცველებმა გადაარჩინეს. შემდეგ **წურწუმიას** გადაცემა ახალაიამ კინაღამ გოლით დაასრულა - ამ ეპიზოდში გრიშიკაშვილმა იყოჩაღა.

დაძაბულობამ კულმინაციას მატჩის ბოლოს მიაღწია, როცა „ბაიას" ბოლო შეტევისას გრიშიკაშვილმა **კუკავას** ბურთი პირდაპირ ფეხიდან ააცალა. ამ დროს ზუგდიდელთა შემტევის ფეხი მეკარეს სახეში მოხვდა, რამაც, ცხადია, ძლიერ გააღიზიანა და კუკავასკენ გაიწია კიდეც...

საბედნიეროდ, მცირე კონფლიქტი მალევე ამოიწურა და თამაშის განახლებისთანავე საფინალო სასტვენიც გაისმა...

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** „მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს პირველ ნახევარში აშკარად ვაჯობეთ, რასაც ვერ დავუკარგავ ფეხბურთელებს, მთავარია თამაშისთვის განკუთვნილი 90 წუთი და მსაჯის მიერ დამატებული დრო. არადა, გოლის შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა საქმე მოთავებულად მიიჩნიეს და ამის გამო დავისაჯეთ კიდეც. დავინახე გულგრილობა და ზედაპირულობა ცალკეული ფეხბურთელების მხრიდან, რასაც მომდევნო შეხვედრაში აუცილებლად მოჰყვება კორექტივები. ეს შედეგი ზუგდიდელ ქომაგებს, მით უმეტეს საკუთარ მოედანზე, ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებს. მოწინააღმდეგე გუნდს კი დამსახურებულ ქულას ვულოცავ".

**გოჩა ჩიქოვანი (სპარტაკი):** „ვერავინ იტყვის, რომ დღეს ცუდი თამაში იყო. პირველ ნახევარში მეტოქე აშკარად გვჯობდა და ამის შედეგი იყო ალბათ ის, რომ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გოლი გავუშვით. შემდეგ ჩვენც გამოვასწორეთ თამაშის ხარისხი და ანგარიშის გათანაბრებაც მოვახერხეთ. ზუგდიდში ქულის მოპოვებით ძალიან კმაყოფილი ვარ. არ ვიცი, ვინ დამეთანხმება ამ მოსაზრებაში, მაგრამ შედეგი ლოგიკურად მიმაჩნია".

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

## I ლიგა

| | | |
|---|---|---|
| სამგურალი-ლოკომოტივი | 2 | 1 |
| კოლხეთი (ხ)-ჩხერიმელა | 2 | 2 |
| გაგრა-მერცხალი | 6 | 0 |
| მეშახტე-გორი | 2 | 2 |
| მერანი-სქური | 5 | 1 |
| გურია-ჩიხურა | 2 | 3 |
| ბათუმი-ჭიათურა | 3 | 0 |
| იმერეთი-ნ/დინამო | 3 | 2 |

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გაგრა | 5 | 4 | 1 | 0 | 15 | 5 | 13 |
| 2 | მერანი | 5 | 4 | 0 | 1 | 12 | 3 | 12 |
| 3 | მეშახტე | 5 | 3 | 1 | 1 | 11 | 9 | 10 |
| 4 | სამგურალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9 | 7 | 10 |
| 5 | გურია | 5 | 3 | 0 | 2 | 13 | 12 | 9 |
| 6 | გორი | 5 | 2 | 2 | 1 | 7 | 6 | 8 |
| 7 | ჩიხურა | 5 | 2 | 1 | 2 | 6 | 9 | 7 |
| 8 | ბათუმი | 4 | 2 | 0 | 2 | 8 | 3 | 6 |
| 9 | იმერეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 6 | 7 | 6 |
| 10 | ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 6 | 5 | 5 |
| 11 | მერცხალი | 5 | 1 | 2 | 2 | 7 | 13 | 5 |
| 12 | ჩხერიმელა | 4 | 0 | 4 | 0 | 5 | 5 | 4 |
| 13 | კოლხეთი (ხ) | 5 | 0 | 4 | 1 | 4 | 5 | 4 |
| 14 | სქური | 5 | 1 | 1 | 3 | 7 | 10 | 4 |
| 15 | ნ/დინამო | 5 | 1 | 0 | 4 | 8 | 12 | 3 |
| 16 | ჭიათურა | 5 | 1 | 0 | 4 | 3 | 12 | 3 |
| 17 | ადელი | 4 | 0 | 1 | 3 | 4 | 8 | 1 |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# უარი... პროგნოზებს!

ტურის ნინათქმაშიც ვწერდით, რომ ხუთიდან სულ მცირე 3 შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს-თქო; გადატვირთულ კალენდარზეც გავამახვილეთ ყურადღება და კონკრეტული გუნდის ნანატრი გამარჯვების (ამ გუნდის ერთგული ქომაგების მსგავსად) გარდა, არ დავმალავთ, „სხვა“ მოლოდინიც გვქონდა! ცხრილში მოსალოდნელ რამდენიმე გადაადგილებას ვგულისხმობდით, ჩვენს ჩემპიონატს უფრო მეტ ინტრიგას რომ მისცემდა...

სინამდვილეში კი, მართლაც, უცნაურზე-უცნაური ტური იყო: 2 მეტად ხმაურიანი სენსაციით, 1 არანაკლებ მოულოდნელი შედეგით, ზემოთ ნახსენები კონკრეტული გუნდის კვლავაც ვერმოგებითა და მხოლოდ და მხოლოდ 1 ლოგიკური შედეგით! იმის გარდა, რომ ახალი სეზონის ყველაზე შედეგიანი ტური იყო (14 გოლი გავიდა), ცხრილში ერთდროულად... 9 გადაადგილება მოხდა და მხოლოდ ერთი გუნდი დარჩა იმ ადგილზე, შაბათ-კვირამდეც რომ იმყოფებოდა; რაც მთავარია, ჩემპიონატს ახალი ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს და, ალბათ, იმაშიც უნდა შევთანხმდეთ, რომ „ზესტაფონის“ საჩემპიონო ამბიციებზე მეტად მისი უშუალო კონკურენტების სუსტი ასპარეზობაა გასაკვირი თუ მოულოდნელი.

და ბოლოს, პროგნოზებზეც: როგორც ჩანს, ბუნდესლიგისა და პრემიერლიგის მსგავსად, საქართველოს ჩემპიონატშიც წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს კონკრეტულ წყვილში ფავორიტსა და აუტსაიდერს. თანაც, ჩვენს თამაშებზე ცნობილი ბუქმეიქერული კანტორის Bwin-ის კოეფიციენტების გამოქვეყნება, რაღა მაინცდამაინც ამ ტურიდან დავიწყეთ?!

## ლოგიკა თუ სენსაცია?

როგორც იცით, ტური ორდღიანი იყო და ვიდრე „ზესტაფონის“ გალიდერებასა და „დინამოს“, ცოტა არ იყოს, მოულოდნელ მარცხზე ვისაუბრებდეთ, არანაკლებ დამაინტრიგებელ შეხვედრას კიდევ ერთხელ გვინდა დავუბრუნდეთ. იმ შეხვედრას, რომლის დასრულების შემდეგაც სტუმართა გუნდის მრავალრიცხოვანი ქომაგები დამწუხრებულ-იმედგაცრუებულნი რომ ტოვებდნენ რუსთავის „ფოლადის“ სტადიონს.

ისე, მართლაც უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ამ სეზონში „ტორპედო“ შედეგებით ვერ დაიკვეხნის, თორემ გულშემატკივრების სიმრავლით საქმე მართლაც საამაყოდ აქვს. ახლაც, „ვიტ ჯორჯია“-„ტორპედოს“ შეხვედრა სტუმართა გუნდის ისეთი აქტიური ქომაგობის ფონზე მიმდინარეობდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიტუაცია არის ხოლმე ქუთაისელთა საშინაო მატჩებზე...

...ნავსი ვერც ახლა გატყდა: 7 ტურის შემდეგ „ტორპედო“ კვლავაც ერთადერთ მოუგებელ გუნდად და, ამ გუნდის ქომაგთათვის რაც ყველაზე უფრო საწყენია, სატურნირო ცხრილის გამოკვეთილ აუტსაიდერად რჩება! ვფიქრობთ, უკვე ზედმეტია იმ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება, ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე „ტორპედოსთან“ დაკავშირებით რომ ვსაუბრობთ.

როგორ გგონიათ, ამ არცთუ უმნიშვნელო ასპექტს ასეთ მნიშვნელობას მხოლოდ ჩვენ ვანიჭებთ? ამ გუნდის ხელმძღვანელები, მთავარი მწვრთნელი, ფეხბურთელები, გულშემატკივრები, - ყველას საერთო აზრი აქვს, რომ საკმარისია 1 მატჩის მოგება და მერე, ალმავლობაც დაიწყებაო. თუმცა სწორედ „იმ 1 მატჩის“ მოგების დრო აღარ დადგა: აშკარად სახეშეცვლილი შემადგენლობით მოასპარეზე „ტორპედოს“ მონდომება ნამდვილად არ დაეწუნებოდა, მაგრამ მაინც წააგო! ამ მატჩისადმი მიძღვნილ რეპორტაჟშიც ვწერდით და კვლავაც გავიმეორებთ: მეტოქის კარის წინ მყოფი ფეხბურთელი 2-3 მეტრიდან გოლს რომ ვერ გაიტანს, პრობლემა მხოლოდ ფსიქოლოგიური წნეხი არ უნდა იყოს...

მოკლედ, „ტორპედოს“ ფეხბურთელთა უმრავლესობის საშემსრულებლო ოსტატობის ნაკლებობაზე ვსაუბრობთ: სულ მცირე, ორ-სამ ეპიზოდში ერთობ ხელსაყრელი პოზიციიდან უჩვეულოდ არაზუსტად ან ასევე უჩვეულოდ სუსტად რომ ურტყამდნენ; ჰო, ვინმემ, შესაძლოა, უიღბლობაც „შეგვახსენოს“: **თენგიზ ჩიკვილაძის** „საფირმო“ შორეული დარტყმა „ვიტ ჯორჯიას“ კარის ძელს მოხვდა; მაგრამ, თავის მხრივ, დაახლოებით ასეთი მომენტი ხომ „ვეტერინარებსაც“ ჰქონდათ, როცა შეცვლაზე შემოსულმა ახალგაზრდა **ბექა ზაქრაძემ** „მოჭრილი“ დარტყმით ბურთი „ტორპედოს“ კარის ხარიხას გაარტყა. ანუ, „ტორპედოს“ მორიგი წარუმატებლობა მხოლოდ ფატალური უიღბლობის ბრალი არ ყოფილა; თანაც, მასპინძლებმაც აბსოლუტურად სწორი ტაქტიკა აირჩიეს და დღესაც იმ აზრზე ვრჩებით, რომ **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდის გამარჯვება ლოგიკური შედეგი უფრო იყო, ვიდრე მოულოდნელობა.

არაფერს ვამბობთ **ბესიკ ჩიმაკაძის** მართლაც გოლ-შედევრზე: **ჯაბა ლიპარტიას** ეფექტური პასის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ ცენტრფორვარდმა ყველაფერი (ბურთის მკერდზე მიღება, ბურთიანად მეტოქის საჯარიმოში შესვლა, მეტად მახვილი კუთხიდან ძლიერად და ზუსტად დარტყმა) ისე შეასრულა, ევროპული დონის ბევრ ფორვარდს რომ შეშურდებოდა. სხვათა შორის, ამ გამარჯვებით „ვიტ ჯორჯია“ მესამე ადგილზე გადავიდა - ესეც, ამ სეზონის ერთ-ერთი მთავარი, ოღონდ, „ტორპედოს“ ასპარეზობისგან განსხვავებით, აშკარად სასიამოვნო მოულოდნელობა!

## ვენდოთ თუ არა სტატისტიკას?

სტატისტიკას მართლაც ნურავინ მიენდობა: ტურის წინათქმაშიც ვწერდით, რომ ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში თბილისის „დინამოსთვის“ ყველაზე სასურველი მეტოქე ბოლნისის „სიონი“ იყო. თავად განსაჯეთ: „დინამოსა“ და „სიონს“ შორის პარასკევამდე ჩატარებული 41 შეხვედრიდან ბოლნისელებს მხოლოდ და მხოლოდ... 3 მატჩი ჰქონდათ მოგებული! „სიონმა“ თავისთვის მართლაც უხერხული მეტოქის დამარცხება 2004 წელს მოახერხა, როცა მთავარ მწვრთნელად **თემურ მახარაძე** მუშაობდა, ხოლო მისი ასისტენტი **გიორგი ყიფშიძე** გახლდათ; იმ წლის შემდეგ „სიონმა“ **კოკა მიკუჩაძის** ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით მეორედ რომ დაამარცხა, გუნდს **კახა ცხადაძე** წვრთნიდა, ხოლო ასისტენტად კვლავაც გიორგი ყიფშიძე მუშაობდა...

შარშან „სიონმა“ თბილისში მოუგო „დინამოს“ და ქვემოქართლური გუნდის სამწვრთნელო შტაბში კვლავაც მახარაძე-ყიფშიძის „დუეტი“ მოღვაწეობდა. და აი, 15-წლიანი დაპირისპირების განმავლობაში „სიონის“ მეოთხე გამარჯვებაც ვნახეთ ჩვენ ყველაზე ტიტულოვან კლუბთან და კვლავაც გიორგი ყიფშიძის უშუალო მონაწილეობით: ბოლნისურ გუნდს „დინამოსთან“ მატჩში სწორედ „ყიფილო“ ხელმძღვანელობდა. აქვე, „სიონის“ მთავარი მწვრთნელის, ახალგაზრდა და დებიუტანტი სპეციალისტის **გიორგი ყიფიანის** უდიდესი დამსახურებაც უნდა აღვნიშნოთ: დისკვალიფიკაციის გამო სათადარიგოთა სკამზე ვერ იჯდა, თორემ „დინამოსთან“ გუნდი ხომ მან მოამზადა.

ძლიერ მეტოქესთან ბოლნისური გუნდის გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, „სიონის“ თითქმის ყველა ფეხბურთელის აქტიური და მონდომებული თამაში იყო (სხვათა შორის, ყოველივე ეს დამარცხებულთა თავკაცმა **კახა კაჭარავამაც** აღნიშნა მატჩის დასრულების შემდეგ). განსაკუთრებით კი „სიონის“ ნახევარმცველები, **ლაშა ვაშაკიძე** და **ვლადიმერ უგრეხელიძე** გვინდა გამოვარჩიოთ, 90 წუთის განმავლობაში მეტოქეს უამრავი თავსატეხი რომ შეუქმნეს.



სიონი-დინამო 1:0




მასპინძელთა წარმატებაში არანაკლები წვლილი მიუძღვის **მინდია ბობლიაშვილსაც**: ბოლნისელთა მეკარე მართლაც გამორჩეულ სეზონს ატარებს და ნამდვილად არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ უმაღლეს ლიგაში ყველაზე ნაკლები გოლი სწორედ „სიონს“ აქვს გაშვებული. შეგახსენებთ, რომ „სიონმა“ ზედიზედ ორი გასვლითი შეხვედრიდან (ზუგდიდიდან და ქუთაისიდან) საჭირო ქულები წამოიღო, ახლა კი ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „დინამოსაც“ მოუგო, - გუნდი აშკარად ალმავლობის გზაზეა და თუ ასე გააგრძელა, ვინ იცის, მომავალში იქნებ უფრო მეტი ამბიციაც გაუჩნდეს...

...ჩემპიონატს კი ახალი ლიდერი ჰყავს: „ზესტაფონმა“ მეხუთე ცდიდან მეხუთედ შეძლო ფინანსურად შეჭირვებული „სამტრედიის“ დამარცხება. „იმერული დერბი“ ქომაგთა დიდ ინტერესს რომ გამოიწვევდა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდებოდა და ასეც მოხდა: 2000-მდე ქომაგი გახდა სტუმართა დამაჯერებელი გამარჯვების მოწმე. სხვათა შორის, ამ შეხვედრამდე „ზესტაფონი“ ქულებს მხოლოდ საკუთარ მოედანზე ასპარეზობისას აგროვებდა და სტუმრად ორივე მატჩი წაგებული ჰქონდა. და აი, ნავსი გატყდა: ამ პირველი საგარეო გამარჯვებითა და... კონკურენტების წაფორხილების შედეგად **გია გეგუჩაძის** გუნდი ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერად მოგვევლინა! აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ყოველივე ეს კანონზომიერებად მიგვაჩნია...

## უცნაური შაბათი

პარასკევს დაწყებული მოულოდნელობები შაბათსაც გაგრძელდა; ყოველ შემთხვევაში, „კოლხეთი“-„ოლიმპისა“ და „ბაია“-„სპარტაკის“ მატჩები ისეთი შედეგებით დასრულდა, რბილად რომ ვთქვათ, არაპროგნოზირებადზე მეტი იყო. აბა, „ოლიმპის“ ასეთ ფიასკოს ვინ მოელოდა? ცნობისათვის: კლუბის ოთხწლიანი არსებობის განმავლობაში სარეკორდო წაგება წინა სეზონში იყო, როცა ბოლო ტურში, უკვე ჩემპიონის რანგში მყოფმა უმოტივაციო „ოლიმპმა“ ექსპერიმენტული შემადგენლობით იასპარეზა „სპარტაკთან“ და 1:4 წააგო. და აი, უფრო დიდი სხვაობით წაგებაც, რაც „ოლიმპს“ ერთპიროვნული ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა (ეგ კი არა, დამატებითი მაჩვენებლებით **თემურ მახარაძის** გუნდი მეოთხე ადგილამდე დაქვეითდა). სხვათა შორის, ვერც ისეთ შეხვედრას ვიხსენებთ, თემურ მახარაძის გაწვრთნილ გუნდებს უკანასკნელ დროს როდის წაუგიათ ოთხბურთიანი სხვაობით...

...დამარცხებულ გუნდზე ვსაუბრობთ და ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ჩემპიონატში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნებულმა **ირაკლი მოდებაძემ** პირველი გოლი გაიტანა, ხოლო **რომან ახალკაცმა** „ოლიმპის“ შემადგენლობაში პირველად იასპარეზა.

თუმცა ყველაფერი ეს მართლაც „მეორეხარისხოვან მოვლენად“ უნდა შეფასდეს... მასპინძელთა დამაჯერებელ ასპარეზობასთან შედარებით! ვერაფერს ვიტყვით: **ბესიკ შეროზიამ** მართლაც ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა, სადაც გამოცდილ ფეხბურთელებთან (**მიხეილ მახვილაძე, ალექსანდრე ინწკირველი, ოლეგ გველესიანი**) ერთად ერთი-მეორეზე პერსპექტიული ახალგაზრდებიც ჩინებულად ირჯებიან. „ოლიმპის“ კარში „დუბლის“ ავტორი **დავით ციცხვაია** 21 წლის გახლავთ, ამ შეხვედრაში ასევე თავგამოჩენილი **ლაშა გვალია** და **ლევან გულუა** 18-19 წლის ბიჭები არიან, მათზე შედარებით გამოცდილ **გიორგი სილაგავამაც**, როგორც იტყვიან, თავის გუნდს მიაგნო.

„კოლხეთის“ კიდევ ერთი ლიდერიც არ დაგვავიწყდეს: 21 წლის **დათა სიჭინავა** წინა სეზონშიც შთამბეჭდავად თამაშობდა და სასიხარულოა, რომ უმაღლეს ლიგაშიც სრულად ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს. სიჭინავამ ძლიერ მეტოქესთან პაექრობაში ორი საგოლე პასი მიითვალა და საერთოდაც, ამ შეხვედრის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ.

...„ოლიმპის“ წაგებისა არ იყოს, „ბაიას“ საშინაო ფრეც მოულოდნელობად უნდა შევაფასოთ. გასაგებია, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მასპინძლებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდს სათადარიგოთა სკამის პრობლემა ნამდვილად არა აქვს. თუმცა, ჩემპიონატის წინ ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულმა „ბაიამ“ ბოლო სამ შეხვედრაში მხოლოდ 2 ქულა მოაგროვა! თუმცა, ნურც „სპარტაკის“ ფეხბურთელებს დავუკარგავთ გარჯას: სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ბევრად ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ „ბაიას“ და ესოდენ საჭირო და ფასეული ქულაც წამოიღეს ზუგდიდიდან.

**გია ტუხაშვილი**

***P.S.* როგორც ცნობილი გახდა, „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა რამაზ მუმლაძემ თანამდებობა დატოვა. მის ნაცვლად „ტორპედოს“ გია გიგატაძე გაუძღვება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# ყენიას ვერ რისკავენ

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ მატჩებს საქართველოს ნაკრები 8 და 12 ოქტომბერს გამართავს - ჯერ მალტას უმასპინძლებს, 4 დღის შემდეგ კი რიგაში ლატვიას ეთამაშება. ეროვნული გუნდის თავკაცი **თემურ ქეცბაია** ამ თამაშებისთვის გამოძახებულთა სიას დღეს გამოამზეურებს. ნაკრების შემადგენლობასთან დაკავშირებით გარკვეული დეტალები ჩვენთვის ცნობილი გახდა.

შეგახსენებთ, რომ დისკვალიფიკაციის გამო **უჩა ლობჟანიძე** მალტასთან 8 ოქტომბრის მატჩს გამოტოვებს, ლატვიაში კი თამაშის უფლება ექნება, ამიტომ, არ არის გამორიცხული, დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" მცველი ქეცბაიას სიაში მაინც ვიხილოთ. ჩვენი ინფორმაციით, ქეცბაია კვლავ გამოიძახებს ჰოლანდიური „ვიტესის" მცველ **გურამ კაშიას,** რომელიც გუშინაც სასტარტო შემადგენლობაში იყო, ხოლო სადებიუტო მატჩის შემდეგ ჰოლანდიაში ჩინებული პრესა ჰქონდა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ ითამაშებს ლობჟანიძის არყოფნაში მარჯვენა მცველად, ამ პოზიციაზე „რუბინის" უკანახაზელი **ლაშა სალუქვაძეც** უნდა მოვიაზროთ და როგორც გავიგეთ, ქეცბაიას სიაში ისიც იქნება.

რუსეთში მოასპარეზე ლეგიონერებიდან ეროვნულში კვლავ იქნებიან მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი **მალხაზ ასათიანი**, დედაქალაქური „სპარტაკის" შემტევი **ჯანო ანანიძე,** ნალჩიკის „სპარტაკიდან" ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** და თავდამსხმელი **დავით სირაძე,** „რუბინიდან" კი მარცხენაფლანგელი **დავით კვირკველია**. ამათ გარდა, შემადგენლობაში იქნებიან ინგლისური „რედინგის" მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი,** კაპიტანი **კახა კალაძე** („ჯენოა"), **ლევან კობიაშვილი** („ჰერტა"), **ალექსანდრე იაშვილი** („კარლსრუე"), თურქული „ქაისერისფორიდან" მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** და სერბული „ვოივოდინას" შემტევი ნახევარმცველი **გიორგი მერებაშვილი.** მეკარეთა ტრიო კვლავ უცვლელი იქნება - **ნუკრი რევიშვილი** („ანჟი"), **გიორგი ლორია** („დინამო"), **გრიგოლ ბედიაშვილი** („ოლიმპი")...

რაც შეეხებათ ეროვნული ჩემპიონატიდან გამოძახებულებს, აქ ორი გუნდიდან სამ-სამი ფეხბურთელია - ლორიას გარდა, თბილისის „დინამო" ნაკრებში მიავლენს ნახევარმცველ **ალექსანდრე კოშკაძესა** და გამოჯანმრთელებულ ფორვარდ **მათე ვაწაძესაც.** „ზესტაფონიდან" მათ დაემატებიან - პლეიმეიკერი **თორნიკე აფციაური,** ფორვარდი **ნიკოლოზ გელაშვილი** და საყრდენი ნახევარმცველი **მურთაზ დაუშვილი.**

რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს „შალკეს" ნახევარმცველ **ლევან ყენიას** საკითხი. ის ახლა ბევრად უკეთაა და გელზენკირხენელთა მეორე გუნდში ვარჯიშობს კიდეც, მაგრამ გასაკვირი არ არის, რომ ფიზიკური კონდიციების მხრივ ჯერჯერობით ვერ იქნება შესაფერის დონეზე. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნაკრების მწვრთნელები საოქტომბრო მატჩებისთვის ყენიას გამოძახებას არ გარისკავენ.

თუმცა წელს მან ეროვნულ გუნდში შეიძლება მაინც ითამაშოს. 17 ნოემბერი ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი თარიღია და მის გამოყენებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც ცდილობს. შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით ორი სპარინგმატჩის ჩატარების ვარიანტი განიხილება და ისიც გასვლაზე. საქართველოს ნაკრების მასპინძლობა ბელარუსს სწადია, თითქოს უკეთესია პეკინიდან მოსული წინადადებაც - 5-6 დღით ჩინეთში მომზადება და 2 ამხანაგური შეხვედრა. ქართულმა მხარემ ჩინელებს კონკრეტული მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით მზაობა დაუდასტურა. ჯერჯერობით, პეკინიდან სხვა შეტყობინება არ მოსულა...

**დავით ცაბაძე**

ტორპედო

## გიორგი დარასელია:
# ტორპედოდან დამიკავშირდნენ...

ქუთაისის „ტორპედოს" ხელმძღვანელები ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებენ. პარასკევს რუსთავში „ვიტ ჯორჯიასთან" წაგების (0:1) შემდეგ, **რამაზ მუმლაძემ** მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.

2007/08 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელმა „ტორპედოში" ცნობილი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი მიიყვანა. გუნდმა მოსამზადებელ ეტაპზე 14 საკონტროლო შეხვედრა გამართა, არც ისე ურიგო ფეხბურთი აჩვენა და გულშემატკივართა იმედებიც საფუძვლიანი ჩანდა, მაგრამ... საჩემპიონო დავას ვინ ჩივის, 7 ტურის შემდეგ „ტორპედოს" მოგება არ აქვს და ცხრილის ფსკერიდან თავის დახსნას ცდილობს.

სხვა გვერდზე წაიკითხავდით - მუმლაძე „ტორპედოს" დუბლების მთავარმა მწვრთნელმა **გია გიგატაძემ** შეცვალა. გიგატაძე ამ ფუნქციას გასულ სეზონშიც ასრულებდა და „ტორპედო" უმაღლეს ლიგაში **გიორგი სუხიაშვილსა** და **იასონ ბზიკაძესთან** ერთად დააბრუნა.

როგორც გავიგეთ, მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ის დროებით შეასრულებს. კლუბის მეპატრონეებმა ახალი მთავარი მწვრთნელის ძებნა დაიწყეს. ჩვენი ინფორმაციით, მათი წარმომადგენელი ჰაიფას „მაქაბის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტ **გიორგი დარასელიას** დაუკავშირდა. ინფორმაციის გადასამოწმებლად თავად გიორგის დავუკავშირდით:

*„ქუთაისის „ტორპედოდან" მართლა დამიკავშირდნენ, მაგრამ არა ხელმძღვანელები, არამედ - მათი წარმომადგენელი. ეს პიროვნება დაინტერესდა - რამე რომ იყოს, ჩვენთან არ იმუშავებდიო? მე ჩემი სამუშაო პირობები ვუთხარი და ლაპარაკიც ამით დასრულდა. ეს იყო წინასწარი მოლაპარაკება და მეტი არაფერი. კონკრეტული არც პასუხი მითქვამს და არც წინადადება ყოფილა"*, - გვითხრა გიორგი დარასელიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# დღეს ჩეხეთში: იბერია ფავორიტის სტატუსით

დღეს უეფას ფუტსალის თასის გათამაშების ძირითადი ეტაპი იწყება. როგორც იცით, ტურნირში საქართველოს ჩემპიონი „იბერია სტარიც" მონაწილეობს. მასთან ერთად, ჯგუფიდან გასვლას იმედოვნებენ ჩეხური „ერაპარკი", ბელარუსული „მაპიდი" და უნგრული „დიორი ეტო". მატჩები ჩეხურ ქალაქ ხრუდიმში გაიმართება.

„იბერია" პრაღაში გუშინ გამთენიისას ჩაფრინდა, იქიდან კი დანიშნულების ადგილზე ავტობუსით გაემგზავრა. იბერიელებმა გუშინ სალამოსვე ივარჯიშეს. დღეს ჩვენი დროით 19 საათზე პირველი მატჩია - საქართველოს ჩემპიონის მეტოქე უნგრული გუნდია, რომელიც ძირითად ეტაპზე კვალიფიკაციაში გამარჯვების შემდეგ მოხვდა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში მიღწეული შედეგის წყალობით „იბერია" საკვალიფიკაციო ეტაპიდან გათავისუფლებული იყო.

ჩვენი გუნდი მომდევნო შეხვედრას ხვალ, იმავე დროს, მინსკელებთან გამართავს, 30 სექტემბერს კი ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩს მასპინძლებთან ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორი საუკეთესო გადის. ფავორიტებად საქართველოსა და ჩეხეთის ჩემპიონები მიიჩნევიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები




ლადო დვალიშვილი (მარჯვნივ)

# დვალიშვილის გადამწყვეტი პენალტი
## შაშიაშვილი გამოჩნდა და კუპერთან დამარცხდა

**ზურაბ ხიზანიშვილმა** პირველი მატჩი ითამაშა ახალ სეზონში (საკლუბო შეხვედრებს ვგულისხმობთ), ის „ბარნსლისთან" სასტარტო შემადგენლობაში იყო, მაგრამ მეორე ტაიმის შუაწელს მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა. საოცარია, მაგრამ „რედინგმა" სწორედ ამის შემდეგ გაუტანა სამი უპასუხო გოლი „ბარნსლის". **ბრაიან მაკდერმოტმა** განაცხადა, რომ ქართველი მცველის გაძევებამ ერთ მუშტად შეკრა გუნდი. თავად ზურას თამაშით მაკდერმოტი... აღფრთოვანებულია: *„ხიზანიშვილის გაძევების შემდეგ გუნდი გამოფხიზლდა, მაყურებელიც გვერდში დაგვიდგა. მეორე ყვითელი ბარათის ეპიზოდი კიდევ ერთხელ ვნახე და დავრწმუნდი, რომ ჯარიმაც არ იყო. მაგრამ გაპროტესტებას აზრი არა აქვს, ქართველი „იფსვიჩთან" მატჩს გამოტოვებს. ჩემი აზრით, ხიზანიშვილმა ბრწყინვალედ ითამაშა, ის მაღალი კლასის ფეხბურთელია"*.

ფრანგულ ლიგა 2-ში „ლე მანი" „დიჟონს" 2:2 დაუზავდა. **გიორგი მაკარიძე** კვლავ სათადარიგო იყო, კარს კი ისევ **დიდიე ოვონო** იცავდა. „ლე მანი" 10 ქულით მე-10 ადგილზეა.

**მათე ღვინიანიძეს** „მიუნხენი" „აუგსბურგს" ესტუმრა და 2:1 აჯობა, მათემ 90 წუთი ითამაშა ცენტრალური მცველის პოზიციაზე. ბავარიულ დერბიში ქართველ ლეგიონერს „შპორტალმა" 3 ბალი დაუწერა. გაგაცნობთ **ლევან კობიაშვილის** (3,5 ბალი) და **ალექსანდრე იაშვილის** (5) შეფასებებსაც, რომელთაც პარასკევს ითამაშეს. „ჰერტა" 16 ქულით ლიდერობს, „მიუნხენი" 10 ქულით მერვეა, „კარლსრუე" (7 ქულა) - მე-12.

**კახა კალაძეს** თბილი დახვედრა მოუწყვეს „მილანში", ფეხბურთელებმაც და გულშემატკივრებმაც, რომელთაც ბანერიც გადმოკიდეს „გმადლობთ, კალაძე", თუმცა „ჯენოას" მწვრთნელმა კვლავ არ ათამაშა ქართველი და ის სათადარიგოთა სკამზე დატოვა. „მილანმა" 1:0 მოუგო ქართველის ახალ გუნდს. სერია B-ში „ემპოლის" რიგებში პირველად გამოჩნდა სასტარტოში **ლევან მჭედლიძე,** მისმა გუნდმა 1:0 მოუგო „გროსეტოს". ქართველი ფორვარდი მე-2 ტაიმის მე-19 წუთზე შეცვალეს. ლევანმა კვლავ საგოლე პასი მიითვალა, ისევ თავით. „ემპოლი" 10 ქულით მე-5 ადგილზეა.

რაც **გურამ კაშია** „ვიტესში" გადავიდა, არათუ აღარ აგებს, გოლსაც არ უშვებს. გურამმა როტერდამში „ექსელსიორის" წინააღმდეგ 90 წუთი ითამაშა, „ვიტესმა" კი 2:0 მოიგო. ისე, „გოლმა" ჩვენებურს ყველაზე დაბალი შეფასება, 5,5 ქულა დაუწერა.

რუსულ პრემიერლიგაში **მალხაზ ასათიანის** „ლოკომოტივმა" ქართველი მცველის გარეშე (დისკვალიფიცირებულია) უმასპინძლა **ლევან გვაზავას** „ტერეკს" და 2:1 დაამარცხა. საინტერესოა, რატომ შეიკავა თავი ქართული პასპორტის მიღებისგან, კლუბში მაინც არ ათამაშებენ და ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენით უფრო საინტერესო წინადადებას მიიღებდა. „ლოკომოტივთან" შეხვედრაშიც გროზნოელთა ქართველი ნახევარმცველი სათადარიგო იყო.

ნალჩიკის „სპარტაკმა" სტუმრად მოსკოვის „დინამო" გაანადგურა - 3:0. 85-ე წუთზე **გოგიტა გოგუას** ნაცვლად მოედანზე **დავით სირაძე** გამოვიდა. *„დინამოს" დამარცხება ჩვენი ალმასვლის ერთ-ერთი ეტაპია. წინ „ზენიტთან" თამაშია და ქულები მასთანაც უნდა მოვიპოვოთ. ხუთეულში შესვლა ისევ რჩება ჩვენს მიზნად"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ გოგუამ.

„რუბინმა" „ალანიას" მინიმალური ანგარიშით სძლია - 1:0. **ლაშა სალუქვაძე** და **დავით კვირკველია** სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ. შეგახსენებთ, რომ წინა დღეს სალუქვაძემ დუბლებში ითამაშა.

„რუბინი" 46 ქულით მეორეა, ნალჩიკის „სპარტაკი" 36 ქულით მეოთხეა, „ლოკომოტივი" 30 ქულით - მე-7.

უკრაინულ ვიშალიგაში მე-11 ტურის მატჩები გაიმართა. **ვასილ გიგიაძის** „ტავრიამ" 3:1 დაამარცხა **სანდრო გურულის** „კარპატი". ორივე ჩვენებური მეორე ტაიმის დასაწყისში გამოვიდა მოედანზე. „დნიპრომ" ვერ მოუგო „კრივბასს" - 1:1. **უჩა ლობჟანიძემ,** ჩვეულებისამებრ, 90 წუთი ითამაშა, ხოლო სტუმართა რიგებში ტრავმის გამო არ გამოჩენილა ექსდნიპროელი **სანდრო კობახიძე. დიმიტრი ტატანაშვილის** „მეტალურგი" პოლტავას ესტუმრა და „ვორსკლასთან" 1:2 დამარცხდა, ტატანაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, 57-ე წუთზე მისი პასით **ვლადიმირ არჟანოვმა** გაიტანა (წინა ტურში პირიქით მოხდა). **გიორგი გაბედავას** „ილიჩევეცმა" 4:2 მოუგო „სევასტოპოლს". გაბედავა სათადარიგო იყო.

უნგრულ შოპრონილიგაში „დიორი ეტო" 0:1 დამარცხდა „ზალაეგერშეგისთან". სეზონში პირველად მოხდა, რომ „ეტოს" შემადგენლობაში სამმა ჩვენებურმა ითამაშა. **გიორგი განუგრავამ** (5 ბალი) და **რატი ალექსიძემ** (4) 90-90 წუთი ითამაშეს. **თეიმურაზ შარაშენიძე** 54-ე წუთზე შევიდა. **ვახტანგ ფანცხავას** „ვაშაში" შინ „ფენერცვაროშთან" 1:3 დამარცხდა. ფანცხავა 70-ე წუთზე გამოჩნდა.

ისრაელის ლიგატ ჰაალში **ლადო დვალიშვილის** პენალტით მოიგო ჰაიფას „მაქაბიმ". ვიცე-ჩემპიონმა სტუმრად 3:2 მოუგო „ბნეი იეჰუდას", ქართველმა გადამწყვეტი პენალტი 74-ე წუთზე შეასრულა. „მაქაბი" 4 თამაშიდან 10 ქულით მე-2 ადგილზეა.

თურქეთში საინტერესო მატჩი გველოდა - **შოთა არველაძე** „ტრაბზონის" წინააღმდეგ. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, მატჩი კი 0:0 დასრულდა. „ქაისერი" 11 ქულით მე-5 ადგილზეა.

საბერძნეთში **გიორგი შაშიაშვილი** გამოჩნდა, რომლის „ერგოტელისი" სტუმრად **ექტორ კუპერის** „არისთან" დამარცხდა - 0:1. გიორგიმ შეუცვლელად ითამაშა.

უფრო დაბალი დონის ლიგებში გოლებით თავი გამოიჩინეს: **შოთა ჯიქიამ, გიორგი კრასოვსკიმ** (სომხეთი), **ოთარ მარცვალაძემ** (რუსეთი, I დივიზიონი), **ლევან ქებაძემ** (კვიპროსი) და **გიორგი ჩიხლაძემ** (ლატვია).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბურთით ზურაბ ხიზანიშვილი

ესპანეთი

ლა ლიგა. V ტური

# ასჯერ დაარტყი და ერთხელ გაიტანეო...

თავისი „ერკულესი“ ყოველ გრანდს ჰყავს, „სამეფო კლუბისთვის“ ასეთი - ესპანური პრიმერას უსუსტესი კლუბი (სპეციალისტთა შეფასებით) „ლევანტე“ გამოდგა. მართალია, **ჟოზე მოურინიო** წაუგებლად „გამოძვრა“, მაგრამ „რეალმა“ ლიდერობა სეზონის სენსაცია „ვალენსიას“ გადააბარა...

V ტურის ცენტრალური მატჩით დავიწყოთ, „სან მამესზე“ ბილბაოს „ატლეტიკი“ ჩემპიონს მასპინძლობდა. **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი კვლავ დაშავებული **ლეო მესის** გარეშე ასპარეზობდა. ამ თამაშში გადამწყვეტი მომენტი 34-ე წუთზე დადგა, როცა **ფერნანდო ამორებიეტა ანდრეს ინიესტას** ეუხეშა და მასპინძელთა გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა. ვფიქრობთ, ვალენსიელმა არბიტრმა **მატეუ ლაოსმა** გადაამეტა, ყვითელი ბარათი ბასკთა ცენტრალური მცველისთვის უფრო ადეკვატური სასჯელი იქნებოდა. ამით „ბარსელონას“ ამოცანა გაუიოლდა და მეორე ტაიმში მიზანსაც მიაღწია.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე **დავიდ ვილიას** გამჭოლი პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა **სეიდუ კეიტამ** გახსნა ანგარიში, ხოლო ოციოდე წუთში **ჩავის** საჯარიმოს სიახლოვედან დარტყმული გზად ბასკთა მცველს მოხვდა და რიცხობრივ უმრავლესობაში მყოფი „ბარსელონა“ 2:0 დაწინაურდა. სამ წუთში დავიდ ვილიას შეეძლო ბრძოლისთვის წერტილის დასმა, მაგრამ ფორვარდმა დუელი ვერ მოუგო **გორკა ირაისოსს**.

„ატლეტიკმა“ მაინც გაიბრძოლა, თამაშის დასრულებას ბევრიც აღარაფერი უკლდა, როცა ვილია გააძევეს, მსოფლიოს ჩემპიონმა სილა გააწნა **კარლოს გურპეგის**, მას შემდეგ, რაც ბასკი ნახევარმცველი იდაყვით ეუხეშა „ელ გუახეს“. მასპინძლები შტურმზე წავიდნენ და **იგორ გაბილონდომ** „ბარსას“ საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ერთი გოლი გაქვითა. მასპინძლები უკვე მთელი გუნდით გადავიდნენ იერიშებზე და დაისაჯნენ კიდეც, **სერხიო ბუსკეტსმა** მაღალ შორეულ კუთხეში გაუტანა „ატლეტიკს“. ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა კოკისპირულ წვიმაში და არასტუმართმოყვარე „სან მამესზე“ მესის გარეშე მოიპოვა სამი ქულა - 3:1.

*„მინდა მადლობა ვუთხრა ბიჭებს, მათ სული და გული „სან მამესზე“ დატოვეს. „ბარსელონა“ ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ ამორებიეტას გაძევებამ მეტოქეს საქმე გაუიოლა. არ ვარ დარწმუნებული, რომ ფერნანდო წითელ ბარათს იმსახურებდა. აუცილებლად ვნახავ ამ ეპიზოდს კიდევ ერთხელ. ისე, როცა ფეხბურთში კარგად გათვითცნობიერებული 40 ათასი კაცი ინიესტას უსტვენს, ეს რაღაცას აუცილებლად ნიშნავს. ვილია ისეთ დროს გააძევეს, რომ ველარ შევძლებდით მატჩის გადარჩენას, ჩვენ მაინც შევეცადეთ და „ბარსელონას“ მესამე გოლიც ლოგიკურად გავუშვით“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ **ხოაკინ კაპაროსმა.**

*„აქ მოპოვებულ სამ ქულას სხვა ფასი აქვს, მით უფრო ასეთ პირობებში. თამაშით და შედეგით კმაყოფილი ვარ. ძალიან მეწყინა, რომ პუბლიკამ ანდრესს უსტვინა, თუმცა გულშემატკივარი თავისუფალია არჩევანში, მას შეუძლია ტაში დაუკრას ან უსტვინოს, ამაში არაფერია საგანგაშო“*, - ეს უკვე გამარჯვებულთა თავკაცის სიტყვებია.

დავიდ ვილიამ პროფესიული კარიერის 8 სეზონში მე-5 წითელი ბარათი მიიღო, ბოლოს ის 2008/09 წლების სეზონში „რიასორზე“ გააძევეს.

„სიუტატ დე ვალენსიაზე“ მოურინიოს ბიჭებმა ვერაფერი მოუხერხეს „ლევანტეს“ დაცვას, რომელმაც წინა 4 ტურში 10 გოლი გაუშვა (ყველაზე მეტი ჩემპიონატში). მართალია, „რეალი“ სულ უტევდა (**იკერ კასილიასის** კარში ერთი დარტყმაც არ წასულა), მაგრამ არავინ იყო, ვინც შეძლებდა **მანუელ რეინას** კარის აღებას. თავდამსხმელთა კრიზისი „სამეფო კლუბში“ სახეზეა. შესაძლოა, ჟოზეს **კრიშტიანო რონალდოს** წინ გადასროლა დასჭირდეს მომავალ თამაშებში. საოცარ უუნარობას ამჟღავნებს „რეალის“ გასული სეზონის ბომბარდირი **გონსალო იგუაინი** - შაბათს მან 4 მეტრიდან „ლევანტეს“ კარს გადააცილა ბურთი, რაც უფრო რთულად შესასრულებელი იყო, ვიდრე გატანა. შემდეგ **ანხელ დი მარიამ** ძალა ვერ დაატანა დარტყმულს და რეინამაც აუღო. ამ ეპიზოდში არგენტინელს ბრწყინვალე პასი **რონალდომ** გადააწოდა, რომელსაც I ტაიმში ორჯერ შეეძლო გატანა. ტაიმის მიწურულს იგუაინმა გაიტანა... მაგრამ თამაშგარე მდგომარეობიდან.

მეორე ტაიმში „რეალი“ „ლევანტეს“ ნახევარზე „დასახლდა“, სტუმრები ბევრს ურტყამდნენ და აწოდებდნენ, მაგრამ მეტოქეს ვერა დააკლეს. ვერც მოურინიოს მიერ შემოყვანილმა **ქარიმ ბენზემამ და პედრო ლეონმა** გააწყვეს რამე სტუმართათვის სახეირო. 78-ე წუთზე ამ ორმა კარგი კომბინაცია კი გაითამაშა, მაგრამ ბენზემა იგუაინს „არ ჩამორჩა“ და ახლო მანძილიდან ააცილა კარს. მართალი იყო მოურინიო, სეზონის წინ რომ ამბობდა, ფორვარდი მჭირდებაო, მაგრამ **ფლორენტინო პერესმა** არსებული რესურსით დაკმაყოფილება ურჩია. ხუთ თამაშში „რეალმა“ მეტოქეთა კარში 105-ჯერ დაარტყა და მხოლოდ 6 გოლი გაიტანა, ლა ლიგაში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

ხიხონში „ვალენსიამ“ მეტოქეს სალამი არ აცალა, მე-10 წუთზე „ლოს ჩე“ უკვე 2:0-ს იგებდა და ამის შემდეგ არც არაფერი შეცვლილა. **უნაი ემერიმ** ექსპერიმენტებს მიმართა 4-4-2 სქემით ითამაშა და შეტევაში ერთდროულად **სოლდადოსა და ადურისის** დუეტი დააყენა, მათ უკან კი **ფერნანდეში** ათამაშა. მე-3 წუთზე სტუმრებმა (ფერნანდეში) კუთხური ჩამოაწოდეს და **მეჰმეთ თოფალმა** „ვალენსიას“ მაისურით პირველი გოლი თავურით გაიტანა. **ხუან მატამ** მარცხენა ფლანგიდან გადააწოდა სოლდადოს, რომელიც „სპორტინგის“ მცველებს უმეთვალყურეოდ დარჩათ და ფორვარდმაც ახლო მანძილიდან გაიტანა.

*„ელ მოლინონზე“ გამარჯვებას დიდი გამოცდილება სჭირდება. ვფიქრობ, ვისწავლეთ სტუმრად მოგებები. რაც მთავარია სამი ქულა ჩვენია. თუმცა კარგი იქნება, რომ ბურთის კონტროლი უკეთ ვისწავლოთ“*, - განაცხადა ლიდერის თავკაცმა უნაი ემერიმ.

### მომდევნო ტური

2 ოქტომბერი. **სარაგოსა-სპორტინგი, სოსიედადი-ესპანიოლი, ვალენსია-ბილბაო.**
3 ოქტომბერი. **ალმერია-მალაგა, ხეტაფე-ერკულესი, ოსასუნა-ლევანტე, სევილია-ატლეტიკო, ვილიარეალი-რასინგი, ბარსელონა-მალიორკა, რეალი-დეპორტივო.**

### ლევანტე-რეალი 0:0

**ლევანტე (4-2-3-1):** რეინა - სერა, ბალესტეროსი, ნანო, დელ ორნო - სერხიო, ხ. ტორესი - მუნიოსი, ნ. გონსალესი (48. რ. სუარესი), ხუანლუ (85. ნადალი) - სტუანი (66. რ. ხორდა).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, რ. კარვალიო, ს. რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - რონალდო, იოზილი (61. ბენზემა), დი მარია (61. პ. ლეონი) - იგუაინი.

**გაფრთხილება:** სერა, დელ ორნო, ხორდა, ბალესტეროსი, მუნიოსი-დი მარია, რამოსი

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 4-25 (0-6); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 22 000

### სპორტინგი-ვალენსია 0:2

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, კანელია - ეგურენი (78. ს. ალვარესი), რივერა - ლ. მორანი (36. ბარალი), დე ლას კუევასი, დ. კასტრო - სანგოი (68. ბილიჩი).

**ვალენსია (4-4-2):** სესარი - ბრუნო, რ. კოშტა, დ. ნავარო, ალბა - პ. ერნანდესი, თოფალი, ფერნანდეში, მატა (70. ფეგული) - ადურისი (60. სოლდადო), სოლდადო.

**გოლები:** 0:1 თოფალი (7), 0:2 სოლდადო (10)

**გაფრთხილება:** ეგურენი, გრეგორი, ბარალი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 7-6; **კარში დარტყმა:** 10-8 (1-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 17 000

### ბილბაო-ბარსელონა 1:3

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, აურტენეჩე - ხ. მარტინესი, ორბაისი (46. ოსიო) - გურპეგი, ი. მარტინესი (46. დე მარკოსი), გაბილონდო - ლორენტე (67. იტურასპე).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, ადრიანო (46. მაქსველი) - ჩავი (81. კრკიჩი), ბუსკეტსი, კეიტა - ინიესტა (81. ტ. ალკანტარა), ვილია, პედრო.

**გოლები:** 0:1 კეიტა (54), 0:2 ჩავი (73), 1:2 გაბილონდო (89), 1:3 ბუსკეტსი (91)

**გაფრთხილება:** აურტენეჩე - პიკე

**გაძევება:** ამორებიეტა (34), ვილია (87)

**კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 9-6; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 11-25 (4-10); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 40 000

### ესპანიოლი-ოსასუნა 1:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ამატი (89. დ. ლოპესი), რუისი, დიდაცი - დუშერი (57. მოლინა), მარკესი - ლ. გარსია, ვერდიუ, კალეხონი - ა. ვასკესი (75. ოსვალდო).

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - დამია, ლოლო, ფლანიო, მონრეალი - ხუანფრანი (32. რუპერი), პუნიალი, სორიანო, კამუნიასი - არანდა (32. ხოსეჩო), პანდიანი (85. ლეკიჩი).

**გოლი:** 1:0 ა. ვასკესი (24)

**გაფრთხილება:** დუშერი, ვერდიუ - დამია, ლოლო, პუნიალი

**გაძევება:** ლოლო (21)

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 7-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 26-7 (7-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 23 000

### დეპორტივო-ალმერია 0:2

**დეპორტივო (4-2-3-1):** მანუ - მ. პაბლო, ლოპო (46. ზე კასტრო), კოლოტო, რინდაროი - როდრიგესი, პერესი - დეზმარე (32. ვალერონი), ლასადი, გუარდადო - ადრიანი (70. დიონი).

**ალმერია (4-3-3):** დ. ალვეში - მასედო, კ. გარსია, აკასიეტე, ხუანმა ორტისი - მ'ბამი, ბერნარდელო, კორონა - პიატი (90. ხოსე ორტისი), უჩე (61. ულოა), კრუსატი (79. ვალერი).

**გოლები:** 0:1 უჩე (4), 0:2 უჩე (18)

**გაფრთხილება:** ადრიანი, კასტრო - მ'ბამი, კორონა

**გაძევება:** კოლოტო (42)

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 20-11; **თამაშგარე:** 0-9; **კარში დარტყმა:** 15-15 (7-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 000

### მალიორკა-სოსიედადი 2:0

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - რატინიო, ნუნიეში (29. რუბენი), რამისი, კევინი - ნსუე (59. ჟოაო ვიქტორი), დე გუზმანი, მარტი, კასტრო - ვიქტორი (77. პერეირა), კავენაგი.

**სოსიედადი (4-4-1-1):** ბრავო - მარტინესი, ანსოტეგი, მ. გონსალესი, დე ლა ბელა - ჩ. პრიეტო (84. ვიკერა), არანბურუ (64. ხ. ლორენტე), რივასი, გრიზმანი (77. სუტილი) - ზურუტუზა - ტამუდო.

**გოლები:** 1:0 კავენაგი (5), 2:0 კავენაგი (62)

**გაფრთხილება:** რუბენი, რამისი - გრიზმანი, ზურუტუზა

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 17-9; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 15-13 (6-3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 11 000

### რასინგი-ხეტაფე 0:1

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - ფრანსისი, ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - კენედი (69. მუნიტისი), ციოლისი, კოლსა (74. ლასენი), ადრიანი (59. არანა) - როსენბერგი, ნაუელპანი.

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - მ. ტორესი, დიასი, მარკანო, მანე - ბოატენგი, ვ. სანჩესი - რიოსი, პარეხო (87. ბორხა), მანუ (81. მოსკერა) - მიკუ (86. კოლუნგა).

**გოლი:** 0:1 ვ. სანჩესი (16)

**გაფრთხილება:** ფრანსისი, კენედი, როსენბერგი, კოლსა, ლასენი - მიკუ, ტორესი, მარკანო

**გაძევება:** როსენბერგი (90)

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 21-14; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 15-9 (5-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 14 000

### ერკულესი-სევილია 2:0

**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - კორტესი, პასი, პამარო, პენია - ფრიტცლერი, აგილარი - კიკო (84. რუფეტე), ტ. გომეში, დრენტე (76. სენდოა) - ტრეზეგე (73. პორტილიო).

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - დაბოლ ალექსისი, ესკუდე, ფ. ნავარო - ზოკორა (75. გუარენტე), რომარიკი - ალფარო (54. პეროტი), აკოსტა (55. ნეგრედო), კაპელი - ლ. ფაბიანო.

**გოლები:** 1:0 ტრეზეგე (21), 2:0 ტრეზეგე (38)

**გაფრთხილება:** [illegible] - დაბო

**კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 21-12; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 7-15 (3-5); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 21 000

### ატლეტიკო-სარაგოსა 1:0

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - პერეა, გოდინი, დომინგესი, ფელიპე ლუიში - რეიესი, ასუნსაო, ტიაგო (62. მ. სუარესი), სიმაო - დ. კოშტა (81. ვალერა), ფორლანი (74. აგუერო).

**სარაგოსა (4-2-3-1):** ლ. ფრანკო (25. დობლასი) - ლანძარო (65. ბერტოლო), იაროშიკი, კონტინი, ობრადოვიჩი - გაბი, კევინი (46. ს. პონგოლე) - პონსიო, ანდერი, ლაფიტა - მ. პერესი

**გოლი:** 1:0 დ. კოშტა (20)

**გაფრთხილება:** პერეა, ტიაგო, ასუნსაო, დე ხეა, აგუერო, ვალერა - პონსიო, ლანძარო, კონტინი

**გაძევება:** კონტინი (60)

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12-19 (4-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 35 000

### მალაგა-ვილიარეალი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 9-3 | 13 |
| 2. ბარსელონა | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| 3. რეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 11 |
| 4. ატლეტიკო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| 5. ვილიარეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 6. ესპანიოლი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-8 | 9 |
| 7. სევილია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 8. ბილბაო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 9. ხეტაფე | 5 | 2 | 1 | 2 | 8-8 | 7 |
| 10. ერკულესი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-3 | 7 |
| 11. მალიორკა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 12. მალაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 9-8 | 6 |
| 13. ალმერია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 14. ოსასუნა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |
| 15. რასინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| 16. სპორტინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 4 |
| 17. ლევანტე | 5 | 1 | 1 | 3 | 4-10 | 4 |
| 18. სოსიედადი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 19. დეპორტივო | 5 | 0 | 3 | 2 | 2-5 | 3 |
| 20. სარაგოსა | 5 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |

**ბომბარდირები:** 4 - ნილმარი (ვილიარეალი); 3 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), დიეგო ფორლანი (ატლეტიკო), რაულ ტამუდო (სოსიედადი).

### სეგუნდა დივიზიონი

### V ტური

**ხერესი-ტენერიფე 2:0**

გოლები: 1:0 მარი (20), 2:0 კორდერო (27)

**ალბასეტე-ბეტისი 2:1**

გოლები: 1:0 ტატო (28), 1:1 კასტრო (38), 2:1 კუევასი (78)

**რაიო ვალეკანო-უესკა 4:0**

გოლები: 1:0 არმენტეროსი (19), 2:0 ბორხა (46), 3:0 კოკე (82), 4:0 პიტი (90)

გაძევება: კორონა (76. უესკა)

**ლას პალმასი-გრანადა 1:1**

გოლები: 1:0 გონსალესი (60), 1:1 კალვო (78)

გაძევება: გეიხო (69. გრანადა)

**ხირონა-ვილიარეალი 2:3**

გოლები: 1:0 ჩეჩუ (2), 2:0 დესპოტოვიჩი (37), 2:1 კორია (45), 2:2 კაბრერა (86), 2:3 აირამი (90)

**კარტახენა-კორდობა 1:2**

გოლები: 0:1 უსერო (18), 1:1 ტოჩე (26), 1:2 უსერო (52)

გაძევება: კალა (64. კარტახენა), ბეობიდე (88. კორდობა)

**ელჩე-ვალიადოლიდი 2:2**

გოლები: 0:1 გუერა (43), 1:1 მატეო (47), 1:2 ალონსო (82-პენ), 2:2 პელეგრინი (90)

გაძევება: კაბალიერო (79. ელჩე)

**ბარსელონა B-ნუმანსია 1:0**

გოლი: 1:0 ნოლიტო (12)

**სელტა-ხიმნასტიკი 1:0**

გოლი: 1:0 დე ლუკასი (7)

**პონფერადინა-უელვა 1:1**

გოლები: 1:0 საისარი (45), 1:1 მორა (90)

გაძევება: აკუნია (78. უელვა)

**სალამანკა-ალკორკონი 1:1**

გოლები: 1:0 ხუანხო (36), 1:1 სანსი (90)

გაძევება: ექტორი (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალეკანო | 5 | 5 | 0 | 0 | 12-4 | 15 |
| 2. ბარსელონა B | 5 | 4 | 0 | 1 | 8-7 | 12 |
| 3. ბეტისი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-5 | 12 |
| 4. სელტა | 5 | 4 | 0 | 1 | 10-5 | 12 |
| 5. ლას პალმასი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-4 | 11 |
| 6. სალამანკა | 5 | 3 | 2 | 0 | 6-3 | 11 |
| 7. ვალიადოლიდი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 8. ხერესი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 9. ვილიარეალი B | 5 | 3 | 0 | 2 | 9-9 | 9 |
| 10. ალკორკონი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 11. ალბასეტე | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 12. ელჩე | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 13. კარტახენა | 5 | 2 | 0 | 3 | 10-7 | 6 |
| 14. ხირონა | 5 | 2 | 0 | 3 | 10-11 | 6 |
| 15. კორდობა | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| 16. გრანადა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 17. ხიმნასტიკი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-6 | 3 |
| 18. ნუმანსია | 5 | 1 | 0 | 4 | 5-8 | 3 |
| 19. პონფერადინა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-10 | 2 |
| 20. უელვა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-9 | 2 |
| 21. უესკა | 5 | 0 | 2 | 3 | 1-8 | 2 |
| 22. ტენერიფე | 5 | 0 | 0 | 5 | 3-11 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - ქუინი (ალკორკონი); 4 - ხავი გუერა (ვალიადოლიდი), კალე (ვალიადოლიდი), ტოჩე (კარტახენა), დავიდ როდრიგესი (სელტა).

პორტუგალია. ლიგა საგრეში. VI ტური

# მოურინიო? არა, ვილას-ბოაში!



ანდრე ვილას-ბოაში

10 თამაში ახალ სეზონში (ჩემპიონატი, სუპერთასი, ევროთასები) და 10 მოგება - ასეთია, 33 წლის (!) სპეციალისტის **ანდრე ვილას-ბოაშის** (ზუსტად ასეთი გვარსახელის ფეხბურთელი თამაშობს „მარიტიმუში“) შედეგი „პორტუში“. ახალი მოურინიო, ეს ვილას-ბოაშის მეტსახელია, „პორტუს“ თავკაცი, რომელიც გუნდის რამდენიმე ფეხბურთელზე ახალგაზრდაა, არა მარტო სათამაშო დისციპლინით და ნიჭით ჰგავს „განსაკუთრებულს“, არამედ გარეგნობითაც. ვილას-ბოაში ციდან არ ჩამოვარდნილა - ისიც **ბობი რობსონის** აღზრდილთაგანია, ჟოზე მოურინიოს ის თან დაჰყავდა ყველგან, სადაც წავიდა (ასისტენტად), ხოლო შარშანდელი სეზონის წინ ვილას-ბოაშმა გადაწყვიტა, რომ დამოუკიდებლადაც შეუძლია გუნდის გაძღოლა. ბოლო ადგილზე მყოფი „აკადემიკა“ ჩაიბარა, რომელსაც ერთი მოგებაც არ ჰქონდა, სეზონის ბოლოს „აკადემიკა“ მე-11 ადგილზე გავიდა.

შაბათს მშობლიურ „დრაგაუზე“ ანდრე ვილას-ბოაშის გუნდმა ალგარვეს „ოლანენშეს“ 2:0 მოუგო. „პორტუმ“ სეზონში საუკეთესო ტაიმი ითამაშა, როცა არგენტინელი **ნიკოლას ოტამენდისა** და ბრაზილიელი **ჰალკის** გოლებით დაწინაურდა.

ჩემპიონმა „ბენფიკამ“ მადეირაზე „მარიტიმუს“ 1:0 აჯობა. ერთადერთი გოლი კონტრშეტევაზე **ფაბიო კოენტრაუმ** გაიტანა.

### ბრაგა-ნავალი 3:1

გოლები: 1:0 მოსორო (27), 2:0 სალინი (51-საკ. კარში), 3:0 სეზარი (81), 3:1 ჟუნიორი (89)

### აკადემიკა-გიმარაეში 3:1

გოლები: 1:0 მელო (53), 1:1 ედგარი (55), 2:1 სუგუ (80), 3:1 ლაიონელი (90)

### მარიტიმუ-ბენფიკა 0:1

გოლი: 0:1 კოენტრაუ (58)

### პორტუ-ოლანენშე 2:0

გოლები: 1:0 ოტამენდი (23), 2:0 ჰალკი (45)

### ლეირია-რიუ ავე 1:0

გოლი: 1:0 კარლაუ (პენ)

### პორტიმონ.-ბეირა მარი 1:0

გოლი: 1:0 პენია (52)

### სპორტინგი-ნასიონალი 1:1

გოლები: 1:0 სალეირო (64), 1:1 დანიელსონი (79)

**სეტუბალი-ფერეირა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 6 | 6 | 0 | 0 | 13-2 | 18 |
| 2. აკადემიკა | 6 | 3 | 2 | 1 | 12-7 | 11 |
| 3. ბრაგა | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 4. გიმარაეში | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 11 |
| 5. ბენფიკა | 6 | 3 | 0 | 3 | 9-6 | 9 |
| 6. ოლანენშე | 6 | 2 | 3 | 1 | 4-3 | 9 |
| 7. სპორტინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| 8. ლეირია | 6 | 2 | 2 | 2 | 3-3 | 8 |
| 9. ფერეირა | 5 | 1 | 4 | 0 | 6-5 | 7 |
| 10. პორტიმონენშე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 11. ნასიონალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 12. სეტუბალი | 5 | 1 | 3 | 1 | 1-3 | 6 |
| 13. ბეირა მარი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-6 | 6 |
| 14. ნავალი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| 15. მარიტიმუ | 6 | 0 | 2 | 4 | 2-6 | 2 |
| 16. რიუ ავე | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - ჰალკი (პორტუ); 4 - მოდუ სუგუ (აკადემიკა); 3 - სილვესტრ ვარელა (პორტუ), ოსკარ კარდოსო (ბენფიკა), მარსელო ტოსკანო (გიმარაეში).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# მაინცმა ბაიერნის მოიგელა!

## ვან გაალი: ამ გუნდს ჩემპიონობა შეუძლია!

უკვე აღარ ვიცით, რა ეპითეტები ვიხმაროთ „მაინცზე“ წერისას. თავიდან ამ გუნდის გამარჯვებები სენსაცია იყო, მერე პატარა სასწაული, დიდი სასწაული და ახლა? **თომას ტუხელის** ბრწყინვალე გუნდმა მეექვსე თამაშიც მოიგო და თანაც სად? მიუნხენში, „ალიანს არენაზე“ და ისევ შესანიშნავი ფეხბურთით! თავს ზემოთ ძალა აღარაა - ეპითეტები და შეფასება თქვენზე იყოს, „მაინცის“ საგიჟეთს, რაც გინდათ, ის დაარქვით.

ჯერ **სამი ალაგუიმ**, მერე კი **ადამ შალაიმ**, რეკორდმაისტერს ისეთი გოლები გაუტანეს, იშვიათი სილამაზისაა, რომ ვამბობთ ხოლმე. მაინცელთა მორიგი გრანდიოზული წარმატების თავი და თავი კი ისევ ახალგაზრდა **ლუის ჰოლტბი** გახლდათ - „შალკედან“ არენდით აყვანილი გამთამაშებელი. **ფელიქს მაგათს** ეს ბიჭი არ სჭირდებოდა, გაანათხოვრა და თავად **მანუელ ხურადოში** 15 მილიონი ევრო გადაიხადა. ხურადო თავის საქმეს ხუთიანზე ვერ აკეთებს, ჰოლტბი კი „მაინცში“ „დაფრინავს“.

ახალგაზრდა პლეიმეიკერმა მე-15 წუთზე გენიალური პასით მოძებნა ალაგუი, რომელიც იოლად დაუძვრა ბავარიელთა ცენტრალურ მცველებს, **ვან ბუიტენსა და ბადშტუბერს**, რომლებიც იმ მომენტში რალაცაზე ოცნებობდნენ და **ჰანს-იორგ ბუტს** ქუსლით ულამაზესი გოლი გაუტანა - ზუსტად ისეთი, როგორიც **ალესანდრო დელ პიერომ** შეუგდო 1997 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში დორტმუნდის „ბორუსიას“. მერე იყო **ბო სვენსონის** უილბლო ავტოგოლი და ეს იმ დროს, როცა ბავარიელებს კარში ერთი დარტყმაც კი არ ჰქონდათ და როცა ყველას ეგონა, რომ „მაინცი“ უკან დაიხევდა და მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე დაიწყებდა ზრუნვას, ტუხელის გუნდმა შეტევები არ შეწყვიტა და საქმე ბოლომდე მიიყვანა: უნგრელი შალაის გოლიც (საფინალო სასტვენამდე 13 წუთით ადრე) ისეთი იყო, ავ თვალს რომ არ დაენახვებოდა.

„ბაიერნისთვის“ „ვერდერთან“ და „კიოლნთან“ საშინაო ფრეებიც (ორივე 0:0) წარუმატებლობად ჩაითვალა და „მაინცთან“, თანაც საკუთარ მოედანზე განცდილი კრახი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რეკორდმაისტერის შეფებს განგაშის ზარებისთვის შემოკრათ. **ვან გაალმა** პირდაპირ თქვა, საქმე ძალიან ცუდადაა, მენეჯერმა **კრისტიან ნერლინგერმა** კი დასძინა, პირველიდან ბოლო წუთამდე ამაზრზენად ვითამაშეთო. ფაქტია ისიც, რომ **რობენისა** და **რიბერის** გარეშე (ორივე ტრავმირებულია) მიუნხენელებს უბრალოდ არაფერი გამოსდით. სამაგიეროდ, ვან გაალი „მაინცითაა“ აღფრთოვანებული. კითხვაზე, რას უწინასწარმეტყველებს ლუისი ტუხელის გუნდს, ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ასეთი პასუხი გასცა: *„ეს გუნდი 1998 წლის „კაიზერსლაუტერნს“ მაგონებს. „მაინცს“ შეუძლია, გახდეს გერმანიის ჩემპიონი!“*

შეგახსენებთ, რომ 1998 წელს „ლაუტერნი“ ბუნდესლიგის დებიუტანტი იყო და გერმანიის ყველა დროის ყველაზე სენსაციური ჩემპიონობა იზეიმა. „ბილდის“ კორესპონდენტმა იმავე კითხვით „მაინცის“ თავკაცა ტუხელსაც მიმართა. *„ჩემგან ამ კითხვაზე პასუხს ვერ მიიღებთ!“* - მკაცრად უპასუხა კარნავალელთა 37 წლის დამრიგებელმა. ფაქტი კი ის არის, რომ თუ ტუხელი ასე გააგრძელებს, „მაინცის“ ჩემპიონობა მართლაც რეალური გახდება. ახალგაზრდა სპეციალისტმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა, „კიოლნთან“ მოგებულ მატჩთან (2:0) შედარებით, ძირითადი შემადგენლობის ხუთი (!) ფეხბურთელი შეცვალა და ისევ მოიგო, თანაც ამჯერად მიუნხენში! *„ალიანს არენაზე“ გამარჯვება განსაკუთრებული შემთხვევაა. ბიჭებს ახლა ორი დღე დავასვენებ. დასვენება მეც მჭირდება,“* - თქვა „მაინცის“ დამრიგებელმა. „ბაიერნი“ კი სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში (ბაზელთან) ითამაშებს...

„მაინცს“ ფეხდაფეხ მისდევს დორტმუნდის „ბორუსია“, სადაც იაპონური „ოსაკადან“ 350 000 ევროდ ნაყიდი თინეიჯერი **შინჯი კაგავა** ბრწყინავს. იაპონელმა ფლეიმეიკერმა გოლი „ზანკტ პაულისაც“ (3:1) გაუტანა და ახლა მის ანგარიშზე უკვე 4 გატანილი ბურთია. სულ კი, „დორტმუნდს“ 16 გოლი აქვს გატანილი და 6 ტურის შემდეგ, 15 ქულა დააგროვა, რაც ამ გუნდის უდიდეს ისტორიაში სარეკორდო სტარტს ნიშნავს. მაგრამ BVB-ს ეს ყველაფერი გალიდერებისთვის არ ეყო, რადგან „მაინცი“ უფრო დიდ სასწაულებს სჩადის. დორტმუნდელთა მწვრთნელი **იურგენ კლოპი** კი მაინც ბედნიერია, რადგან „მაინციც“ მისი გუნდია - იურგენი კარნავალელებს 2001-დან 2008 წლამდე წვრთნიდა და იქ საკულტო ფიგურაა.

*„მაინცის“ წარმატებები ძალიან მიხარია და სხვათა შორის, ჩვენს ბოს მიხაელ ცორკს 50 ევროზე დავენაძლევე, რომ „მაინცი“ „ბაიერნს“ მოუგებდა,“* - თქვა კლოპმა, რომელმაც ფულიც მოიგო და თამაშიც. ისიც ვთქვათ, რომ ექსშალკელმა **ჯერალდ ასამოამ** და „ბორუსიას“ მეკარე **რომან ვაიდენფელერმა** ისევ იჩხუბეს (გეხსომებათ, რაც მოხდა მათ შორის 2007 წელს, რურის დერბის დროს). მატჩის შემდეგ ასამოამ სარკაზმით თქვა, რომანისთვის ხელის ჩამორთმევა მინდოდა, ჩვენ ხომ კარგი მეგობრები ვართო. ვაიდენფელერმა კი დასძინა: *„ზანკტ პაულიში“ მარტო ორი გოლი მქონდა, ბრემენში და ემერსი,“* - ორივე ყოფილი დორტმუნდელი.



ეს წუთია, მაინცის უნგრელმა ფორვარდმა ადამ შალაიმ მიუნხენის ალიანს არენა დაადუმა

შაბათს საღამოს, ჩრდილოეთის რიგით 93-ე დერბიში კი გოლების ცვენა და ნერვების წყვეტა იყო. ბრემენელები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ „ჰამბურგმა“ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, თუმცა სტატუს-კვო დიდხანს ვერ შეინარჩუნა, რადგან 85-ე წუთზე **უგო ალმეიდამ ვესლის** პასით გამარჯვების მშვენიერი გოლი გაიტანა. ამრიგად, „ჰამბურგმა“ ზედიზედ მეოთხე თამაში ვერ მოიგო, ცხრილში უკან დაიხია და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეემ** საფინალო სასტვენის შემდეგ პირდაპირ დაადო ხელი ფეხბურთელს, რომელსაც წარუმატებლობას აბრალებს: ეს „უბედური“ კი **პიოტრ ტროხოვსკი** აღმოჩნდა. ფეემ ეს უკანასკნელი მოედანზე მე-80 წუთზე შეუშვა და სწორედ ტროხოვსკიმ დაკარგა ის ბურთი, რომელიც მერე ალმეიდამ გაიტანა. ფეემ ტროხოვსკი არც პრესკონფერენციაზე დაინდო, ბურთი ძალიან უაზროდ დაკარგა, არადა მოედანზე ახალი შესული იყო და მის საქციელს გამართლება არ აქვს, შრომა მთელ გუნდს წყალში ჩაუყარაო. ხმა კაპიტანმა **ჰაიკო ვესტერმანმაც** აიმაღლა, 2:2-ის შემდეგ ფაქტობრივად ჰარაკირი გავიკეთეთო. ბრემენში კი შვებით ამოისუნთქეს - **თომას შაფის** გუნდს 7 ქულა აქვს, „ვერდერმა“ ცხრილის მისთვის შეუფერებელ ქვედა ზონას თავი დააღწია.

**რაულს** ზუსტად 600 წუთი დასჭირდა იმისათვის, რომ „შალკეს“ მაისურით ოფიციალურ შეხვედრაში (ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ლიგა) პირველი გოლი გაეტანა, მაგრამ გელზენკირხენულ კლუბს არც რაულის და არც **ჰუნტელაარის** გოლები არ ეყო იმისათვის, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსია“ დაემარცხებინა. მიზეზი: „შალკეს“ დაცვაში ისევ „ორპირი ქარია“. შარშან „ხუმარები“ საშუალოდ მატჩში 0.9 გოლს უშვებენ, წელს კი ეს რიცხვი ორამდე გაიზარდა! არადა, „გლადბახი“ ის გუნდია, ვისზეც უნდა გვეფიქრა, რომ ვისაც არ დაეზარებოდა, ყველა გადაუვლიდა - **მიხაელ ფრონტცეკის** გუნდი ბოლო სამ ტურში ხომ ამაზრზენად გამოიყურებოდა (0:4 „აინტრახტთან“, 0:7 „შტუტგარტთან“, 1:2 „ზანკტ პაულისთან“). „შალკე“ კი სულაც 0:2-ს აგებდა და 2:2-ითაც კმაყოფილი უნდა იყოს. **ფელიქს მაგათი:** *„პირველი ტაიმი საშინელება იყო, მეორე ნახევრით კი კმაყოფილი ვარ და წესით, თამაში უნდა მოგვეგო. მიხარია, რომ რაულმა გოლი გაიტანა. ეს მისთვის დიდი შვებაა და ზუსტად ვიცი, რომ ახლა უკვე სულ სხვანაირად ათამაშდება“.*

ვნახოთ...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

1 ოქტომბერი. **ჰანოვერი-ზტ. პაული.** 2 ოქტომბერი. **ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი, მაინცი-ჰოფენჰაიმი, ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი, ფრაიბურგი-კიოლნი, ნიურნბერგი-შალკე.** 3 ოქტომბერი. **შტუტგარტი-აინტრახტი, ლევერკუზენი-ვერდერი, ბორუსია (დ)-ბაიერნი.**

### თურქეთი

### სუპერლიგა. VI ტური

**ქონია-ქარაბიუქი 2:2**

**გოლები:** 1:0 ლეიტავა (1), 1:1 ჩერნატი (15), 1:2 იოზმერთი (52), 2:2 გრაიჩარი (68)

**ბურსა-ბუკა 1:0**

**გოლი:** 1:0 ჩიმშირი (4)

**გენჩლერი-ანკარაგიუჯუ 1:0**

**გოლი:** 1:0 შმელცი (45-პენ)

**ბეშიქთაში-ანთალია 2:1**

**გოლები:** 1:0 ბობო (55), 1:1 ტიტა (68), 2:1 ბობო (90)

**ესქიშეჰირი-გაზიანთეფი 0:1**

**გოლი:** 0:1 ქურთულუში (20)

**ქაისერი-ტრაბზონი 0:0**

**გაძევება:** კაჩარი (79. ტრაბზონი)

**გალათასარაი-ბუიუქი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბაროში (5), 2:0 ბაროში (13-პენ), 3:0 ბაროში (41), 3:1 ტუმი (66)

**მანისა-სივასი 3:0**

**გოლები:** 1:0 სიმპსონი (14), 2:0 სიმპსონი (89), 3:0 სიმპსონი (90)

**ქასიმფაშა-ფენერბაჰჩე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურსა | 5 | 5 | 0 | 0 | 8-1 | 15 |
| 2. ბეშიქთაში | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 13 |
| 3. გალათასარაი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| 4. ტრაბზონი | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 5. ქაისერი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-3 | 11 |
| 6. ქარაბიუქი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 7. ბუიუქი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-8 | 9 |
| 8. ანთალია | 6 | 2 | 2 | 2 | 6-9 | 8 |
| 9. გენჩლერი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-7 | 8 |
| 10. ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 1 | 2 | 11-8 | 7 |
| 11. ანკარაგიუჯუ | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 12. გაზიანთეფი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 13. ქონიასპორი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 |
| 14. მანისა | 6 | 2 | 0 | 4 | 10-12 | 6 |
| 15. ბუკა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-5 | 5 |
| 16. სივასი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-14 | 5 |
| 17. ესქიშეჰირი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-9 | 2 |
| 18. ქასიმფაშა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |

**კიოლნი-ჰოფენჰაიმი 1:1**

**კიოლნი (4-1-4-1):** მონდრაგონი 4 - ბრეჩკო 3.5, ჟერომელი 3.5, მოჰამადი 3, ერეთი 3.5 - პეტიტი 3 - კლემენსი 4.5 (81. ფრაისი/92. იონიტა), ლანიგი 3.5, მატუშიკი 3, ჟაჟალო 2.5 (81. იალსინი) - პოდოლსკი 2.

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე 3.5 - ბეკი 4.5, შიმუნიჩი 5 (46. სიგურდსონი 3.5), ვორსა 3.5, აიხნერი 3 - ვაისი 5 (46. მლაპა 3.5), ლუის გუსტავო 3.5 - ბა 2.5, რუდი 4, სალიჰოვიჩი 3 - იბიშევიჩი 4.5 (88. ტაგო).

**გოლები:** 1:0 პოდოლსკი (17), 1:1 ბა (54)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 13(6)-13(4); **ჯარიმა:** 16-20; **კუთხური:** 8-9; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 45 000

**ზტ. პაული-ბორუსია (დ) 1:3**

**ზტ. პაული (4-1-4-1):** კესლერი 4 - როთენბახი 4.5, გიუნეში 5, თორანდტი 5, ოჩიპკა 5 (63. კრუსე 4) - მ. ლემანი 4 - ბრუნსი 5, ებერსი 4, ტაკი 4 (68. ასამოა 4), ბარტელსი 3.5 - ჰენინგსი 3 (83. შულტცი).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 3 - ოვომოიელა 3, სუბოტიჩი 4, ჰუმელსი 3, შმელცერი 3.5 - ს. ბენდერი 3.5, ნ. შაჰინი 2.5 - გიოტცე 3, კაგავა 2.5 (70. ლევანდოვსკი 3.5), გროსკროიტცი 2 (85. ფოილნერი) - ბარიოსი 2 (78. ბლაშჩიკოვსკი).

**გოლები:** 0:1 გროსკროიტცი (17), 1:1 ჰენინგსი (26), 1:2 კაგავა (50), 1:3 გროსკროიტცი (61)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 11(2)-11(6); **ჯარიმა:** 12-20; **კუთხური:** 9-3; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 082

**აინტრახტი-ნიურნბერგი 2:0**

**აინტრახტი (4-2-3-1):** ნიკოლოვი 3.5 - იუნგი 4, ფრანცი 4, რუსი 3, ცაველასი 3 - კრისი 3, შევგლერი 4 - ჰალილ ალთინთოფი 3.5, კაიო 4 (71. კიტელი), კიოლერი 3 - გეკასი 3 (84. ამანატიდისი).

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი 3.5 - იუდტი 5 (75. ვიდოშიჩი), ნილსონი 4, მარო 4, პინოლა 5 - სიმონსი 4 - ექიჩი 3.5 (80. მინტალი), გიუნდოგანი 3, ჰეგელერი 3.5, ფრანტცი 3.5 (46. აიგლერი 3.5) - შიბერი 4.5.

**გოლები:** 1:0 გეკასი (17), 2:0 კრისი (88)

**გაფრთხილება:** 4-1; **დარტყმა:** 12(4)-15(1); **ჯარიმა:** 17-14; **კუთხური:** 7-5; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 43 100

**შალკე-ბორუსია (მ) 2:2**

**შალკე (4-1-2-1-2):** ნოიერი 3 - ჰიოვედესი 4, პლესტანი 4.5 (46. უჩიდა 3), მეტცელდერი 3.5, შმიტცი 4 - მატიპი 3.5 - ჯონსი 4.5 (51. ფარფანი 4), რაკიტიჩი 3 (77. ედუ) - ხურადო 3 - ჰუნტელაარი 2.5, რაული 3.

**ბორუსია მ. (4-2-2-1-1):** ბეილი 3.5 - ლეველსი 3.5, ანდერსონი 4, ბრუვერსი 5, დემსი 2.5 - ბრედლი 2.5, მარქსი 4 - ჰერმანი 4.5 (66. შახტენი 3.5), არანგო 3 - როისი 3 (91. მეეუვისი) - ბობადილია 3.5 (84. ნოიშტედტერი).

**გოლები:** 0:1 დემსი (15-პენ), 0:2 ბრედლი (43), 1:2 ჰუნტელაარი (52), 2:2 რაული (87)

**გაძევება:** ბრუვერსი (78. ბორუსია მ)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 22(8)-11(6); **ჯარიმა:** 18-23; **კუთხური:** 11-2; **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 61 673

**შტუტგარტი-ლევერკუზენი 1:4**

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი 2.5 - ტრეში 5, ტასკი 4, დელპიერი 5.5, ბოკა 4.5 (70. მოლინარო 4) - კუჟმანოვიჩი 3, გენტნერი 4.5 - კამორანეზი 6, ჰარნიკი 5.5 (63. მარიკა 5.5) - პოგრებნიაკი 4, კაკაუ 5.

**ლევერკუზენი (4-1-4-1):** ადლერი 4 - შვააბი 3, მ. ფრიდრიხი 3.5, ჰიიპია 2, კადლეცი 2.5 - რაინარტცი 3 - რენატო 2.5 (64. როლფესი 3.5), ვიდალი 1.5, ბალიტში 2.5, ბარნეტა 2.5 (79. სემი) - დერდიოკი 1.5 (90. იორგენსენი).

**გოლები:** 0:1 ჰიიპია (19), 0:2 ვიდალი (21), 1:2 კუჟმანოვიჩი (52), 1:3 ბალიტში (69), 1:4 სემი (88)

**გაძევება:** კამორანეზი (31. შტუტგარტი)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 6(1)-16(9); **ჯარიმა:** 24-26; **კუთხური:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 38 300

**ბაიერნი-მაინცი 1:2**

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი 4 - ლამი 4, ვან ბუიტენი 4.5, ბადშტუბერი 4, პრანიჩი 4.5 - ვან ბომელი 3.5, შვაინშტაიგერი 4.5 - თ. მიულერი 4.5, კროოსი 4 (82. ტიმოშჩუკი) - კლოზე 4 (75. გომესი), ოლიჩი 5.5 (61. ჰამით ალთინთოფი 4).

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო 2.5 - ბუნგერტი 4 (64. შიურლე 3), სვენსონი 4.5, ნოვესკი 3.5, ფუხსი 3.5 - პოლანსკი 3 - კარჰანი 3, კალიგიური 4 - ჰოლტბი 2.5 (46. ზაბავნიკი 4) - ალაგუი 2.5, შალაი 2.5 (82. ფ. ჰელერი).

**გოლები:** 0:1 ალაგუი (15), 1:1 სვენსონი (45-საკ. კარში), 1:2 შალაი (77)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 14(4)-7(4); **ჯარიმა:** 11-27; **კუთხური:** 7-5; **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 69 000

**ვერდერი-ჰამბურგი 3:2**

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე 3 - ფრიტცი 3.5 (42. ბარგფრედე 3.5), მერტეზაკერი 2, პრიოდლი 4, სილვესტრი 4 - ფრინგსი 3 - ჰანტი 3 (81. დ. იენსენი), მარინი 3 - ვესლი 2 - პისარო 3 (87. ვაგნერი), უგო ალმეიდა 1.5.

**ჰამბურგი (4-2-3-1):** როსტი 3 - დემელი 5, ვესტერმანი 4.5, მატიისენი 4, ზე რობერტო 3 - იაროლიმი 3, რინკონი 4 (46. კაჩარი 4) - ჩუპომოტინგი 3, ელია 5 (53. პიტროიპა 2), იანსენი 4 (80. ტროხოვსკი) - ვან ნისტელროი 3.

**გოლები:** 1:0 ფრიტცი (25-საკ. კარში), 2:0 უგო ალმეიდა (29), 2:1 ვან ნისტელროი (59), 2:2 პიტროიპა (63), 3:2 უგო ალმეიდა (85)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15(7)-13(5); **ჯარიმა:** 19-16; **კუთხური:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 36 300

**ვოლფსბურგი-ფრაიბურგი 2:1**

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო - პეკარიკი, კიაერი (86. მადლუნგი), ბარძალი, მ. შეფერი - ჟოსუე - ჰასებე, კალენბერგი (80. დეიაგა) - დიეგო (89. ჯონსონი) - გრაფიტე, ჯეკო.

**ფრაიბურგი (4-1-2-1-2):** პუპლინი - მუიჯა, ბართი, ბუტშერი (67. ტოპრაკი), ბასტიანსი - შუსტერი - პუცილა (74. როზენტალი), აბდესადეკი - მაკიადი - სისე, იანო (46. კალიგიური).

**გოლები:** 1:0 გრაფიტე (25), 1:1 სისე (36), 2:1 გრაფიტე (64)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 13(5)-15(5); **ჯარიმა:** 13-17; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 26 204

**კაიზერი-ჰანოვერი 0:1**

**კაიზერი (4-2-2-2):** ზიპელი - დიკი, ამედიკი, როდნეი, იესენი (84. მიჩანსკი) - ტიფერტი, ბილეკი (76. უოლში) - კირხი (59. მორავეკი), ილიჩევიჩი - ჰოფერი, ლაკიჩი.

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ფრომლოვიცი - ჩერუნდოლო, ჰაგუი, პოგატეცი, კ. შულცი - შმიდებახი, პინტუ - შტოპელკამპი, რაუხი (89. ჩაჰედი) - ია კონანი (69. შტინდლი), აბდელაუ (78. ფორსელი).

**გოლი:** 0:1 აბდელაუ (33)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 19(5)-5(2); **ჯარიმა:** 18-20; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაინცი | 6 | 6 | 0 | 0 | 14-5 | 18 |
| 2. ბორუსია (დ) | 6 | 5 | 0 | 1 | 16-5 | 15 |
| 3. ჰანოვერი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| 4. ჰოფენჰაიმი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 5. ლევერკუზენი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-10 | 11 |
| 6. ვოლფსბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 11-10 | 9 |
| 7. ფრაიბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-9 | 9 |
| 8. ჰამბურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 9. ბაიერნი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 8 |
| 10. ზტ. პაული | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 11. კაიზერსლაუტ. | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 12. ვერდერი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-14 | 7 |
| 13. აინტრახტი | 6 | 2 | 0 | 4 | 9-8 | 6 |
| 14. ნიურნბერგი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 6 |
| 15. კიოლნი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 16. შალკე | 6 | 1 | 1 | 4 | 7-12 | 4 |
| 17. ბორუსია (მ) | 6 | 1 | 1 | 4 | 9-19 | 4 |
| 18. შტუტგარტი | 6 | 1 | 0 | 5 | 11-13 | 3 |

**ბომბარდირები:** 6 - სისე (ფრაიბურგი); 5 - ჯეკო (ვოლფსბურგი); 4 - აბდელაუ (ჰანოვერი), გეკასი (აინტრახტი), გრაფიტე (ვოლფსბურგი), კაგავა (ბორუსია დ), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), პოგრებნიაკი (შტუტგარტი), ვან ნისტელროი (ჰამბურგი).

### II ბუნდესლიგა

### VI ტური

**კოტბუსი-ჰერტა 0:1**

**გოლი:** 0:1 ფრენდი (59)

**კარლსრუე-ფრანკფურტი 0:2**

**გოლები:** 0:1 ვუნდერლიხი (54), 0:2 ნ'დიაიე (74)

**ალემანია-პადერბორნი 2:0**

**გოლები:** 1:0 შტიბერი (75), 2:0 ბ. აუერი (78)

**არმინია-აუე 0:1**

**გოლი:** 0:1 პაულუსი (87-პენ)

**ფიურტი-ინგოლშტადტი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნერიგი (48-პენ)

**აუგსბურგი-მიუნხენ 1860 1:2**

**გოლები:** 0:1 აიგნერი (38), 1:1 ტრაორე (46), 1:2 ბელი (71)

**უნიონი-დუისბურგი 2:0**

**გოლები:** 1:0 მატუშკა (48), 2:0 კოლკი (83)

**ობერჰაუზენი-ოსნაბრიუკი 1:0**

**გოლი:** 1:0 კიონიგი (75)

**ფორტუნა-ბოხუმი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 6 | 5 | 1 | 0 | 14-5 | 16 |
| 2. კოტბუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-9 | 13 |
| 3. ფიურტი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-5 | 13 |
| 4. ობერჰაუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-5 | 13 |
| 5. აუე | 6 | 4 | 1 | 1 | 6-3 | 13 |
| 6. დუისბურგი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-6 | 12 |
| 7. აუგსბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-6 | 10 |
| 8. მიუნხენ 1860 | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| 9. ფრანკფურტი | 6 | 3 | 0 | 3 | 6-6 | 9 |
| 10. ალემანია | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 11. ოსნაბრიუკი | 6 | 2 | 1 | 3 | 11-12 | 7 |
| 12. კარლსრუე | 6 | 2 | 1 | 3 | 11-16 | 7 |
| 13. ბოხუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-9 | 6 |
| 14. უნიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-11 | 5 |
| 15. პადერბორნი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-6 | 4 |
| 16. ინგოლშტადტი | 6 | 1 | 0 | 5 | 6-12 | 3 |
| 17. არმინია | 6 | 1 | 0 | 5 | 5-11 | 3 |
| 18. ფორტუნა | 5 | 0 | 0 | 5 | 2-10 | 0 |

**ბომბარდირები:** 7 - პეტერსენი (კოტბუსი); 4 - ფრენდი (ჰერტა), ლამიდი (ობერჰაუზენი), რაკიჩი (მიუნხენ 1860); 3 - ბალიაკი (დუისბურგი), ხრიზანტუსი (კარლსრუე), დომოვჩიისკი (ჰერტა.

# როგორ გაამწარა კარლოსმა კარლო...

„ხუთი თამაშის შემდეგ „ჩელსის" 21 გოლი ჰქონდა გატანილი. ის ფანტასტიკური გუნდია და მის დასამარცხებლად ჩემმა ბიჭებმა დღეს ძალიან ძლიერად ითამაშეს. მოწინააღმდეგეს ყველა გზა გადავუკეტეთ, ხოლო, როცა საშუალება მოგვეცა, ბურთიც გავაგორეთ", - ადვილი მისახვედრია, რომ ეს სიტყვები „მანჩესტერ სიტის" იტალიელ თავკაც **რობერტო მანჩინის** ეკუთვნის.

ისტლენდზე „სიტიმ" დასავლეთლონდონელთა ასპროცენტიანი სვლა დაასრულა. ბევრი ამბობდა, რომ მანჩინის თანამემამულე **კარლო ანჩელოტის** გუნდს ნამდვილი გამოცდა სწორედ ამ დღეს უნდა ჩაებარებინა - „ლურჯებს" მანამდე სუსტი მეტოქეები ხვდებოდნენ და ისინი მათ ლუკმად არ ჰყოფნიდათ. მაგრამ „ჩელსი" გამოცდაზე ჩაიჭრა - ყოველ შემთხვევაში ახლა, კრიტიკოსები სწორედ ამას ამბობენ და ჩემპიონს მათ გასაჩუმებლად შემდეგ კვირას, 3 ოქტომბერს, შინ, „სტემფორდ ბრიჯზე" „არსენალის" დამარცხება მოუწევს. „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" კი კარლო ანჩელოტის **კარლოს ტევესმა** გაუფუჭა გუნება. ორი იტალიელი მწვრთნელის ტაქტიკური ბრძოლით გაჯერებულ შეხვედრაში ერთადერთი გოლი სწორედ არგენტინელმა გაიტანა. ეს მეორე ტაიმის მე-14 წუთზე მოხდა, რის მერეც დასავლეთლონდონელებმა ანგარიშის გასათანაბრებლად ყველა ღონე იხმარეს, მაგრამ მასპინძელთა საოცრად ორგანიზებულ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. ყველაზე სახიფათო მომენტი, რომელიც „ლურჯებმა" ამ შეხვედრაში შექმნეს შესვენებამდე **ბრანისლავ ივანოვიჩს** ჰქონდა, როდესაც თავურით ძელს გაარტყა ბურთი.

*„ჩვენ ის ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, რაც ჩაფიქრებული გვქონდა. „მანჩესტერ სიტიმ" ნახევარდაცვის შუაში ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. მეტოქისგან შეზღუდულებმა საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოვავლინეთ. მასპინძლებს ეს გამარჯვება ეკუთვნოდათ. მათ ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ და ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა შეუძლიათ"*, - თქვა მატჩის შემდგომ ანჩელოტიმ.

ამ შეხვედრაში ყურადღება კიდევ იმან მიიპყრო, რომ ანჩელოტიმ თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე **დიდიე დროგბა დენიელ სტარიჯით** შეცვალა და თქვა, ეს ცვლილება ტრავმით განპირობებული არ გახლდათო.

*„მე ტაქტიკური გადაწყვეტილება მივიღე, - ბრძანა მწვრთნელმა. - მონდოდა შეტევის მარჯვენა ფრთაზე სტარიჯის სისწრაფე გამომეყენებინა".*

თუმცა, „ჩელსის" „მანჩესტერ სიტისთან" დამარცხებაში გასაკვირი არაფერია, აი, „არსენალისგან" კი ასეთ ჩავარდნას არავინ ელოდა - **არსენ ვენგერის** ბიჭებს „ვესტ ბრომვიჩმა" არც მეტი არც ნაკლები „ემირეიტს სთედიუმზე" მოუგო. ცნობისათვის: ჩრდილოლონდონელებს შინ იანვრის შემდეგ არ ჰქონდათ წაგებული და მაშინაც, „მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხდნენ, პრემიერლიგაში ახლადაზევებულ მეტოქესთან კი არა... მეტსაც გეტყვით, „ვესტ ბრომვიჩს" წესით პირველ ტაიმშივე უნდა გაეხსნა ანგარიში, მაგრამ **კრის ბრანტმა** პენალტი ცუდად დაარტყა და ბურთი მეკარე **მანუელ ალმუნიას** ლუკმა გახდა.

ალმუნიაზე კიდევ აი რისი თქმა შეიძლება: პენალტი, რომელიც ახლახან ვახსენეთ იმიტომ დაინიშნა, რომ ესპანელმა გოლკიპერმა სწრაფი **პიტერ ოდემვინგიე** წააქცია, თუმცა მეორე ტაიმში ის კვლავ შეცდა და მდგომარეობა ველარ გამოასწორა. მისმა ამ შეცდომამ „ვესტ ბრომვიჩის" მეორე გოლი გამოიწვია.

*„მეკარეს გამორჩევით არაფერს დავაბრალებ. ჩვენს დღევანდელ თამაშს თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ბევრმა ფეხბურთელმა ითამაშა ცუდად, განსაკუთრებით დაცვაში. ერთი სიტყვით, გუნდმა კოლექტიურად ვერ ივარგა და ასეთ დროს არავის გამოყოფა არ ივარგებს. რატომ მოხდა ასე? რატომ გამოვიყურებოდით საცოდავად? ეს ჩემთვის გამოცანაა. ცუდად ვითამაშეთ და შედეგიც ცუდი გვქონდა"*, - თქვა პრესკონფერენციაზე ვენგერმა.

გამარჯვებულთა მწვრთნელი **რობერტო დი მატეო**: *„მინდა გითხრათ, რომ კარგად ვითამაშეთ, სახიფათო მომენტები შევქმენით, გოლები გავიტანეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ".*

ცნობისათვის - „ვესტ ბრომვიჩს" „არსენალი" ლონდონში ბოლოს 27 წლის წინ ჰყავდა დამარცხებული.

„ლივერპული" კი კიდევ ერთხელ და უკვე ვინ მოთვლის მერამდენედ იხსნა დამარცხებისგან მისმა კაპიტანმა **სტივენ ჯერარდმა**. ამჯერად მერსისაიდელებს „ენფილდზე" „სანდერლენდი" 2:1-ს უგებდა. არადა, მე-5 წუთზე მასპინძლებმა ანგარიში სრულიად კურიოზული გოლით გახსნეს. იმდენად კურიოზულით, რომ კაცი იფიქრებდა, რომ ასეთი უიღბლობა „სანდერლენდს" გატეხავდა. კერძოდ, სტუმრებს საკუთარი ნახევრიდან ჯარიმა უნდა დაერტყათ. ბურთი ცენტრს ოდნავ უკან იყო, კიდევ უკან კი, სტუმართა კარისკენ, მხოლოდ მათი მეკარე იდგა, ისიც შორს, თავის საჯარიმოში. ჰოდა, **მაიკლ ტერნერმა** გოლკიპერს ეს ბურთი იმდენად უნიათოდ და ნელა გაუგორა (თან არც შეხედა, თავად შეტრიალდა და წინ წავიდა), რომ მას ძალიან იოლად დაეწია **ფერნანდო ტორესი**, რომელსაც **დირკ კუიტიც** გაჰყვა. ტორესი მეკარესთან პირისპირ შევიდა, მოხერხებულ მომენტში ჰოლანდიელს დაუგორა და მანაც პრაქტიკულად დაუცველ კარში შეაგდო.

ამ შეხვედრისას კიდევ იმას დავძენთ, რომ საგოლე პასი ჯერარდსაც ტორესმა ჩააწოდა - მარჯვნიდან, სწრაფ, დინამიკურ ეპიზოდში პირდაპირ თავზე დაასვა ბურთი.

**ჰარი რედნაპმა** კი თავის ყოფილ გუნდთან, „ვესტ ჰემთან" ცხოვრებაში პირველად წააგო - **ფრედერიკ პიკიონის** მიერ გატანილმა გოლმა „აპტონ პარკზე" „ტოტენჰემი" დაამარცხა. ამ შეხვედრაში ძალიან კარგად ითამაშა მასპინძელთა მეკარე **რობერტ გრინმა**, რომელსაც, გეხსომებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე დაშვებული შეცდომის გამო მთელი ამ ხნის განმავლობაში საშინელი წნეხის გაძლება უწევდა.

*„ის ძალიან კარგი მეკარეა, ხოლო კარგი მეკარისგან ასეთი თამაში ნორმალურია. გრინმა ლუკა მოდრიჩის დარტყმა სასწაულებრივ მოიგერია"*, - შეაქო კარის მცველი „ჩაქუჩთა" კმაყოფილმა თავკაცმა **ავრამ გრანტმა**.

„ბლექპულისა" და „ბლექბერნის" თამაში კი ბლექ-იუმორით (შავი იუმორით) გაჟღენთილი გამოვიდა - პირველ ტაიმში **ჩარლი ადამმა** საკუთარ კარში გაიტანა და სტუმრები დააწინაურა. მასპინძლებმა გათანაბრება შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე შეძლეს, მაგრამ... ანგარიში მაინც ვერ შეინარჩუნეს. „ბლექპულის" მწვრთნელმა **იან ჰოლოუეიმ** მატჩის შემდეგ მსაჯი **მაიკ დინი** გააკრიტიკა და თანაც დაიტრაბახა, „ბლექბერნს" ამდენი პრობლემა ჩვენ რომ შევუქმენით „მანჩესტერ სიტიმაც" ვერ შეუქმნაო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## მომდევნო ტური

**2 ოქტომბერი.** **უიგანი-ვულვზი, ბირმინგემი-ევერტონი, სტოკი-ბლექბერნი, სანდერლენდი-მანჩესტერ იუნაიტედი, ტოტენჰემი-ასტონ ვილა, ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი, ვესტ ჰემი-ფულჰემი. 3 ოქტომბერი. მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი, ლივერპული-ბლექპული, ჩელსი-არსენალი.**



## მანჩესტერ სიტი-ჩელსი 1:0

**მანჩესტერ სიტი:** ჰარტი, ბოიატა (89. ბოატენგი), კ. ტური, კომპანი, საბალეტა, სილვა (78. ა. ჯონსონი), ი. ტური, დე იონგი, ბერი, მილნერი, ტევესი (87. ადებაიორი).

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ალექსი, ტერი, ე. კოული, ესიენი, მიკელი (69. ჟირკოვი), რამირესი (81. მაკეხრაენი), მალუდა, ანელკა, დროგბა (75. სტარიჯი).

**გოლი:** 1:0 ტევესი (59)

**გაფრთხილება:** 2-3; **კარში დარტყმა:** 10-18 (4-4); **ჯარიმა:** 11-13; **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 47 203

## არსენალი-ვესტ ბრომვიჩი 2:3

**არსენალი:** ალმუნია, სანია, სკილაჩი, კოშელნი (66. ველა), კლიში, სონგი, დიაბი (57. როსიცკი), ებუე (56. უილშერი), არშავინი, ნასრი, შამახი.

**ვესტ ბრომვიჩი:** კერსონი, ხარა, იბანიესი, ოლსონი, შორი, ბრანტი, შარნერი (71. შარნერი), მულუმბუ, ჯ. ტომასი (84. ტჩოი), მორისონი (78. დორანსი), ოდემვინგი.

**გოლები:** 0:1 ოდემვინგი (50), 0:2 ხარა (52), 0:3 ტომასი (73), 1:3 ნასრი (75), 2:3 ნასრი (90)

*37-ე წუთზე ბრანტმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 4-3; **კარში დარტყმა:** 28-8 (6-5); **ჯარიმა:** 16-15; **კუთხური:** 16-4; **თამაშგარე:** 1-7; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 60 025

## ბირმინგემი-უიგანი 0:0

**ბირმინგემი:** ფოსტერი, კარი, რ. ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი, ფერგიუსონი, ბოიერი (62. ჟიგიჩი), ჰლები (62. ბოსეჟური), გარდნერი, ჯერომი (78. კ. ფილიპსი).

**უიგანი:** ალ ჰაბზი, ბოისი, გოჰური, ალკარასი, ფიგეროა, სტამი (60. დი სანტო/90. მოზესი), ჰ. ტომასი, დიამე (82. უოტსონი), ნ'ზოგბია, მაკკარტი, როდალეგა.

**გაძევება:** გარდნერი (89. ბირმინგემი)

**გაფრთხილება:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-16 (3-5); **ჯარიმა:** 14-18; **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 22 186

## ბლექპული-ბლექბერნი 1:2

**ბლექპული:** გილკსი, ერდლი (83. მ. ფილიპსი), კეტჩკერტი, ივეტი, კრეინი, ვუგანი, ჩ. ადამი, ტეილორ-ფლეტჩერი, კემპბელი, ჰერევუდი (66. გრენდინი), ორმეროდი (65. ვერნი).

**ბლექბერნი:** რობინსონი, სალგადო, სამბა, ნილსენი, ჟივე, ფ. ჯონსი, ნზონზი (67. კ. ენდრიუსი), პედერსენი, მ. ბ. დიუფი (45. ემერტონი), კალინიჩი (76. მვარუვარი), ე. ჰ. დიუფი.

**გოლები:** 0:1 ჩ. ადამი (20-საკ. კარში), 1:1 მ. ფილიპსი (85), 1:2 ემერტონი (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13-16 (3-5); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 8-8; **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 15 901

## ფულჰემი-ევერტონი 0:0

**ფულჰემი:** შვარცერი, კელი (29. ბეირდი), ჰიუზი, ჰანგელანდი, სალსიდო, დაფი, ეტუჰუ, მერფი ს. დევისი (71. კამარა), გერა (55. ე. ჯონსონი), დემპსი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჯეგიელკა, დისტინი, ბეინესი, კოულმენი (88. ბელიალეტდინოვი), არტეტა, ფელანი, პიენაარი, ტ. კეჰილი (62. ოსმანი), იაკუბუ.

**გაფრთხილება:** 2-1; **კარში დარტყმა:** 11-16 (2-5); **ჯარიმა:** 14-13; **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 3-5; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 25 598

## ლივერპული-სანდერლენდი 2:2

**ლივერპული:** რეინა, გ. ჯონსონი, კარაგერი, შკრტელი, კონჩესკი (28. აგერი), ჯერარდი, პოულსენი (62. ნგოგი), კუიტი, ჯ. კოული, მეირელეში, ტორესი.

**სანდერლენდი:** მინოლეტი, ონუოჰა, ტერნერი, ბრამბლი, ბერდსლი, ჰენდერსონი, კეტემოლი, ალ მუჰამადი, მოლბრანკი (89. რივეროსი), ბენტი (90. ზენდენი), უელბეკი (82. გიანი).

**გოლები:** 1:0 კუიტი (5), 1:1 ბენტი (25-პენ), 1:2 ბენტი (48), 2:2 ჯერარდი (64)

**გაფრთხილება:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-10 (5-3); **ჯარიმა:** 19-8; **კუთხური:** 3-3; **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 55%-46%.

**მაყურებელი:** 43 626

## ვესტ ჰემი-ტოტენჰემი 1:0

**ვესტ ჰემი:** გრინი, იაკობსენი, და კოსტა, აპსონი, გებიდონი, დაიერი (42. ბარერა), პარკერი, ნობლი, ბოა მორტე, ობინა (89. კოვაჩი), პიკიონი (64. კ. კოული).

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, ჰატონი, ჩორლუკა, ბასონგი, ბეილი, ჯენასი, ჰადლსტოუნი, ლენონი (66. კინი), მოდრიჩი, ვან დერ ვაარტი (78. დოს სანტოსი), კრაუჩი (80. პავლიუჩენკო).

**გოლი:** 1:0 პიკიონი (29)

**გაფრთხილება:** 2-0; **კარში დარტყმა:** 25-20 (7-5); **ჯარიმა:** 10-12; **კუთხური:** 14-7; **თამაშგარე:** 3-0; **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 34 190

## ბოლტონი-მანჩესტერ იუნ 2:2

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, ნაითი, რიკეტსი, რობინსონი, ლი (90. ბლეიკი), ჰოლდენი, მუამბა (64. მ. დევისი), მ. პეტროვი (90. ტეილორი), ელმანდერი, კ. დევისი.

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ო'ში, ვიდიჩი, ევანსი, ევრა, ნანი, დ. ფლეტჩერი (71. ოუენი), სქოულზი, გიგზი (53. პარკი), რუნი (61. მაკედა), ბერბატოვი.

**გოლები:** 1:0 ნაითი (6), 1:1 ნანი (23), 2:1 მ. პეტროვი (67), 2:2 ოუენი (74)

**გაფრთხილება:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-13 (4-6); **ჯარიმა:** 16-18; **კუთხური:** 7-12; **თამაშგარე:** 0-4; **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 23 926

## ვულვზი-ასტონ ვილა 1:2

**ვულვზი:** ჰანემანი, ფოული (73. სტრიმენი), კრედოკი, ბერა, უორდი (39. ელოკობი), ედუარდსი (81. გუედიორა), ჰენრი, დ. ჯონსი, ჯერვისი, დოილი, ს. ფლეტჩერი.

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, ლ. იანგი, კუელიარი, კოლინზი, უორნოკი, ოლბრაიტონი (67. აგბონლაჰორი), რიო-კოკერი, ს. პეტროვი (86. სიდუელი), დაუნინგი, ე. იანგი, ჰესკი.

**გოლები:** 0:1 დაუნინგი (25), 1:1 ჯერვისი (61), 1:2 ჰესკი (88)

**გაფრთხილება:** 1-2; **კარში დარტყმა:** 16-10 (7-8); **ჯარიმა:** 14-20; **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 27 511

## ნიუკასლი-სტოკი 1:2

**ნიუკასლი:** კრალი, პერჩი, უილიამსონი, კოლოჩინი, სანჩესი, რატლიჯი, ბარტონი, ტიოტი (74. ამეობი), ბენ-არფა (62. ხონასი), ნოლანი, კეროლი

**სტოკი:** სიორენსენი, უილკინსონი, შოუკროსი, ჰუტი, კოლინზი, უაიტჰედი, უილანი (57. დილეპი), დიაო (50. ფულერი, 67. გუდიონსენი), ეზერინგტონი, უოლტერსი, კ. ჯონსი

**გოლები:** 1:0 ნოლანი (43-პენ), 1:1 ჯონსი (67), პერჩი (85-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 0-1; **კარში დარტყმა:** 14-8 (3-1); **ჯარიმა:** 8-11; **კუთხური:** 3-5; **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 41 915

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 6 | 5 | 0 | 1 | 21-2 | 15 |
| 2. მანჩესტერი | 6 | 3 | 3 | 0 | 16-9 | 12 |
| 3. არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 16-7 | 11 |
| 4. სიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-2 | 11 |
| 5. ვესტ ბრომვიჩი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-11 | 10 |
| 6. ფულჰემი | 6 | 1 | 5 | 0 | 7-6 | 8 |
| 7. ტოტენჰემი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 8. ბლექბერნი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 9. ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 10. სანდერლენდი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-7 | 7 |
| 11. ბოლტონი | 6 | 1 | 4 | 1 | 9-10 | 7 |
| 12. ბირმინგემი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-8 | 7 |
| 13. ასტონ ვილა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-9 | 7 |
| 14. ბლექპული | 6 | 2 | 1 | 3 | 9-14 | 7 |
| 15. ლივერპული | 6 | 1 | 3 | 2 | 6-9 | 6 |
| 16. ვულვზი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 17. უიგანი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-13 | 5 |
| 18. სტოკი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 19. ვესტ ჰემი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-13 | 4 |
| 20. ევერტონი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-7 | 3 |

**ბომბარდირები:** 6 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი), მალუდა (ჩელსი); 5 - ბენტი (სანდერლენდი), დროგბა (ჩელსი); 4 - კეროლი (ნიუკასლი), კალუ (ჩელსი), ტევესი (მანჩესტერ სიტი), უოლკოტი (არსენალი).

## ჩემპიონშიპი

### VIII ტური

**პორტსმუთი-ლესტერი 6:1**

**გოლები:** 1:0 ლოურენსი (10-პენ), 2:0 ლოურენსი (33), 3:0 ნაჯენტი (58), 4:0 კიტსონი (59), 4:1 ჰოვარდი (71), 5:1 კიტსონი (83), 6:1 ბრაუნი (90)

**კარდიფი-მილუოლი 2:1**

**გოლები:** 0:1 ბერონი (10), 1:1 ბოთროიდი (24), 2:1 კოუ (89)

**ბარნლი-ბრისტოლი 0:0**

**ქოვენთრი-პრესტონი 1:2**

**გოლები:** 0:1 ჯონსი (35), 0:2 ჰიუმი (45), 1:2 გუნარსონი (61)

**დერბი-კრისტალ პალასი 5:0**

**გოლები:** 1:0 ბუენო (14), 2:0 კომონსი (41), 3:0 ბუენო (62). 4:0 გრინი (68), 5:0 კუგი (73)

**ლიდსი-შეფილდ იუნ 1:0**

**გოლი:** 1:0 ბ. ჯონსონი (83)

**ნორვიჩი-ჰალი 0:2**

**გოლები:** 0:1 კორენი (83), 0:2 კეირნი (88)

**ნოტინგემი-სუონსი 3:1**

**გოლები:** 1:0 მაკგუგანი (12-პენ), 2:0 მაკგუგანი (60), 3:0 მაიევსკი (84), 3:1 ვან დერ გუნი (90)

**ქუინზ პარკი-დონკასტერი 3:0**

**გოლები:** 1:0 გორკსი (53), 2:0 ტაარაბტი (81-პენ), 3:0 გორკსი (88)

**რედინგი-ბარნსლი 3:0**

**გოლები:** 1:0 კებე (78), 2:0 ჰერტი (90), 3:0 რობსონ-კანუ (90)

**სკანთორპი-იფსვიჩი 1:1**

**გოლები:** 1:0 მირფინი (30), 1:1 პეტერსი (57)

**უოტფორდი-მიდლსბრო 3:1**

**გოლები:** 1:0 გრემი (1), 2:0 მეტჩი (11), 3:0 გრემი (20), 3:1 მარიაპა (80-საკ. კარში)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 8 | 7 | 1 | 0 | 22-2 | 22 |
| 2. კარდიფი | 8 | 5 | 1 | 2 | 14-7 | 16 |
| 3. უოტფორდი | 8 | 4 | 3 | 1 | 18-9 | 15 |
| 4. იფსვიჩი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-7 | 15 |
| 5. ლიდსი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-10 | 14 |
| 6. ნორვიჩი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-10 | 13 |
| 7. რედინგი | 8 | 3 | 3 | 2 | 12-8 | 12 |
| 8. ბარნლი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 12 |
| 9. სუონსი | 8 | 4 | 0 | 4 | 11-10 | 12 |
| 10. დონკასტერი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-12 | 12 |
| 11. ნოტინგემი | 8 | 2 | 5 | 1 | 9-7 | 11 |
| 12. მილუოლი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-13 | 11 |
| 13. ქოვენთრი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-12 | 11 |
| 14. ბარნსლი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-15 | 11 |
| 15. ჰალი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-9 | 11 |
| 16. სკანთორპი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-9 | 10 |
| 17. მიდლსბრო | 8 | 3 | 1 | 4 | 8-13 | 10 |
| 18. შეფილდ იუნ | 8 | 3 | 1 | 4 | 4-10 | 10 |
| 19. დერბი | 8 | 2 | 2 | 4 | 12-11 | 8 |
| 20. კრ. პალასი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-17 | 7 |
| 21. ბრისტოლი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-13 | 6 |
| 22. პრესტონი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-15 | 6 |
| 23. პორტსმუთი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-12 | 5 |
| 24. ლესტერი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-18 | 5 |

**ბომბარდირები:** 8 - მეკი (ქუინზ პარკი); 6 - გრემი (უოტფორდი); 5 - იუელუმო (ბარნლი), ბოთროიდი (კარდიფი).

## პირველი ლიგა

### VIII ტური

ლეიტონი-ბრენტფორდი 1:0, ბურნმუთი-კერლისლი 2:0, ბრაიტონი-ოლდჰემი 2:1, ბრისტოლი-ნოთს ქაუნთი 2:1, ჩარლტონი-დაგენჰემი 2:2, კოლჩესტერი-ტრანმერი 3:1, ჰარტლპული-უოლსოლი 2:1, პიტერბორო-მილტონი 2:1, როჩდეილი-პლიმუთი 1:1, შეფილდ უენ-საუთჰემპტონი 0:1, სუინდონი-ჰადერსფილდი 1:0, იეოვილი-ექსეტერი 1:3.

## მეორე ლიგა

### VIII ტური

ჩელტენჰემი-ბერი 0:2, ქრუ-ოქსფორდი 1:1, ჯილინგემი-ბარტონი 1:0, ჰერეფორდი-საუთენდი 1:3, ლინკოლნი-სტივენიჯი 0:1, მორკეიმბი-ბერნეტი 2:2, ნორთჰემპტონი-ბრედფორდი 2:0, პორტ ვეილი-ეკრინგტონი 2:0, როტერჰემი-ჩესტერფილდი 1:0, სტოკპორტი-ოლდერშოტი 2:2, თორგუეი-მაკლსფილდი 1:3, უაიკომბი-შრუსბერი 2:2.

## კონფერენცია

### XI ტური

**ელტრინჩემი-გრიმსბი 2:2, კემბრიჯი-ნიუპორტი 0:1, დარლინგტონი-საუთპორტი 1:0, ფლიტვუდი-ბათი 2:1, ფორესტ გრინი-კეტერინგი 0:2, გეიტსჰედი-ლუტონი 1:0, ჰეიესი-ბეროუ 2:0, მენსფილდი-ისტბერნი 4:0, ტემუორთი-იორკი 1:3, ვრექსჰემი-ჰისტონი 4:0, კიდერმინსტერი-უიმბლდონი 2:0, რაშდენი-ქროული 0:1.**

# ინტერი მაინც რომში დაეცა



ვუჩინიჩის საგოლე ნახტომი

მეხუთე ტურის ცენტრალური მატჩი შაბათს იტალიის დედაქალაქში გაიმართა, სადაც „რომამ" „ინტერს" უმასპინძლა. ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან პაექრობას გუნდები სხვადასხვა მდგომარეობაში შეხვდნენ - „ინტერი" წინა ტურში გალიდერდა და თითქოს თავის ადგილზე ავიდა, „რომას" კი ერთი მატჩი რაა, ისიც კი არ ჰქონდა მოგებული და შესაბამისად, ცხრილის ფსკერზე ყურყუტებდა. მიუხედავად ამისა, ტურისწინა მიმოხილვისას „ინტერის" ფავორიტად შერაცხვისგან თავი შევიკავეთ და როგორც გამოჩნდა, სწორადაც მოვიქეცით. ერთი კონკრეტული თამაშის მაღალ დონეზე ჩატარება „ჯალოროსის" ნამდვილად შეუძლია და ამ შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა. „რომამ" ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოიგო და დიდია შანსი, სწორედ ამ მუხტმა დააძლევინოს მწვავე კრიზისი. თანაც, დედაქალაქელებმა ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით გაიმარჯვეს, რაც აორმაგებს ისედაც დიდ სიხარულს.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, „ინტერმა" თითქოს არაფერი დაუთმო მეტოქეს, ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებელიც უკეთესი ჰქონდა და კარშიც მეტჯერ დაარტყა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი შეხვედრის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ გამარჯვებასთან უფრო ახლოს რომაელები გახლდნენ. მათი იერიშები უფრო მწვავე იყო, რაც შეხვედრის უკანასკნელ წუთზე დაფასდა. თავი შეცვლაზე შესულმა **მირკო ვუჩინიჩმა** გამოიჩინა, რომელიც მარჯვენა ფრთიდან გაკეთებულ გადაცემას გამოეხმაურა და თავური დარტყმით **ჟულიო სეზარი** უშანსოდ დატოვა. ჩერნოგორიელმა ფორვარდმა **ფრანჩესკო ტოტი** შეცვალა, რომელიც აშკარად ვერ იდგა მონოდების სიმაღლეზე. რაც შეეხება „ინტერს", დარჩა შთაბეჭდილება, რომ **რაფაელ ბენიტესის** შეგირდებს ისე ძალიან არ უნდოდათ გამარჯვების მოპოვება, როგორც მეტოქეს. დედაქალაქელთა განწყობა კი გატანილი გოლის აღნიშვნის დროსაც ნათლად გამოჩნდა - ვუჩინიჩმა ტრიბუნებთან მიირბინა და რაც კი გზად გადაეღობა, ყველაფერი მიამტვრ-მოამტვრია. აშკარაა - რომაელები ძალიან გააბრაზეს და ამას „ინტერი" შეეწირა. მატჩის შემდეგ **კლაუდიო რანიერი** ბედნიერი ჩანდა, აქვე მისი კომენტარი:

*„ძალიან გახარებული ვარ, თითქოს ავად ვიყავით, „ინტერის" დამარცხება კი ზუსტად ის წამალი იყო, რომელიც ჩვენ გვჭირდებოდა. ჯერ კიდევ „ბრეშასთან" თამაშის მერე ვთქვი, რომ ნელნელა ვპოულობთ ჩვენს თამაშს და უკანასკნელმა პაექრობამ ეს ნათლად დაადასტურა. შესანიშნავად ვითამაშეთ, რისთვისაც მინდა შეგირდებს მადლობა გადავუხადო. რატომ შევცვალე ტოტი? - არა იმიტომ, რომ ცუდად თამაშობდა, უბრალოდ ხანდახან უნდა გარისკო და ამ შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა. ჩვენ ვუჩინიჩის სისწრაფე გვჭირდებოდა, რომ „მომწიფებული" გოლი გაგვეტანა და საბედნიეროდ, ეს ასეც მოხდა".*

პრესასთან გასაუბრება მირკო ვუჩინიჩმაც გადაწყვიტა და განვლილ პაექრობასთან ერთად, გოლის აგრესიულ აღნიშვნაზე გაამახვილა ყურადღება: *„ძალიან მნიშვნელოვანი პაექრობა იყო, რომელიც საბედნიეროდ ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. მეტოქეს მოედნის ცენტრში ვაჯობეთ და წარმატება ამან განაპირობა. ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ რაც მთავარია, ცდა არ დაგვიკლია და ამან შედეგი გამოიღო. გოლი ძალიან ემოციურად აღვნიშნე და ეს ბუნებრივად მოხდა. პირველ ოთხ ტურში თითქოს ყველა და ყველაფერი ჩვენ წინააღმდეგ იყო, ამ გოლმა კი წარუმატებლობა დაგვავიწყა და ძალიან გაგვახარა. დარწმუნებული ვარ, სულ მალე ლიდერთა შორის გავერევით".*

თანაქალაქელის წაფორხილებით „მილანმა" ისარგებლა, „ჯენოა" დაამარცხა და მთავარ კონკურენტს ორი ქულით მიუახლოვდა. მოვლენათა ასეთი განვითარება **მასიმილიანო ალეგრისთვის** ნამდვილად მისწრება იყო, რადგან ბოლო დროს კრიტიკის ქარცეცხლში გახლდათ გახვეული.

„შავ-წითლებმა" მთელი 90 წუთი შეტევებში გაატარეს და ცოტა უფრო მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, შეხვედრას დიდი ანგარიშით მოიგებდნენ. ასეა თუ ისე, ლომბარდიელებმა სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში, გამარჯვების გოლი კი მეორე ნახევრის სტარტზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** გაიტანა. შვედმა ფორვარდმა დამატებაზე ითამაშა, ორ მცველს დაასწრო და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში. გოლი მეტად ეფექტური გამოვიდა, რადგან ზლატანმა ბურთი თავზე გადაუგდო სტუმართა კიპერს. აქტიური იყვნენ **რონალდინიო** და **რობინიო**, მაგრამ განსაკუთრებულად კარგი შთაბეჭდილება მაინც **კევინ პრინს ბოატენგმა** დატოვა. ძალიან ბევრი ირბინა, უდიდესი სამუშაო გასწია და თანაბრად ნაყოფიერი იყო როგორც დაცვითი ფუნქციების შესრულებისას, ისე შეტევაში. ჯერჯერობით, ბოატენგი იმაზე უკეთ გამოიყურება, ვიდრე ეს „მილანის" გულშემატკივრებს წარმოედგინათ. მასიმილიანო ალეგრის თქმით, ბოლო დროს მისი მისამართით უსაფუძვლო კრიტიკა გახშირდა:

*„სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, ეს ყველაზე უკეთ მე ვიცი, მაგრამ სეზონი ჯერ ახალი დაწყებულია და პრობლემები სრულიად ბუნებრივია. ამიტომ, ხშირად უსაფუძლო იყო ის კრიტიკა, რომელიც ჩემი მისამართით ისმოდა. ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ და სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში. „ჯენოა" კარგად ორგანიზებული გუნდია, რომელსაც კონტრშეტევებზე თამაში ეხერხება - ამიტომ, ძალიან გამახარა იმან, რომ ჩვენს კართან განსაკუთრებული ხიფათი არ შექმნილა. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცვაში თამაში საგრძნობლად გამოვასწორეთ".*

კვირის მატჩებიდან „ლაციოს" მორიგი გამარჯვება უნდა გამოვყოთ - როგორც ჩანს, **ედუარდო რეიამ** ძალიან კარგად მოამზადა გუნდი სეზონის სტარტისთვის და ეს შედეგებიდან კარგად ჩანს. „ბიანკოჩელესტემ" ხუთი თამაშიდან სამის მოგება მოახერხა და „ინტერთან" ერთად სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### მომდევნო ტური

**2 ოქტომბერი. უდინეზე-ჩეზენა, პარმა-მილანი. 3 ოქტომბერი. ბოლონია-სამპდორია, ჯენოა-ბარი, კიევო-კალიარი, ლაციო-ბრეშა, ლეჩე-კატანია, ნაპოლი-რომა, ფიორენტინა-პალერმო, ინტერი-იუვენტუსი.**

### მილანი-ჯენოა 1:0

**მილანი (4-3-3):** აბიატი 6.5 - აბატე 5.5, ტიაგო სილვა 6.5, ნესტა 6.5, ანტონინი 6.0 - პირლო 7.0, გატუზო 7.0 (67. ფლამინი 5.0), ბოატენგი 7.5 - რონალდინიო 6.5 (71. ზეედორფი), რობინიო 6.5, იბრაჰიმოვიჩი 8.0.

**ჯენოა (3-4-3):** ედუარდო 6.0 - რანოკია 6.0, დაინელი 4.5, კიკო 5.5 (58. სკული 5.0) - ხარჯა 5.5, რაფინია 5.5, კრიშიტო 6.0, ველოზო 5.0 (66. მილანეტო 6.0) - პალასიო 6.5 (83. რუდოლფი), მესტო 6.0, ტონი 5.0.

**გოლი:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (49)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 10(5)-6(2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 41 505

### რომა-ინტერი 1:0

**რომა (4-4-2):** ლობონტი 6.5 - კასეტი 6.0, ბურდისო 6.5, ჟუანი 7.5, რიისე 7.0 - დე როსი 6.5, პიზარო, პეროტა 6.0, მენეზი 6.5 (88. ბაპტიშტა) - ტოტი 5.5 (76. ვუჩინიჩი 7.0), ბორიელო 6.0 (88. ბრიგი 6.0).

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი 6.0 - მაიკონი 6.0, ლუსიო 6.0, კორდობა 6.0, კივუ 6.5 - სტანკოვიჩი 6.5, კამბიასო 6.5 - პანდევი 5.0 (74. კოუტინიო 5.5), სნეიდერი 6.0, ეტოო 6.5 - მილიტო 5.0 (67. მუნტარი 6.0).

**გოლი:** 1:0 ვუჩინიჩი (90)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 9(4)-15(4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 30 000

### ჩეზენა-ნაპოლი 1:4

**ჩეზენა (4-3-3):** ანტონიოლი 7.0 - ჩეკარელი 5.5, პელეგრინო 5.5, ფონ ბერგენი 6.0, ნაგატომო 5.5 - აპია 4.5 (83. აპია), კოლუჩი 6.0, პაროლო 6.5 (63. კაზერტა) - შელოტო 6.0, ბოგდანი 5.0, ჯაკერინი 5.0 (75. ლაურო 5.5).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი 6.0 - კამპანიარო 6.0, კრიბარი 5.5 (74. კანავარო), არონიკა 5.5 - ცუნიგა 6.5, პაციენცა 6.5, იებდა 5.0 (59. გარგანო 6.5), დოსენა 6.5 - ჰამშიკი 6.0, სოსა 5.5 (59. კავანი 7.5) - ლავეცი 6.5.

**გოლები:** 1:0 პაროლო (48), 1:1 ლავეცი (72), 1:2 ჰამშიკი (81-პენ), 1:3 კავანი (88), 1:4 კავანი (90)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 2-14; **ჯარიმა:** 23-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 8(2)-16(11); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 16 250

### ბარი-ბრეშა 2:1

**ბარი (4-4-2):** ჟილე 6.5 - რაჯი 5.5, ა. მაზიელო 6.0, როსი 6.0, პარიზი 6.0 - რივასი 6.5 (59. ალვარესი 7.0), ალმირონი 6.5 (79. დონატი), გაცი 6.0, გეზალი 6.0 - კუტუზოვი 6.0, ბარეტო 7.5 (87. პულცეტი).

**ბრეშა (4-3-1-2):** სერენი 7.0 - ძამბელი 5.5, ბეგა 5.5, ვიდალი 5.0, დაპრელა 5.0 (70. დალამანო 5.5) - კორდოვა 5.5, ფილიპინი 5.5 (58. კარაჩოლო 5.5), ჰეტემაი 6.0 - კონე 6.5 (80. ტადეი) - ედერი 5.5, პოსანცინი 6.0.

**გოლები:** 1:0 რივასი (16), 1:1 კონე (30), 2:1 ბარეტო (55-პენ)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11(8)-10(5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 22 000

### კატანია-ბოლონია 1:1

**კატანია (4-4-2):** ანდუხარი 6.0 - პოტენცა 6.0, სილვესტრი 5.5, სპოლი 6.0, მარკეზე 6.0 - ლედესმა 5.5 (46. რიკოუტი 6.5), ბიაჯანტი 6.5, გომესი 5.5 (65. ანტენუჩი 6.0) კარბონი 6.0 (79. დელ ვეკიო) - მაქსი ლოპესი 6.0, მასკარა 6.5.

**ბოლონია (4-3-3):** ვივიანო 6.0 - რუბინი 6.0, პორტანოვა 6.0, ბრიტოსი 5.0, გარიჩი 6.0 - მუტარელი 6.0, პერესი 6.5 (76. რამირესი), მუდინგაი 6.5 - სილიგარდი 6.0 (56. კაზარინი 6.0), ხიმენესი 5.5 (59. მეჯორინი 6.0), დი ვაიო 6.0.

**გოლები:** 0:1 დი ვაიო (40), 1:1 ბრიტოსი (66-საკ. კარში).

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 20-12; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 12(4)-5(3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 15 000

### კიევო-ლაციო 0:1

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო 7.0 - ანდრეოლი, ფრეი 6.5, ჩეზარი 6.0, მანტოვანი 6.0 - ბენტივოლიო 6.0 (82. ტერეუ), რიგონი 6.5, მარკოლინი 6.0 (59. კონსტანტი 6.5) - ბოლიაჩინო 5.5 - პელისიერი 6.5 (48. გრანოკე 5.5), მოსკარდელი 6.5.

**ლაციო (4-4-2):** მუსლერა 6.5 - ბიავა 6.5, დიასი 7.0, რადუ 6.5, ლიხტშტაინერი 6.5 - ბროკი 6.5 (78. ბრეშიანო 5.5), მათუსალემი 7.0, მაური 7.0, სარატე 7.0 (79. ლედესმა 6.0) - ერნანესი 6.5 (88. სტენდარდო), ფლოკარი 7.0.

**გოლი:** 0:1 სარატე (69)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 3(1)-12(4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 11 000

### ფიორენტინა-პარმა 2:0

**ფიორენტინა (4-2-3-1):** ფრეი 6.0 - დე სილვესტრი 7.0, ნატალი 6.0, გამბერინი 6.5, ფელიპე 6.5 (69. გულანი 6.5) - მონტოლივო 7.0, დონადელი 6.5 - ლიაჯიჩი 7.5 (90. ბოლატი), ვარგასი 6.5 (79. სანტანა 6.0), ჩერჩი 6.0 - ჯილარდინო 6.5.

**პარმა (4-3-3):** მირანტე 6.5 - ძაკარდო 6.0, ლუკარელი 4.5, პაჩი 5.5, გობი 6.0 (68. კრესპო 5.5) - ვალიანი 6.0 (62. ანჯელო 5.5), მორონე 5.0, კანდრევა 4.5 (77. ძამელი) - ანტონელი 6.0, ბოჟინოვი 5.0, მარკესი 4.5.

**გოლები:** 1:0 ლიაჯიჩი (61-პენ), 2:0 დე სილვესტრი (76)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15(8)-5(2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 22 000

### პალერმო-ლეჩე 2:2

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ 6.0 - კასანი 6.5, მუნოზი 5.5, ბოვო 5.5, ბალცარეტი 5.5 - მილიაჩო 6.5, ლივერანი 5.0 (55. ბასინოვიჩი 6.0), ნოჩერინო 5.5 (57. ჰერნანდესი 6.5) - ილიჩიჩი 5.5, პასტორე 7.0 - პინილია 6.5 (75. მაკარონე 6.5).

**ლეჩე (4-1-4-1):** როზატი 7.0 - რისპოლი 6.5, გუსტავო 5.5, ფაბიანო 5.5, მესბაჰი 6.0 - ჯაკომაცი 6.5 - ჯედა 5.5 (69. მუნარი), გროსმიულერი 6.5, პიატი 5.0 (83. კოპოლა 6.0), კორვია 7.0 - ოლივეირა 6.0 (65. სინი).

**გოლები:** 0:1 ჯაკომაცი (8), 0:1 კორვია (46), 1:2 პინილია (53), 2:2 მაკარონე (90)

**გაძევება:** ჯაკომაცი (81. ლეჩე)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 29-12; **თამაშგარე:** 11-3; **კარში დარტყმა:** 16(3)-6(3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 20 000

### სამპდორია-უდინეზე 0:0

**სამპდორია (4-3-1-2):** კურჩი 6.5 - კაჩატორე 6.0, გასტალდელო 7.0, ლუკინი 6.5, ძაური 6.5 - სემიოლი 5.0 (68. მაროლუნგო 5.5), პალომბო 7.0, დესენა 6.0 - გუბერტი 5.5 (60. ობიანგი 6.0) - კასანო 6.0, პაცინი 5.0 (87. პოცი).

**უდინეზე (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი 6.5 - ზაპატა 7.0, ბენეტია 7.5, დომიზი 6.0 (26. კოდა 6.5) - ისლა 5.5, ინლერი 6.5, ასამოა 7.0, [illegible] 6.0 - [illegible] 6.0 - [illegible] 6.0 (72. სანჩესი 5.5), ფლორო ფლორესი 5.5 (84. [illegible]რადი 5.5).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 6(2)-8(2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 21 466

### იუვენტუსი-კალიარი 4:2

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი 6.5 - რინაუდო 5.5 (74. ლეგროტალიე 5.0), ბონუჩი 5.5, კიელინი 6.0, გრიგერა 5.5 - კრასიჩი 9.0, ფელიპე მელო 6.5, აკვილანი 6.5 (77. სისოკო), პეპე 5.5 - იაკუინტა 5.5 (79. დელ პიერო), ამაური 5.0.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი 5.0 - პერიკო 5.5 (65. პიზანო 5.5), კანინი 5.5, ასტორი 6.0, აგოსტინი 4.0 - ბიონდინი 5.5, ნაინგოლანი 5.5, ლაძარი 6.5 - კოსუ 5.0 (63. ნენე 6.0) - აკვაფრესკა (72. ლანერი 6.0), მატრი 7.0.

**გოლები:** 1:0 კრასიჩი (13), 1:1 მატრი (20), 2:1 კრასიჩი (34), 3:1 ბონუჩი (57), 4:1 კრასიჩი (70), 4:2 მატრი (81)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 15-12 (6-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 19 594

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| 2. ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 3. კიევო | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 4. ბრეშა | 5 | 3 | 0 | 2 | 7-7 | 9 |
| 5. მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| 6. ნაპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-8 | 8 |
| 7. კატანია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 8. ბარი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-7 | 8 |
| 9. იუვენტუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 12-9 | 7 |
| 10. ჩეზენა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 11. კალიარი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-5 | 6 |
| 12. სამპდორია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| 13. ბოლონია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 6 |
| 14. პალერმო | 5 | 1 | 2 | 2 | 8-8 | 5 |
| 15. ფიორენტინა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| 16. პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 17. ჯენოა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 18. რომა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-9 | 5 |
| 19. ლეჩე | 5 | 1 | 2 | 2 | 4-8 | 5 |
| 20. უდინეზე | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - ეტოო (ინტერი), კავანი (ნაპოლი); 4 - პელისიერი (კიევო), მატრი (კალიარი), დი ვაიო (ბოლონია); 3 - კასანო (სამპდორია), კრასიჩი (იუვენტუსი).

## სერია B

### VI ტური

**პიაჩენცა-სიენა 0:1**
გოლი: 0:1 სესტუ (68)

**ატალანტა-რეჯინა 1:1**
გოლები: 1:0 როუპოლო (21), 1:1 ბონაცოლი (26)

**კროტონე-სასუოლო 2:0**
გოლები: 1:0 ნაპოლი (6), 2:0 ნაპოლი (90)

**ემპოლი-გროსეტო 1:0**
გოლი: 1:0 სტოვინი (46)

**ფროზინონე-ვარეზე 1:0**
გოლი: 1:0 ლოდი (47)

**ნოვარა-ლივორნო 4:1**
გოლები: 0:1 დიონისი (41), 1:1 რიგონი (53), 2:1 მოტა (65), 3:1 გონსალესი (60), 4:1 ბერტანი (76)

**პადოვა-ალბინოლეფე 2:0**
გოლები: 1:0 სუჩი (12), 2:0 ვანტაჯატო (32)

**პესკარა-ტორინო 2:0**
გოლები: 1:0 სოდიმო (46), 2:0 გაროფალო (57-საკ. კარში)

**პორტოგრუარო-ასკოლი 2:1**
გოლები: 1:0 ჯერარდი (37), 1:1 იურიჩი (70), 2:1 კუნიკო (90)

**ვიჩენცა-ჩიტადელა 1:0**
გოლი: 1:0 აბრუსკატო (29)

**მოდენა-ტრიესტინა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიენა | 6 | 4 | 2 | 0 | 9-4 | 14 |
| 2. ნოვარა | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| 3. კროტონე | 6 | 2 | 4 | 0 | 8-4 | 10 |
| 4. ვიჩენცა | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 5. ემპოლი | 6 | 2 | 4 | 0 | 5-3 | 10 |
| 6. პორტოგრუარო | 6 | 3 | 1 | 2 | 6-6 | 10 |
| 7. პადოვა | 6 | 2 | 3 | 1 | 8-3 | 9 |
| 8. ასკოლი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-5 | 9 |
| 9. ატალანტა | 6 | 2 | 3 | 1 | 5-2 | 9 |
| 10. ფროზინონე | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 11. რეჯინა | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 12. სასუოლო | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| 13. ტორინო | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| 14. მოდენა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-8 | 7 |
| 15. პესკარა | 6 | 1 | 3 | 2 | 4-5 | 6 |
| 16. ტრიესტინა | 5 | 1 | 3 | 1 | 3-4 | 6 |
| 17. ვარეზე | 6 | 1 | 3 | 2 | 4-6 | 6 |
| 18. ლივორნო | 6 | 1 | 3 | 2 | 5-9 | 6 |
| 19. გროსეტო | 6 | 1 | 2 | 3 | 4-6 | 5 |
| 20. ალბინოლეფე | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 21. ჩიტადელა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 22. პიაჩენცა | 6 | 0 | 1 | 5 | 3-10 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - ბერტანი (ნოვარა); 4 - ბონაცოლი (რეჯინა), სუჩი (პადოვა); 3 - პასკუატო (მოდენა), ტორი (ალბინოლეფე), კასტელანი (სასუოლო), კორალი (ემპოლი), ლუნკო (ტორინო), მასტრონუნციო (სიენა), ჯინესტრა (კროტონე), კუტოლო (კროტონე), დიონისი (ლივორნო), აბრუსკატო (ვიჩენცა), ტორი (ალბინოლეფე), გონსალესი (ნოვარა).

## ლეგა პრო 1/A

### VI ტური

ალესანდრია-გუბიო 2:0, ბასანო-პერგოკრემა 1:0, კრემონეზე-ლუმეცანე 1:0, მონცა-სორენტო 1:1, რავენა-სუდტიროლი 0:1, რეჯანა-ვერონა 0:0, სალერნიტანა-პავია 3:1, სპალ-პაგანეზე 3:1, სპეცია-კომო 1:1.

## ლეგა პრო 1/B

### VI ტური

ჯელა-ლუკეზე 3:0, ანდრია-ფოლინო 2:1, კოზენცა-პიზა 0:0, იუვე სტაბია-ფოჯა 0:2, სირაკუზა-ნოჩერინა 2:0, ტერნანა-ბარლეტა 2:0, ვიარაჯო-ბენევენტო 1:2, ჩისკო რომა-ვირტუსი გადაიდო, ტარანტო-კავეზე დღეს.




განახლებული რესტორანი თეთრი სახლი
გეპატიჟებათ ღირსშესანიშნავი თარიღისა და სადღესასწაულო ღონისძიებების აღსანიშნავად.

- გამორჩეული ქართულ - ევროპული სამზარეულო
- სასიამოვნო და კომფორტული გარემო
- მაღალი ხარისხის მომსახურება - დაბალი ფასები
- ცოცხალი მუსიკა

ღიაა ყოველდღე 11:00 - სთ-დან.

მალე
რესტორნის მეორე სართულზე
გაიხსნება საბავშვო და თინეიჯერული სადღესასწაულო ცენტრი

მის: მტკვრის მარცხენა სანაპირო, ტელ: 479567, 893907733, 899104344

ჰოლანდია. ერედივიზიონი. VII ტური

# მხოლოდ ქულებს დასჯერდნენ...

ყველაზე დიდ ინტერესს „ტვენტე"-"აიაქსის" შეხვედრა იწვევდა და აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მატჩმა გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და საყაიმო რეზულტატით დასრულა. ამსტერდამელებმა ორჯერ მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება და ორივეჯერ **იანსენის** გოლს უპასუხეს. ჰოლანდიელი ჟურნალისტების ცნობით, გამარჯვებასთან უფრო ახლოს მაინც სტუმრები გახლდნენ, როლებსაც შეხვედრის მიწურულს ორჯერ შეეძლოთ გადამწყვეტი გოლის გატანა. თავის გამოჩენა ორივეჯერ **სუარესს** შეეძლო, რომელიც იმ დღეს ძალიან აქტიური უყო, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა. საბოლოო ჯამში, დაფიქსირებული შედეგით ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩა, რაზეც ამსტერდამელთა თავკაცის, **მარტინ იოლის** კომენტარი მეტყველებს:

*„ჩვენი მიზანი ნებისმიერ შეხვედრაში სამი ქულის მოპოვებაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაფიქსირებული საყაიმო რეზულტატი წარუმატებლობად მივიჩნიოთ. „ტვენტე" ჰოლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და მასთან გასვლაზე ქულის აღება აქტივში უნდა ჩავიწეროთ, ეგ არის, რომ საგოლე მომენტების რეალიზებაზე გვმართებს მუშაობა - ამ კუთხით ბევრი პრობლემა გვაქვს".*

ლიდერის წაფორხილებით ვერ ისარგებლა პსვ-მ და საშინაო შეხვედრაში „გრონინგენთან" მხოლოდ ფრეს დასჯერდა. **ფრედ რუტენის** შეგირდები ძალიან ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე კონცენტრაცია დაკარგეს და **გარსია-გარსიასგან** გამათანაბრებელი გოლი მიიღეს. „გრონინგენმა" კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ საკმაოდ სერიოზული გუნდია და მიმდინარე სეზონში, მაღალი მიზნების მიღწევა შეუძლია. ჰოლანდიელი ჟურნალისტების ცნობით, სტუმრებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში, ძალიან ორგანიზებულად მოქმედებდნენ და მოპოვებული ქულა სრულიად დაიმსახურეს.

დაბოლოს, „ვიტესზე" უნდა ვთქვათ, გუნდზე, რომელიც როგორც ჩანს ალმავლობის გზას დაადგა და ამ გზაზე „ექსელსიორს" გასვლითი პაექრობა მოუგო. სასიხარულოა, რომ **გურამ კაშიამ** ამჯერადაც სრულად იასპარეზა.

**ჰერენვენი-როდა 2:2**

გოლები: 1:0 დოსტი (15), 2:0 დოსტი (35), 2:1 დიუმი (70), 2:2 იუნკერი (76)

**დენ ჰააგი-ჰერაკლესი 3:2**

გოლები: 0:1 პლეტი (17), 1:1 იმერსი (29), 2:1 ბულიკინი (44), 2:2 ევერტონი (66), 3:2 ბულიკინი (70)

**პსვ-გრონინგენი 1:1**

გოლები: 1:0 ტოივონენი (63), 1:1 გარსია-გარსია (88)

**ალკმაარი-უტრეხტი 1:0**

გოლი: 1:0 ელმი (43)

**ტვენტე-აიაქსი 2:2**

გოლები: 1:0 იანსენი (11), 1:1 ჰამდაუი (15), 2:1 იანსენი (62), 2:2 ენოი (68)

**ბრედა-ვილემი 2:1**

გოლები: 0:1 ლანდგრინი (7), 1:1 ლუიცკი (65), 2:1 კოლკა (80)

**ნიიმეგენი-ფეიენოორდი 3:0**

გოლები: 1:0 ხონე (19), 2:0 ვოორდე (83), ნოუტინკი (90)

**ექსელსიორი-ვიტესი 0:2**

გოლები: 0:1 სტევანოვიჩი (50), 0:2 აისატი (62)

**ვენლო-დე გრაფსხააპი 1:0**

გოლი: 1:0 ბოიმანსი (62)



ეინდჰოვენის მწვრთნელ ფრედი რუტენს საშინაო ფრე ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 7 | 5 | 2 | 0 | 20-7 | 17 |
| 2. პსვ | 7 | 4 | 3 | 0 | 18-6 | 15 |
| 3. გრონინგენი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-5 | 15 |
| 4. ტვენტე | 7 | 3 | 4 | 0 | 11-3 | 13 |
| 5. როდა | 7 | 3 | 3 | 1 | 11-9 | 12 |
| 6. დენ ჰააგი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-16 | 11 |
| 7. ნიიმეგენი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-13 | 10 |
| 8. ბრედა | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 10 |
| 9. ექსელსიორი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-13 | 10 |
| 10. ჰერენვენი | 7 | 2 | 3 | 2 | 12-12 | 9 |
| 11. ალკმაარი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-8 | 9 |
| 12. უტრეხტი | 7 | 3 | 0 | 4 | 10-12 | 9 |
| 13. ფეიენოორდი | 7 | 2 | 1 | 4 | 11-12 | 7 |
| 14. ვიტესი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| 15. დე გრაფსხააპი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-18 | 7 |
| 18. ვენლო | 7 | 2 | 0 | 5 | 7-11 | 6 |
| 19. ჰერაკლესი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-11 | 5 |
| 20. ვილემი | 7 | 0 | 0 | 7 | 6-22 | 0 |

ლაშა წიკლაური

შოტლანდია. პრემიერლიგა. VI ტური

# რეინჯერსმა გრანიტი დაამტვრია

სქოთთა პრემიერლიგაში, რასაკვირველია, უმთავრეს ყურადღებას „სელტიკისა" და „რეინჯერსის" გამოსვლა იწვევს. „სელტიკმა" შაბათს ითამაშა, „ჰიბერნიანს" მოუგო 2:1. ეს შეხვედრა მიმომხილველებმა სხარტად ასე დაახასიათეს: გლაზგოს გუნდმა შავმუშური სტილით მოიგოო. ანგარიში „ჰიბსის" ყოფილმა ფეხბურთელმა **სკოტ ბრაუნმა** მეხუთე წუთზევე გახსნა. მან დაახლოებით საჯარიმოს კიდიდან დაარტყა ოსტატურად. უსახური შეხვედრა ცოტათი მეორე ტაიმის დასაწყისში, ათწუთიან მონაკვეთში გასულმა ორმა გოლმა გაახალისა - ჯერ **გლენ ლუვენსის** თავურმა კიდევ უფრო დააწინაურა „სელტიკი", შემდეგ კი **დერეკ რიორდანმა** ტექნიკურად „ჩააგდო" ბურთი მასპინძელთა კარში. გლაზგოს გუნდში მოთამაშე მექსიკელმა **ეფრეინ ხუარემა** ძელსაც გაარტყა ბურთი.

„რეინჯერსის" თამაში კი, პირიქით, ძალიან დრამატული გამოვიდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ „აბერდინი" თავიდან 2:0-ს იგებდა და ჩემპიონმა ამის მერეღა გაუტანა სამი გოლი. ამას კიდევ დაამატეთ, რომ ორი გოლი გუნდის თავდასხმის ლიდერმა **კენი მილერმა** გაიტანა...

ამრიგად, ეს გახლდათ „გრანიტის ქალაქში" (ასე ეძახიან აბერდინს) „რეინჯერსის" პირველი გამარჯვება ბოლო სამ წელიწადში ანუ მას მერე, რაც გუნდი ხელახლა ჩაიბარა **უოლტერ სმიტმა** და ამ გამარჯვების წყალობით, გატანილ-გაშვებულთა უკეთესი სხვაობის გამო ჩემპიონი კვლავ საჩემპიონო ადგილზეა.

**სელტიკი-ჰიბერნიანი 2:1**

გოლები: 1:0 ბრაუნი (5), 2:0 ლუვენსი (51), 2:1 რიორდანი (54)

**დანდი-სტ. ჯონსტონი 1:0**

გოლი: 1:0 გუდვილი (61)

**ჰემილტონი-კილმარნოკი 2:2**

გოლები: 1:0 პაიშაო (15), 2:0 პასელბაინკი (38), 2:1 პემილი (83-პენ), 2:2 სემონი (89)

**ჰართსი-მოზერუელი 0:2**

გოლები: 0:1 ბლექმენი (58), 0:2 სატონი (70)

**სტ. მირენი-ინვერნესი 1:2**

გოლები: 0:1 ოდიამბო (45), 0:2 ოდიამბო (50), 1:2 მაკგოვანი (77)

**აბერდინი-რეინჯერსი 2:3**

გოლები: 1:0 ვერნონი (10), 2:0 მეგუაირი (30), 2:1 მილერი (34-პენ), 2:2 მილერი (52), 2:3 ჟელავიჩი (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 6 | 6 | 0 | 0 | 16-5 | 18 |
| 2. სელტიკი | 6 | 6 | 0 | 0 | 13-2 | 18 |
| 3. მოზერუელი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 4. ჰართსი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-8 | 8 |
| 5. დანდი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-11 | 8 |
| 6. აბერდინი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-8 | 7 |
| 7. ინვერნესი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| 8. კილმარნოკი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 9. ჰიბერნიანი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-10 | 5 |
| 10. ჰემილტონი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-13 | 5 |
| 11. სტ. ჯონსტონი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-8 | 4 |
| 12. სტ. მირენი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-11 | 4 |

ბომბარდირები: 8 - მილერი (რეინჯერსი); 4 - ელიოტი (ჰართსი); 3 - ბლექმენი (მოზერუელი), ჰარტლი (აბერდინი), რუნი (ინვერნესი), ოდიამბო (ინვერნესი).

ილია ბაბუნაშვილი



# როგორ უნდა მოიგო, როცა ამის შანსი არ გაქვს?

ამას წინათ „ლიონის“ პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ** მეტად საინტერესო რამ თქვა: *„ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ჟოზე მოურინიოს ჩემი გუნდის თავკაცობას ვთავაზობდი, მაგრამ ფინანსურ საკითხებზე ვერ მოვრიგდით“.*

არ ვიცით, რამდენად სიმართლეა, მაგრამ 2008 წლის ზაფხულში ოლა მწვრთნელად **კლოდ პიუელი** მოიყვანა, რომელმაც ამ თანამდებობაზე **ალენ პერენი** შეცვალა. სხვათა შორის, პერენმა კლუბში ერთადერთი სეზონი დაყო და არავინ იცის, გუნდმა მის ხელში საფრანგეთის ჩემპიონატი ზედიზედ მეშვიდედ რომ მოიგო, პერენის დამსახურება იყო, თუ ჩემპიონობა **სანტინი-ლე გენიულიეს** მიერ აწყობილი მანქანის ინერციული სვლის შედეგი გახლდათ. კიდევ ერთი კომპლიმენტი პერენს: ამ კაცმა „ლიონს“ არსებობის ისტორიაში პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად დუბლი მოაგებინა - 2008-ში გუნდმა საფრანგეთის თასიც მოიგო.

პერენი საფრანგეთიდან ყატარში გადაბარგდა და იქ კარგ ფულსაც შოულობს, „ლიონში“ კი კლოდ პიუელია. ოლამ ორი წლის წინათ მოურინიუს მოყვანის მცდელობა რომ ახსენა, აი, რა დაამატა: *„მაინც ვეცდები, ჟოზე მოურინიო „ლიონში“ მოვიყვანო, ოღონდ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ჩემს გუნდს კლოდ პიუელი აღარ უხელმძღვანელებს...“*

მოურინიოს შევეშვათ, ის მაინც არაა „ლიონში“ მომსვლელი და ოლა უბრალოდ ჟურნალისტებზე „მუშაობს“ - ასეთი განცხადებებით გუნდის წარუმატებლობებიდან საკუთარ პერსონასა და სეუ ჟოზეზე განზრახ გადააქვს ყურადღება. „ლიონის“ ყოფილ, ახლანდელ და ვინძლო, მომავალ მწვრთნელებს ამდენი იმიტომ „ვუტრიალეთ“, რომ შაბათის მერე ეს თემა მეტად აქტუალური გახდა - ლიონელი ფანები პიუელის გადადგომას ითხოვენ...

პერენის შემცვლელის ხელში პირველ სეზონში გუნდმა 7-წლიანი ძლევამოსილი სვლა შეწყვიტა და მესამე ადგილს დასჯერდა, ხოლო გასული სეზონი ვიცე-ჩემპიონის რანგში დაამთავრა, თუმცა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ისტორიაში პირველად კი გავიდა.



სამწვრთნელო ვნებათაღელვა ლიონი-სტ. ეტიენის დროს

შაბათს კი პიუელის გუნდს კვლავ არ გაუმართლა - „არ გაუმართლა“ იმიტომ, რომ „ლიონი“ არათუ მარცხს არ იმსახურებდა, ფრეც კი ალოგიკური შედეგი იქნებოდა, ხოლო „კვლავ“ ბორდოული თამაშის გახსენებამ დაგვაწერინა. ერთი კვირით ადრე ლიონელები „ბორდოსთან“ დამარცხდნენ, არადა მეტოქეს არაფერში ჩამოუვარდებოდნენ და უბრალოდ ბორდოელებმა თავისი მომენტები გამოიყენეს, ხოლო ლიონელებმა - არა. შაბათის მატჩზე კი საუბარიც ზედმეტია, „ლიონმა“ ჩემპიონატის სენსაციური ლიდერი „სენტ ეტიენი“ ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრა, მაგრამ მაინც წააგო ისეთი მატჩი, რომელიც, წესით, 4-5-ბურთიანი სხვაობით უნდა მოეგო.

„სტად ჟერლანზე“ მისულმა თითქმის 40 ათასმა მაყურებელმა იშვიათი ცალკარა იხილა - მასპინძლები უდიდეს ტერიტორიულ თუ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ. ასე დაიწყო თამაში და ასე იყო მთელი 90 წუთის განმავლობაში. ბურთი „მწვანეთა“ ძელსაც მოხვდა, ხარიხასაც, სტუმართა მეკარე ხომ დაფრინავდა და პლუს ამას, **ჟერემი ჟანოს** მცველებიც კარგად აზლევევდნენ. ერთხელ ბურთი უკვე დაუცველი კარიდან ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **დიმიტრი პაიემაც** გამოიტანა! 55-ე წუთზე კი სტუმრები **ანტონი გოტიემაც** იხსნა. იკითხავთ, ეს გოტიე ვინლააო? - ვინ და, მატჩის არბიტრი. ამ კაცმა მეორე ტაიმის მეათე წუთზე „სენტ ეტიენის“ კარში ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. მინდორზე მყოფი ლიონელები გაოგნდნენ, როცა მათი ხორვატი მცველის, **დეიან ლოვრენის** დარტყმის შემდეგ კარში მიმავალი ბურთი სტუმარი გუნდის ერთ-ერთ მცველს ხელზე მოხვდა და არბიტრმა თამაშის გაგრძელება ბრძანა. პიუელმა ხომ ფერი დაკარგა და სათადარიგო მეკარე **რემი ვერკუტმა** თავი გაიგიჟა და რეფერის საცემად გაიწია.

ვერკუტი თანაგუნდელებმა ძლივს გააკავეს, ხოლო გოტიემ ყვითელი ბარათი უჩვენა, რაზეც პასუხად ჩვენებური „ნადი, შენის“ ფრანგული ანალოგი მიიღო. რეფერიმ არ დაუთმო და თავისი იარალი მეორედ გამოიყენა - სათადარიგო კიპერს მეორე ყვითელი და შემდეგ წითელი ბარათიც უჩვენა.

ამ მომენტმა ლიონელები კი არ გატეხა, პირიქით, მეტი ჟინით შეტევისკენ უბიძგა. ისევ ძელი, ხარიხა, ოდნავ არაზუსტი დარტყმების სერია... 75-ე წუთზე კი იქამდე აბსოლუტურად უსაქმოდ მყოფი **უგო ლორისის** კარისკენ ჯარიმა დაინიშნა, ბურთთან ხსენებული **პაიე** მივიდა და 20 მეტრიდან ლიონელთა კარი მაღალი კუთხე ულამაზესი ჩახვეული დარტყმით აიღო. ეს პაიეს მეშვიდე გოლი იყო პირველობის მეშვიდე მატჩში, ხოლო ლიონელები ნამდვილ შოკში აღმოჩნდნენ.

მართლაც ძნელი გასახსენებელია, როცა ერთ გუნდს მეორეზე ამხელა უპირატესობა აქვს და მარცხდება. ლიონელებმა ჟანოს კარის მიმართულებით 27-ჯერ დაარტყეს, 11 კუთხური მოაწოდეს, მაგრამ ეს მათი დღე არ იყო. საიუბილეო, მეასე რონული დერბი სრულიად უსამართლო შედეგით დასრულდა - 0:1.

რასაკვირველია, „ჟერლანზეც“ და ტელეეკრანებთანაც „ლიონის“ უამრავი ქომაგი ალიარებდა, რომ გუნდს ფატალურად არ გაუმართლა. მაგრამ არიან რადიკალებიც - თამაში ჯერ მორჩენილიც არ იყო, სტადიონის ტრიბუნაზე დიდი ბანერი რომ გაიშალა მოწოდებით „პიუელ, დატოვე თანამდებობა!“ - მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კლოდ პიუელი გულგატეხილი იყო.

*„ხანდახან ფეხბურთი უსამართლოა. „სენტ ეტიენს“ გამარჯვებას ვულოცავ. ამ გუნდმა ჩაგვიტარა გაკვეთილი თემაზე - „როგორ უნდა მოიგო, როცა ამის შანსი არ გაქვს“. ჩემი ფეხბურთელები იმედგაცრუებულნი არიან. რაც შეეხება ჩემს გადადგომას, საკუთარი ნებით ამ ნაბიჯს არ გადავდგამ. მე ის კაცი ვარ, რომელიც „ლიონს“ სჭირდება“,* - თქვა პიუელმა.

„სენტ ეტიენმა“ ბედის საჩუქარი, დაუგეგმავი სამი ქულა ჩაიჯიბა და ცხრილის პირველ საფეხურზე უკვე კომფორტულად გამაგრდა, რაკი „ტულუზმა“ „ლილთან“ შეხვედრაში ქულის გადარჩენა რის ვაი-ვაგლახით შეძლო. ზედიზედ მესამე ვერმოგებულმა მატჩმა სამხრეთელები ცხრილის მესამე საფეხურამდე ჩამოაქვეითა, ხოლო მეორეზე „რენი“ ავიდა, რომელმაც ლაჟვარდოვან სანაპიროზე სტუმრობა სამი ქულის მოპოვებით აღნიშნა. „რენის“ გარდა წაუგებლად ხსენებული „ლილიც“ ასპარეზობს, თუმცა ჩრდილოელებს 7 მატჩიდან მხოლოდ 2 აქვთ მოგებული.

„მარსელმა“ ტაიე ტაივოსა და ლუჩო გონსალესის საუცხოო გოლებით „სოშო“ დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა, ხოლო ფრანგული საფეხბურთო ელიტის ახალმა წარმომადგენელმა „არლმა“ ქულის აღება ვერც მეშვიდე ტურში მოახერხა - მონპელიეში 1:3 წააგო.

### მომდევნო ტური

2 ოქტომბერი. **არლი-ოსერი, ბორდო-ლორიანი, მონაკო-ბრესტი, ნანსი-ლიონი, სოშო-ლანსი, ვალანსიენი-კაენი, სენტ ეტიენი-მარსელი.** 3 ოქტომბერი. **ლილი-მონპელიე, პსჟ-ნიცა, რენი-ტულუზი.**

## ბელგია

### იუპილერ ლიგა. IX ტური

**სერკლი-კორტრეიკი 2:1**

**გოლები:** 0:1 მბოიო (20), 1:1 ნიეტო (36), 2:1 ოვუსუ (47)

**შარლერუა-ლიერსი 0:1**

**გოლი:** 0:1 კოვაჩი (56)

**ეუპენი-ლოკერენი 0:1**

**გოლი:** 0:1 ოვერმეირე (18)

**გენკი-ვარეგემი 3:0**

**გოლები:** 1:0 ვოსენი (66), 2:0 ბარდა (72), 3:0 ბარდა (74)

**გენტი-სტ. ტრუიდენი 2:0**

**გოლები:** 1:0 დე სმეტი (45), 2:0 კულიბალი (68)

**ვესტერლო-სტანდარდი 1:2**

**გოლები:** 0:1 სირიაკი (44), 0:2 სირიაკი (70), 1:2 ენრიკე (82)

**ანდერლეხტი-მეხელენი 5:0**

**გოლები:** 1:0 ბუსუფა (17), 2:0 ჟიიე (71), 3:0 სუარესი (74), 4:0 დეშახტი (79), 5:0 ლეჟარი (90)

**ზეერსხოტი-ბრიუგე 2:1**

**გოლები:** 0:1 გერარტსი (32), 1:1 პარუნი (67), 2:1 ნეგრაუ (85)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 9 | 8 | 1 | 0 | 29-6 | 25 |
| 2. ანდერლეხტი | 9 | 6 | 3 | 0 | 22-2 | 21 |
| 3. გენტი | 9 | 6 | 1 | 2 | 18-14 | 19 |
| 4. სტანდარდი | 9 | 5 | 2 | 2 | 15-9 | 17 |
| 5. მეხელენი | 9 | 5 | 2 | 2 | 10-10 | 17 |
| 6. ბრიუგე | 9 | 4 | 1 | 4 | 20-12 | 13 |
| 7. კორტრეიკი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-10 | 13 |
| 8. სერკლი | 9 | 3 | 4 | 2 | 13-14 | 13 |
| 9. ლოკერენი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-16 | 12 |
| 10. ვესტერლო | 9 | 3 | 2 | 4 | 9-10 | 11 |
| 11. ზეერსხოტი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-12 | 11 |
| 12. ვარეგემი | 9 | 2 | 4 | 3 | 14-15 | 10 |
| 13. სტ. ტრუიდენი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-16 | 7 |
| 14. ლიერსი | 9 | 1 | 2 | 6 | 7-17 | 5 |
| 15. შარლერუა | 9 | 1 | 2 | 6 | 5-18 | 5 |
| 16. ეუპენი | 9 | 0 | 1 | 8 | 3-19 | 1 |

გვერდი მოამზადა
**სლავა გასპაროვმა**

**ოსერი-ნანსი 2:2**

**ოსერი:** სორენი, ანგბარი, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი, პედრეტი, ნდინგა, ოლიეჩი, ბირსა (71. შაფნი), ლანჟილი, კონტუ.

**ნანსი:** ბრასილიანო, კრეტიენი, სამი, ანდრე ლუიში (46. ნდიაი), ლემეტრი, ტრაორე, ნგუემო, ფერე (87. დიაკიტე), ვაირუა (74. კორეა), კიუვიიე, ჰაჯი.

**გოლები:** 1:0 ოლიეჩი (2), 2:0 ოლიეჩი (11), 2:1 კიუვიიე (17), 2:2 ვაირუა (37)

**გაფრთხილება:** 3-2; **კარში დარტყმა:** 15-8 (6-5); **ჯარიმა:** 8-17; **კუთხური:** 3-1; **თამაშგარე:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 7 664

**კაენი-ბორდო 0:0**

**კაენი:** ტებო, ბარსოლა, სორბონი, ერტო (89. ლაზარევიჩი), ტაფორო, მარკი, ამუმა, იატაბარე, ნივე, მოლო (64. ტრაორე), ელარაბი.

**ბორდო:** კარასო, შალმე, ფერნანდუ, სიანი, ტრემულენა, დიარა, გუფრანი, პლაშილი, ჟუსიე, ვენდელი (66. ბენ ხალფალა), მააზუ (57. მოდესტი).

**გაფრთხილება:** 2-2; **კარში დარტყმა:** 3-13 (1-5); **ჯარიმა:** 20-11; **კუთხური:** 3-2; **თამაშგარე:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 19 467

**ლორიანი-მონაკო 2:1**

**ლორიანი:** ოდარი, ბაკა, ეკოუელ მანგა, ბურიიონი, ლე ლანი, ამალფიტანო, რომაო, მვუემბა, დიარა (85. მონე-პაკე), გამეირო, კიტამბალა.

**მონაკო:** რუფიე, ადრიანუ, პიუგრენიე, მონგონგუ, კურზავა (60. ლოლო), მენდი, ნკულუ, ობამეიანგი, ნიკულაე (46. ჰანსონი), პარკი, მბოკანი (88. ბიულო).

**გოლები:** 1:0 გამეირო (6), 1:1 მბოკანი (26), 2:1 კიტამბალა (89)

**გაძევება:** პიუგრენიე (45. მონაკო)

**გაფრთხილება:** 1-4; **კარში დარტყმა:** 18-2 (6-1); **ჯარიმა:** 8-20; **კუთხური:** 8-0; **თამაშგარე:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 16 021

**მარსელი-სოშო 2:1**

**მარსელი:** მანდანდა, ასპილიკუეტა (71. კაბორე), დიავარა, მბია, ტაივო, ლუჩო, სისე, შეირუ, ვალბუენა (61. რემი), ჟინიაკი, ანდრე აიუ (79. ბრანდაუ).

**სოშო:** დრეიერი, ფატი, პერკი, ბრეშე, სოჟე, ბუდებუზი (64. მორის-ბელეი), კარლაუ (80. ბიუტენი), ანენი, მარტენი, ბრაუნი, მაიგა.

**გოლები:** 1:0 ტაივო (19), 2:0 ლუჩო (61), 2:1 მორის-ბელეი (76)

**გაფრთხილება:** 0-2; **კარში დარტყმა:** 24-8 (5-2); **ჯარიმა:** 15-17; **კუთხური:** 9-2; **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 49 895

**მონპელიე-არლი 3:1**

**მონპელიე:** ჟურდრანი, კოლენი, იანგამ'ბივა, სპაჰიჩი, ჟენშანი, პიტო, მარვო, ესტრადა (87. მარტენი), ბელჰანდა, ჟირუ (65. კამარა), ქაბზე (69. სტამბული).

**არლი:** პლანტე, აბენზოარი, მეხია, პავონი, ფანშონი, ჯა ჯეჯე, პიოსელი, ბასინასი (79. ბენ იდირი), პსომი, მერიემი, ხარისტეასი (42. კერმორგანი).

**გოლები:** 1:0 ჟირუ (42), 2:0 ჟირუ (48 პენ.), 2:1 კერმორგანტი (61), 3:1 კამარა (82)

**გაძევება:** კოლენი (54. მონპელიე)

**გაფრთხილება:** 2-4; **კარში დარტყმა:** 11-14 (4-4); **ჯარიმა:** 21-24; **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 11 044

**ნიცა-რენი 1:2**

**ნიცა:** ოსპინა, კულიბალი, სიველი, მაბიალა, გასი, დიაკიტე, საბლე (82. ბენ საადა), მულუნგი (52. ბამოგო), ფაე, მუნიე (85. ტრაორე), ლიუბოია.

**რენი:** დუშე, დანზე, კანა-ბიიკი, მანგანი, ტეოფილ-კატრენი, მანჯეკი (63. დუმბია), დალმა, მვილა, ლერუა (73. ეკოკო), მონტანიო, მარვო (89. ბრაიმი).

**გოლები:** 0:1 დალმა (7), 1:1 ლიუბოია (26), 1:2 მონტანიო (77)

**გაფრთხილება:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-10 (2-5); **ჯარიმა:** 13-21; **კუთხური:** 2-4; **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 7 577

**ლიონი-სენტ ეტიენი 0:1**

**ლიონი:** ლიორისი, რევეიე, დიაქატე, ლოვრენი, სისოკო, ტულალანი, კალსტრიომი, ბრიანი (87. პიე), ბაშტუში, გურკუფი (82. პიანიჩი), გომისი.

**სენტ-ეტიენი:** ჟანო, ებონდო, მარშალი, მონსორო, ბოკანეგრა, პერენი, მატუიდი, ბატლესი (72. გვილავოგვი), საკო (69. ბერხესიო), პაიე, რივიერი.

**გოლი:** 0:1 პაიე (75)

**გაძევება:** ვერკუტრი (55. ლიონი)

**გაფრთხილება:** 5-4; **კარში დარტყმა:** 27-6 (5-2); **ჯარიმა:** 11-21; **კუთხური:** 11-1; **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 39 408

**ბრესტი-ვალანსიენი 1:0**

**ბრესტი:** ელანა, დაფი, ბრუ აპანგა, ქანთარი, ბეისი, ევოლო, ლიჩკა, ტურე (58. გრუჟი), მიჩოლა (74. პუაიე), ლეზუამიე (85. ნგოი), რუ.

**ვალანსიენი:** პენეტო, მატერი (82. აბუბაკარი), მირინი, ბალდე, ბონგი, დიუკურტიუ, დანიკი, კოადი, დოსევი, სამასა, პუჟოლი.

**გოლი:** 1:0 რუ (77)

**გაფრთხილება:** 0-3; **კარში დარტყმა:** 14-5 (5-3); **ჯარიმა:** 14-19; კუთხური: 7-4; **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 520

### ლიგა 1. VII ტური

**ტულუზი-ლილი 1:1**

**ტულუზი:** [illegible]ინო, სეტო, ფოფანა, კონგრე, კაპუ, სისოკო (68. ბრაატენი), დევო, დიდო, მაშადუ (81. რეგატენი), სანტანდერი (61. ტაფერი).

**ლილი:** ლანდრო, ვანდამი (74. შეჯუ), რამი, როზეჰნალი, ემერსონი, ბალმონი, მავუბა, კაბეი, ჟერვინიო, სოვი (80. ფრო), ობრანიაკი (70. აზარი).

**გოლები:** 0:1 ჟერვინიო (27), 1:1 დევო (75)

**გაფრთხილება:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14-7 (5-2); **ჯარიმა:** 21-12; **კუთხური:** 3-0; **თამაშგარე:** 0-0; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 15 101

**ლანსი-პსჟ 0:2**

**ლანსი:** რუნიე, დემონი, იაჰია, ჰერმაში, ბედიმო, სერტიჩი, კოვაჩევიჩი (87. აკალე), ედუარდუ (73. ჟემაა), რუდე, ბუკარი, მაულიდა (62. პოლე).

**პსჟ:** ედელი, ჟალე, არმანი, საკო, ტიენე, ჟიული (75. კლემანი), მაკელელე, შანტომი, ნენე, ერდინჩი, ოარო (80. ლუინდულა).

**გოლი:** 0:1 ბედიმო (50-საკ. კარში), 0:2 ნენე (90)

**გაფრთხილება:** 1-3; **კარში დარტყმა:** 9-14 (3-5); **ჯარიმა:** 18-19; **კუთხური:** 3-7; **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 28 676

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. ეტიენი | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 | 16 |
| 2. რენი | 7 | 4 | 3 | 0 | 9-3 | 15 |
| 3. ტულუზი | 7 | 4 | 2 | 1 | 9-4 | 14 |
| 4. კაენი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-6 | 12 |
| 5. პსჟ | 7 | 3 | 2 | 2 | 11-6 | 11 |
| 6. მარსელი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-9 | 11 |
| 7. ლილი | 7 | 2 | 5 | 0 | 8-4 | 11 |
| 8. ბრესტი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-4 | 11 |
| 9. მონპელიე | 7 | 3 | 2 | 2 | 6-6 | 11 |
| 10. სოშო | 7 | 3 | 1 | 3 | 13-9 | 10 |
| 11. ნიცა | 7 | 2 | 3 | 2 | 7-10 | 9 |
| 12. მონაკო | 7 | 1 | 5 | 1 | 7-6 | 8 |
| 13. ბორდო | 7 | 2 | 2 | 3 | 7-7 | 8 |
| 14. ლორიანი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| 15. ნანსი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-12 | 8 |
| 16. ვალანსიენი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-7 | 7 |
| 17. ოსერი | 7 | 0 | 5 | 2 | 7-10 | 5 |
| 18. ლიონი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-9 | 5 |
| 19. ლანსი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-14 | 5 |
| 20. არლი | 7 | 0 | 0 | 7 | 3-16 | 0 |

**ბომბარდირები:** 7 - პაიე (სენტ-ეტიენი); 4 - ელ არაბი (კაენი), ნენე (პსჟ); 3 - ოარო (პსჟ), ნიკულაე (მონაკო), პედრეტი (ოსერი), ბრაატენი (ტულუზი), ანდრე აიუ (მარსელი), ტაივო (მარსელი), მონტანიო (რენი), ჟირუ (მონპელიე).

### ლიგა 2

### VIII ტური

**ისტრი-კლერმონი 2:2**

**გოლები:** 0:1 ალესანდრინი (14), 0:2 ბეიო (19), 1:2 ადეილსონი (25), 2:2 პერენელი (78-საკ. კარში)

**ლავალი-აიაჩო 0:0**

**ლე ავრი-ანჟერი 1:0**

**გოლი:** 1:0 ფოლი (88-საკ. კარში)

**ლე მანი-დიჟონი 2:2**

**გოლები:** 1:0 პოლი (18-საკ. კარში), 2:0 ჰელსტადი (33), 2:1 სანხარე (61), 2:2 რიბასი (90)

**მეცი-რეიმსი 0:0**

**ნანტი-გრენობლი 2:1**

**გოლები:** 1:0 დარბიონი (20), 2:0 პიერი (25), 2:1 ბურაბია (76)

**ნიმი-სედანი 2:0**

**გოლები:** 1:0 სტოშიჩი (45), 2:0 სტოშიჩი (51)

**ტრუა-შატორუ 3:1**

**გოლები:** 1:0 დუამელი (33), 2:0 მარკუში (45 პენ.), 2:1 ლაფურკადი (81), 3:1 დიუფური (90-საკ. კარში)

**ვანი-ტური 0:0**

**ევიანი-ბულონი** დღეს

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტური | 8 | 5 | 2 | 1 | 13-8 | 17 |
| 2. ტრუა | 8 | 5 | 0 | 3 | 11-6 | 15 |
| 3. სედანი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 4. ევიანი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| 5. ლე ავრი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-7 | 13 |
| 6. შატორუ | 8 | 3 | 3 | 2 | 8-7 | 12 |
| 7. დიჟონი | 8 | 2 | 5 | 1 | 13-9 | 11 |
| 8. ბულონი | 7 | 2 | 5 | 0 | 7-4 | 11 |
| 9. ნანტი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-7 | 11 |
| 10. ლე მანი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-9 | 10 |
| 11. ნიმი | 8 | 3 | 1 | 4 | 7-7 | 10 |
| 12. აიაჩო | 8 | 2 | 4 | 2 | 5-6 | 10 |
| 13. ვანი | 8 | 3 | 1 | 4 | 7-12 | 10 |
| 14. კლერმონი | 8 | 2 | 3 | 3 | 12-15 | 9 |
| 15. ანჟერი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-8 | 9 |
| 16. ისტრი | 8 | 1 | 5 | 2 | 5-7 | 8 |
| 17. ლავალი | 8 | 1 | 5 | 2 | 4-6 | 8 |
| 18. რეიმსი | 8 | 1 | 4 | 3 | 7-11 | 7 |
| 19. მეცი | 8 | 1 | 3 | 4 | 2-6 | 6 |
| 20. გრენობლი | 8 | 2 | 0 | 6 | 3-9 | 6 |

**ბომბარდირები:** 9 - გიე გიე (ტური), 6 - რიბასი (დიჟონი), 5 - მარკუში (სედანი).

# უცხოური ფეხბურთი

## ჰოლანდია
### II დივიზიონი
VII ტური
- ალმერე-ემენი 1:1
- ფორტუნა-ვოლენდამი 1:2
- ტელსტარი-როსენდაალი 1:3
- იგლზი-ვაალვეიკი 1:3
- დენ ბოში-კამბური 3:3
- სპარტა-ეინდჰოვენი 3:1
- ვეენდამი-მაასტრიხტი 1:0
- აპელდორნი-დორდრეხტი 0:3
- ჰელმონდი-ცვოლე დღეს

## ბელგია
### II დივიზიონი
VII ტური
- მონსი-ჰევერლე 3:3
- რუზელარე-ჰაისტი 2:3
- ტურნე-დენდერი 1:3
- ტუბიზე-სტანდარდი (ვ) 1:1
- ტურნჰაუტი-ბორინაჟი 0:1
- ვაასლანდი-ლომელი 4:1
- ვიზე-ოსტენდე 1:2
- რუპელი-ბრიუსელი 3:1
- ტიენენი-ანტვერპენი 1:3

## პორტუგალია
### II დივიზიონი
III ტური
- ფეირენსე-სანტა კლარა 1:0
- ბელენენსეში-არუკა 1:0
- მორეირენსე-ავეში 1:0
- ოლივეირენსე-ეშტორილი 1:1
- პენაფიელი-ფატიმა 2:1
- კოვილია-ფრეამუნდე 1:0
- ვარზიმი-ტროფენსე 0:0

## შოტლანდია
### I დივიზიონი
VII ტური
- კოუდენბითი-დანდი 2:1
- მორტონი-როსი 0:0
- პარტიკი-დანფერმლაინი 0:2
- რეითი-ფალკირკი 2:1
- სტირლინგი-ქუინი 0:0

### II დივიზიონი
VII ტური
- ეირი-სტენჰაუზმური 2:0
- დამბარტონი-ბრეჩინი 1:3
- ფორფარი-ეირდრი 1:2
- ლივინგსტონი-ისტ ფაიფი 1:1
- პიტერჰედი-ალოა 1:0

### III დივიზიონი
VII ტური
- ალბიონი-ელჯინი 3:1
- ანანი-ქუინზ პარკი 2:1
- ისტ სტირლინგი-ბერვიკი 0:0
- მონროუზი-კლაიდი 8:1
- სტრანრარი-არბროა 4:1

## ავსტრია
IX ტური
- რაპიდი-კაპფენბერგი 3:2
- ტიროლი-ვინერი 0:0
- მატერსბურგი-ლინცერი 3:3
- ზალცბურგი-რიდი 1:0
- შტურმი-ავსტრია 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტიროლი | 8 | 6 | 2 | 0 | 18-4 | 20 |
| 2. რიდი | 9 | 6 | 0 | 3 | 15-7 | 18 |
| 3. შტურმი | 8 | 5 | 1 | 2 | 17-8 | 16 |
| 4. ავსტრია | 9 | 4 | 3 | 2 | 10-8 | 15 |
| 5. ვინერი | 9 | 4 | 2 | 3 | 17-14 | 14 |
| 6. რაპიდი | 9 | 4 | 0 | 5 | 11-14 | 12 |
| 7. ზალცბურგი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-5 | 9 |
| 8. კაპფენბერგი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-15 | 8 |
| 9. ლინცერი | 9 | 1 | 2 | 6 | 7-20 | 5 |
| 10. მატერსბურგი | 9 | 1 | 1 | 7 | 6-21 | 4 |

## კვიპროსი
IV ტური
- ანორთოსისი-ოლიმპიაკოსი 2:1
- დოქსა-ერმისი 1:0
- აეკ-ეთნიკოსი 1:1
- აეპ-აპოელ 1:1
- აპოლონი-ალკი 1:2
- ომონია-აპოპ 0:1
- ენოსისი-აელ 1:1

## არგენტინა
VIII ტური
- ველეს სარსფილდი-ოლიმპო 3:0
- ინდეპენდიენტე-ხიმნასია 1:0
- არგ. ხუნიორსი-ბანფილდი 1:0
- ესტუდიანტესი-ბოკა ხუნიორსი 1:0
- ლანუსი-ოლ ბოისი 1:0
- კოლონი-სან ლორენსო 2:0
- არსენალი-ნიუელსი 0:0
- ურაკანი-გოდოი 1:1
- ტიგრე-რასინგი გვ. დასრულდა
- რივერ პლეიტი-კილმესი გვ. დასრულდა

## აშშ
XXVI ტური
- ფილადელფია-ჩივასი 3:0
- ტორონტო-სან ხოსე 2:3
- დი სი იუნაიტედი-ჰიუსტონი 1:3
- ნიუ ინგლენდი-კოლამბუსი 2:2
- ჩიკაგო-სიეტლი 0:1
- კანზასი-დალასი 1:3
- სოლტ ლეიკი-კოლორადო 1:1

## დანია
X ტური
- მიდტიულანდი-კოპენჰაგენი 0:3
- ოლბორგი-სონდერიისკი 0:2
- ნორდსიელანდი-ჰორსენსი 3:0
- ბრონდბიუ-სილკებორგი 0:2
- ესბერგი-რანდერსი 2:2
- ოდენსე-ლუნგბიუ დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 10 | 8 | 2 | 0 | 23-8 | 26 |
| 2. მიდტიულანდი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-8 | 19 |
| 3. ბრონდბიუ | 10 | 4 | 3 | 3 | 17-15 | 15 |
| 4. ლუნგბიუ | 9 | 4 | 2 | 3 | 15-16 | 14 |
| 5. სონდერიისკი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-13 | 13 |
| 6. ნორდსიელანდი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-14 | 13 |
| 7. რანდერსი | 10 | 2 | 6 | 2 | 12-13 | 12 |
| 8. ოდენსე | 9 | 3 | 2 | 4 | 14-13 | 11 |
| 9. ესბერგი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-18 | 11 |
| 10. სილკებორგი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-16 | 10 |
| 11. ჰორსენსი | 10 | 3 | 1 | 6 | 7-16 | 10 |
| 12. ოლბორგი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-16 | 9 |

### II დივიზიონი
VIII ტური

როსკილდე-კიოლდინგი 3:3; სკივე-ვეილე 6:2; აგფ ორჰუსი-კიოგე 3:2; აკადემისკი-ბრონსჰოი 4:0; ფრედერისია-ჰობრო 1:1; ჰიორინგი-ვესტსილანდი 3:3; ვიბორგი-ჰვიდოვრე 1:3; ფინი-ნაესტვედი 3:1.

## ფინეთის თასი
### ფინალი
- ჰიკ-ტურკუ 0:2

## საბერძნეთი
IV ტური
- ატრომიტოსი-პანსერაიკოსი 2:1
- ოლიმპიაკოსი (ვ)-ასტერასი 3:0
- პანათინაიკოსი-პანიონიოსი 2:1
- ირაკლისი-კავალა 0:1
- ლარისა-კერკირა 1:1
- არისი-ერგოტელისი 1:0
- ქსანთი-პაოკ 1:0
- ოლიმპიაკოსი (პ)-აეკ 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკო (პ) | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 2. პანათინაიკოს | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 3. ოლიმპიაკო (ვ) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 4. კერკირა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 5. ირაკლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 6. ერგოტელისი | 4 | 2 | 0 | 2 | 2-2 | 6 |
| 6. არისი | 4 | 2 | 0 | 2 | 2-2 | 6 |
| 8. პაოკ | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 9. კავალა | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 9. ქსანთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 11. ლარისა | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 12. ასტერასი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 13. აეკ | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 14. პანიონიოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 15. ატრომიტოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 16. პანსერაიკოსი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-8 | 0 |

### II დივიზიონი
III ტური

ტრასივულოსი-ტრიკალა 2:0; ანაგენისი-პანთრაკიკოსი 2:1; დოქსა-დიაგორასი 2:0; ეთნიკოსი (ა)-იონიკოსი 0:0; ოფი-კალითეა 0:0; იანინა-ილუპოლი 3:0; ვერია-ეთნიკოსი (ვ) 2:0; პანაიტოლიკოსი-ლევადია დღეს; პიერიკოსი-აგროტიკოსი დღეს.

## ისლანდია
XXII ტური
- ფრამი-ჰაფნარი 0:3
- ჰაუკარი-ვალური 2:1
- კეფლავიკი-ვესტმანაეიარი 4:1
- რეიკიავიკი-ფილკირი 3:0
- სელფოსი-გრინდავიკი 5:2
- სტიარნანი-ბრეიდაბლიკი 0:0

საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრეიდაბლიკი | 22 | 13 | 5 | 4 | 47-23 | 44 |
| 2. ჰაფნარი | 22 | 13 | 5 | 4 | 48-31 | 44 |
| 3. ვესტმანაეიარ | 22 | 13 | 3 | 6 | 36-27 | 42 |
| 4. რეიკიავიკი | 22 | 11 | 5 | 6 | 45-31 | 38 |
| 5. ფრამი | 22 | 9 | 5 | 8 | 35-35 | 32 |
| 6. კეფლავიკი | 22 | 8 | 6 | 8 | 30-32 | 30 |
| 7. ვალური | 22 | 7 | 7 | 8 | 34-41 | 28 |
| 8. სტიარნანი | 22 | 6 | 7 | 9 | 39-42 | 25 |
| 9. ფილკირი | 22 | 7 | 3 | 12 | 36-42 | 24 |
| 10. გრინდავიკი | 22 | 5 | 6 | 11 | 28-39 | 21 |
| 11. ჰაუკარი | 22 | 4 | 8 | 10 | 29-45 | 20 |
| 12. სელფოსი | 22 | 5 | 2 | 15 | 32-51 | 17 |

## ირლანდია
### II დივიზიონი
XXVIII ტური
- ეთლონი-შელბურნი 0:2

## ბრაზილია
XXV ტური
- ატ. გოიანიენსე-გრემიო პრუდენტე 3:0
- ფლამენგო-პალმეირასი 1:3
- გუარანი-ვასკო და გამა 1:0
- სანტოსი-კრუზეირო 4:1
- სან პაულუ-გოიასი 0:3
- ბოტაფოგო-ატ. პარანაენსე 1:1
- ინტერნასიონალი-კორინთიანსი 3:2
- ვიტორია-ფლუმინენსე 1:2
- ატ. მინეირო-გრემიო გვ. დასრულდა
- ავაი-სეარა გვ. დასრულდა

## ლატვია
XXI ტური
- იელგავა-ვენტსპილსი 2:4

## ნორვეგია
XXV ტური
- ლილესტრომი-მოლდე 1:1
- ოლესუნდი-ჰაუგესუნდი 2:1
- კონგსვინგერი-სტაბეკი 1:2
- ოდ გრენლანდი-სანდეფიორდი 5:0
- სტრიომსგოდსეტი-რუსენბორგი 1:1
- ტრომსიო-ვიკინგი 1:0
- ვოლერენგა-ბრანი 1:0
- ჰიონეფოსი-სტარტი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსენბორგი | 25 | 16 | 9 | 0 | 50-21 | 57 |
| 2. ვოლერენგა | 25 | 16 | 4 | 5 | 58-28 | 52 |
| 3. ტრომსიო | 25 | 13 | 7 | 5 | 33-23 | 46 |
| 4. ოლესუნდი | 25 | 12 | 3 | 10 | 35-29 | 39 |
| 5. ოდ გრენლან | 25 | 10 | 8 | 7 | 43-35 | 38 |
| 6. სტრიომსგოდს | 25 | 11 | 4 | 10 | 39-45 | 37 |
| 7. ჰაუგესუნდი | 25 | 9 | 8 | 8 | 41-33 | 35 |
| 8. სტარტი | 24 | 10 | 5 | 9 | 46-49 | 35 |
| 9. ვიკინგი | 25 | 8 | 10 | 7 | 39-33 | 34 |
| 10. ლილესტრომ | 25 | 7 | 12 | 6 | 41-34 | 33 |
| 11. სტაბეკი | 25 | 9 | 6 | 10 | 39-39 | 33 |
| 12. ბრანი | 25 | 6 | 9 | 10 | 38-40 | 27 |
| 13. მოლდე | 25 | 6 | 9 | 10 | 36-44 | 27 |
| 14. ჰიონეფოსი | 24 | 6 | 5 | 13 | 21-46 | 23 |
| 15. კონგსვინგერ | 25 | 4 | 6 | 15 | 22-47 | 18 |
| 16. სანდეფიორდ | 25 | 1 | 5 | 19 | 16-51 | 8 |

### II დივიზიონი
XXIV ტური

სოგნდალი-ალტა 2:1; რანჰეიმი-მოსი 1:0; სტრიომენი-მიონდალენი 1:2; ბრინი-ფოლლო 5:1; ლოვ ჰამი-ფრედრიკსტადი 0:1; სანდნესი-ნილი 1:1; სარპსბორგი-ტრიომსდალენი 1:0.

## შვედეთი
XXV ტური
- ბრომაპიოკარნა-ელფსბორგი 2:2
- მალმიო-გიოტებორგი 2:1
- აიკ-ჰელსინგბორგი დღეს
- გეფლე-ჰალმსტადი დღეს
- მიალბიუ-იურგორდენი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალმიო | 25 | 17 | 4 | 4 | 46-23 | 55 |
| 2. ჰელსინგბორგ | 24 | 16 | 4 | 4 | 36-20 | 52 |
| 3. ერებრუ | 24 | 13 | 3 | 8 | 34-25 | 42 |
| 4. ელფსბორგი | 25 | 10 | 10 | 5 | 45-30 | 40 |
| 5. გიოტებორგი | 25 | 9 | 8 | 8 | 36-22 | 35 |
| 6. იურგორდენი | 24 | 10 | 5 | 9 | 26-27 | 35 |
| 7. კალმარი | 24 | 9 | 7 | 8 | 32-32 | 34 |
| 8. მიალბიუ | 24 | 8 | 8 | 8 | 28-25 | 32 |
| 9. ტრელებორგი | 24 | 9 | 5 | 10 | 29-33 | 32 |
| 10. ჰაკენი | 24 | 8 | 6 | 10 | 29-34 | 30 |
| 11. გაის | 24 | 6 | 8 | 10 | 20-28 | 26 |
| 12. ჰალმსტადი | 24 | 7 | 5 | 12 | 22-33 | 26 |
| 13. აიკ | 24 | 7 | 4 | 13 | 19-29 | 25 |
| 14. ატვიდაბერგი | 24 | 6 | 6 | 12 | 26-40 | 24 |
| 15. ბრომაპიოკარ | 25 | 6 | 6 | 13 | 18-34 | 24 |
| 16. გეფლე | 24 | 6 | 5 | 13 | 26-37 | 23 |

### II დივიზიონი
XXVII ტური

იორგრიტე-ნორჩოპინგი 0:1; ფალკენბერგი-ტროლჰატანი 5:0; ლიუნგსკილე-ჰამარბიუ 2:2; სირიანსკა-ბრაგე 1:0; დეგერფორსი-იონჩოპინგი დღეს.

## შვეიცარია
X ტური
- სტ. გალენი-ლუცერნი 1:2
- ციურიხი-ბაზელი 1:4
- სიონი-ბელინცონა 1:1
- იანგ ბოიზი-თუნი 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუცერნი | 9 | 6 | 2 | 1 | 27-11 | 20 |
| 2. ბაზელი | 10 | 5 | 3 | 2 | 22-15 | 18 |
| 3. ციურიხი | 9 | 4 | 2 | 3 | 18-16 | 14 |
| 4. სიონი | 9 | 3 | 4 | 2 | 13-10 | 13 |
| 5. თუნი | 10 | 2 | 7 | 1 | 17-15 | 13 |
| 6. იანგ ბოიზი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-13 | 13 |
| 7. ბელინცონა | 10 | 3 | 4 | 3 | 15-19 | 13 |
| 8. გრასჰოპერსი | 8 | 1 | 4 | 3 | 9-14 | 7 |
| 9. ქსამაქსი | 9 | 2 | 1 | 6 | 13-20 | 7 |
| 10. სტ. გალენი | 10 | 2 | 1 | 7 | 9-22 | 7 |

### ჩელენჯლიგა
VIII ტური

კრინსი-კიასო 0:2; ლოკარნო-ვილი 1:1; ივერდონი-სტად ნიონე 1:2; ბილი-შაფჰაუზენი 2:1; ვინტერტური-ვოლენი 2:2; სერვეტი-ლოზანა 1:2; ლუგანო-დელემონი 3:0; არაუ-ვადუცი დღეს.

## უკრაინა
XI ტური
- ილიჩივეცი-სევასტოპოლი 4:2
- მეტალისტი-შახტარი 1:2
- ობოლონი-ვოლინი 0:1
- დინამო-არსენალი 3:2
- ვორსკლა-მეტალურგი (ზ) 2:1
- დნიპრო-კრივბასი 1:1
- მეტალურგი (დ)-ზორია 1:1
- ტავრია-კარპატი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 11 | 9 | 1 | 1 | 21-5 | 28 |
| 2. დინამო | 11 | 8 | 2 | 1 | 19-10 | 26 |
| 3. დნიპრო | 11 | 6 | 2 | 3 | 17-7 | 20 |
| 4. კარპატი | 11 | 6 | 2 | 3 | 15-11 | 20 |
| 5. მეტალისტი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-11 | 19 |
| 6. მეტალურ (დ) | 11 | 5 | 3 | 3 | 15-12 | 18 |
| 7. ვორსკლა | 11 | 5 | 2 | 4 | 14-12 | 17 |
| 8. არსენალი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-13 | 14 |
| 9. ვოლინი | 11 | 4 | 2 | 5 | 7-11 | 14 |
| 10. კრივბასი | 11 | 3 | 5 | 3 | 11-14 | 14 |
| 11. ტავრია | 11 | 4 | 1 | 6 | 16-17 | 13 |
| 12. ობოლონი | 11 | 3 | 2 | 6 | 7-16 | 11 |
| 13. ილიჩივეცი | 11 | 2 | 4 | 5 | 16-21 | 10 |
| 14. ზორია | 11 | 2 | 4 | 5 | 12-17 | 10 |
| 15. სევასტოპოლი | 11 | 2 | 3 | 6 | 6-17 | 9 |
| 16. მეტალურ (ზ) | 11 | 0 | 2 | 9 | 4-16 | 2 |

## თურქეთი
VI ტური
- ბურსა-ბუკა 1:0
- გენჩლერი-ანკარაგიუჯუ 1:0
- ბეშიქთაში-ანთალია 2:1
- ესქიშეჰირი-გაზიანთეფი 0:1
- კაისერი-ტრაბზონი 0:0
- კონია-ქარაბუქი 2:2
- გალათასარაი-ბუიუქშეჰირი 3:1
- მანისა-სივასი 3:0
- კასიმფაშა-ფენერბაჩე დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურსა | 5 | 5 | 0 | 0 | 8-1 | 15 |
| 2. ბეშიქთაში | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 13 |
| 3. გალათასარაი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| 4. ტრაბზონი | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 5. კაისერი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-3 | 11 |
| 6. ქარაბუქი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 7. ბუიუქშეჰირი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-8 | 9 |
| 8. ანთალია | 6 | 2 | 2 | 2 | 6-9 | 8 |
| 9. გენჩლერი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-7 | 8 |
| 10. ფენერბაჩე | 5 | 2 | 1 | 2 | 11-8 | 7 |
| 11. ანკარაგიუჯუ | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 12. გაზიანთეფი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 13. კონია | 6 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 |
| 14. მანისა | 6 | 2 | 0 | 4 | 10-12 | 6 |
| 15. ბუკა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-5 | 5 |
| 16. სივასი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-14 | 5 |
| 17. ესქიშეჰირი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-9 | 2 |
| 18. კასიმფაშა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |

### II დივიზიონი
V ტური

გირესუნი-ადანა 2:1; გიუნგორენი-ბბ გაზიანთეფი 2:2; ორდუ-რიზე 1:1; სამსუნი-ბოლუ 0:1; დიარბაქირი-ქართალი 2:3; დენიზლი-ალთაი 4:1; ქარსიაქა-მერსინი 0:0; ერჩიესი-ახისარი დღეს.

## უელსი
VII ტური
- ნიუთაუნი-კარმარტენი 0:1
- პრესტატინი-ლანელი 1:1
- ტნს-პორტ ტელბოტი 6:1
- ჰავერფორდვესტი-ეირბასი 4:0
- ბანგორი-ებერისტვითი 2:1
- ნითი-ბალა 3:1

## ბელარუსი
XXVI ტური
- ტორპედო-ნაფტანი 0:2
- დინამო (მნ)-ვიტებსკი 0:2
- დინამო (ბრ)-პარტიზანი 4:0
- ბელშინა-შახტიორი 1:3
- ბატე-მინსკი 2:1
- დნეპრი-ნემანი 1:0

## ბოსნია
VIII ტური
- ბუდუჩნოსტი-ბორაცი 0:1
- სელიკი-ტრავნიკი 2:0
- დრინა-ლეოტარი 2:1
- ველეჟი-ჟელეზნიჩარი 1:3
- სლობოდა-შიროკი ბრიეგი 0:1
- ზრინსკი-რუდარი 1:0
- სლავია-ზვიეზდა 2:0
- სარაევო-ოლიმპიკი 3:1

## ბულგარეთი
VIII ტური
- რაკოვსკი-ლიტექსი 0:3
- აკადემიკი-ლოკომოტივი (ს) 2:3
- ლოკომოტივი (პ)-კალიაკრა 5:0
- პირინი-მინიორი 1:1
- ცსკა-მონტანა 2:0
- ჩერნო მორე-სლივენი 3:0
- ლევსკი-ბეროე 2:1
- ჩერნომორეცი-სლავია დღეს

## ხორვატია
IX ტური
- შიბენიკი-ინტერი 0:1
- ისტრა-სპლიტი 0:1
- ოსიეკი-ზადარი 3:2
- ციბალია-კარლოვაცი 1:0
- ჰაიდუკი-ვარტექსი 2:0
- სლავენი-დრაგოვოლიაცი 3:0
- ლოკომოტივა-დინამო გადაიდო
- ზაგრები-რიეკა გადაიდო

## ჩეხეთი
X ტური
- სლოვაცკო-სლავია 3:0
- ლიბერეცი-ბრნო 3:1
- სპარტა-ბოლესლავი 1:1
- ბოჰემიანსი-ბანიკი 1:1
- ბუდეიოვიცე-იაბლონეცი 2:1
- ჰრადეცი-უსტი 3:3
- პლზენი-პრშიბრამი 2:1
- ტეპლიცე-სიგმა გადაიდო

### II დივიზიონი
IX ტური

იღლავა-კლადნო 2:1; ტრშინეცი-ჩასლავი 2:0; ვლაშიმი-ზლინი 3:1; მოსტი-სოკოლოვი 0:2; ჰლუჩინი-სეზიმოვო 1:3; ვიქტორია-სპარტა II 3:1; სლოვანი-დუკლა 0:0; კარვინა-ზნოიმო 3:3.

## ესტონეთი
XXXI ტური
- ლოოტუსი-ტრანს ნარვა 0:4
- კალევი-ტამეკა 2:0
- კალიუ-კურესაარე 1:0
- პაიდე-ლევადია 1:4
- ფლორა-ტულევიკი 1:0

## რუსეთი
XXII ტური
- სპარტაკი-ამკარი 2:2
- ზენიტი-სატურნი 6:1
- რუბინი-ალანია 1:0
- ტომი-ცსკა 0:3
- დინამო-ნალჩიკი 0:3
- როსტოვი-სიბირი 0:1
- ლოკომოტივი-ტერეკი 2:1
- კრილია-ანჟი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 20 | 15 | 5 | 0 | 37-8 | 50 |
| 2. რუბინი | 22 | 13 | 7 | 2 | 26-8 | 46 |
| 3. ცსკა | 20 | 13 | 3 | 4 | 34-15 | 42 |
| 4. ნალჩიკი | 22 | 10 | 6 | 6 | 30-24 | 36 |
| 5. როსტოვი | 22 | 10 | 3 | 9 | 21-25 | 33 |
| 6. სპარტაკი | 21 | 9 | 6 | 6 | 33-27 | 33 |
| 7. ლოკომოტივ | 22 | 8 | 6 | 8 | 26-26 | 30 |
| 8. ტერეკი | 22 | 7 | 7 | 8 | 23-21 | 28 |
| 9. ტომი | 22 | 7 | 5 | 10 | 26-35 | 26 |
| 10. დინამო | 21 | 6 | 8 | 7 | 25-25 | 26 |
| 11. სატურნი | 22 | 6 | 6 | 10 | 18-28 | 24 |
| 12. ანჟი | 21 | 6 | 5 | 10 | 18-23 | 23 |
| 13. ალანია | 22 | 6 | 5 | 11 | 19-29 | 23 |
| 14. ამკარი | 22 | 6 | 4 | 12 | 16-26 | 22 |
| 15. კრილია | 21 | 3 | 7 | 11 | 15-30 | 16 |
| 16. სიბირი | 22 | 4 | 3 | 15 | 26-43 | 15 |

### II დივიზიონი
XXX ტური
- ირტიში-კამაზ 0:0
- ურალი-ვოლგა 0:1
- ჟემჩუჟინა-ავანგარდი 3:2
- ნიჟნი ნოვგოროდი-გაზპრომი 0:0
- შინიკი-ლუჩ ენერგია 3:2
- ბალტიკა-კუბანი 0:1
- დინამო (ბრ)-სკა ენერგია 5:0
- მორდოვია-როტორი 3:1
- კრასნოდარი-სალუტი 2:0
- დინამო (ს-პ)-ხიმკი 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კუბანი | 30 | 20 | 6 | 4 | 43-15 | 66 |
| 2. ვოლგა | 29 | 14 | 11 | 4 | 44-18 | 53 |
| 3. კრასნოდარი | 30 | 15 | 8 | 7 | 54-35 | 53 |
| 4. ნ. ნოვგოროდი | 30 | 16 | 4 | 10 | 43-35 | 52 |
| 5. ურალი | 31 | 13 | 12 | 6 | 31-20 | 51 |
| 6. ჟემჩუჟინა | 30 | 14 | 8 | 8 | 38-30 | 50 |
| 7. შინიკი | 30 | 14 | 6 | 10 | 38-25 | 48 |
| 8. კამაზ | 30 | 13 | 9 | 8 | 43-33 | 48 |
| 9. მორდოვია | 29 | 13 | 6 | 10 | 42-33 | 45 |
| 10. ხიმკი | 30 | 10 | 12 | 8 | 30-26 | 42 |
| 11. გაზპრომი | 30 | 11 | 7 | 12 | 33-42 | 40 |
| 12. ლ-ენერგია | 29 | 10 | 9 | 10 | 33-33 | 39 |
| 13. ბალტიკა | 31 | 9 | 9 | 13 | 30-36 | 36 |
| 14. დინამო (ს-პ) | 31 | 8 | 8 | 15 | 28-41 | 32 |
| 15. ს-ენერგია | 30 | 8 | 8 | 14 | 20-34 | 32 |
| 16. სალუტი | 31 | 6 | 12 | 13 | 26-36 | 30 |
| 17. როტორი | 31 | 8 | 6 | 17 | 25-55 | 30 |
| 18. დინამო (ბრ) | 29 | 7 | 8 | 14 | 33-43 | 29 |
| 19. ირტიში | 30 | 5 | 8 | 17 | 20-38 | 23 |
| 20. ავანგარდი | 31 | 6 | 5 | 20 | 24-50 | 23 |

## უნგრეთი
VIII ტური
- ვიდეოტონი-ჰალადაში 3:1
- უიპეშტი-სოლნოკი 1:0
- შიოფოკი-დებრეცენი 4:1
- დიორი-ზალაეგერსეგი 0:1
- ჰონვედი-ლომბარდ პაპა 2:4
- კეჩკემეტი-პაკში 0:1
- ვაშაში-ფერენცვაროში 1:3
- მტკ-კაპოშვარი გადაიდო

## ისრაელი
IV ტური
- ჰაპოელი (თ-ა)-ირონი 2:4
- ბეითარი-ჰაპოელი (ბ-შ) 5:1
- ბნეი სახნინი-მაკაბი (ფ-თ) 2:3
- ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (აშ) 1:2
- ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (ნ) 1:1
- ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ჰ) 2:3
- ჰაპოელი (რ-გ)-ჰაპოელი (ჰ) 3:2
- აშდოდი-მაკაბი (თ-ა) დღეს

## ლიტვა
XXVII ტური
- ჟალგირისი-მაჟეიკიაი 2:0
- შიაულიაი-ტაურასი 0:1
- სუდუვა-ბანგა 1:0
- ეკრანასი-კრუოია 3:2

## მოლდოვა
X ტური
- კოსტულენი-ვიიტორული 0:7
- დინამო-ცსკა 0:1
- აკადემია-ზიმბრუ 0:1
- გაგაუზია-ოლიმპია 1:2
- ნისტრუ-ტირასპოლი 4:2
- დაჩია-ისკრა 0:0
- შერიფი-სფინტული 4:0

## ჩერნოგორია
VII ტური
- ბუდუჩნოსტი-სუტიესკა 2:1
- დეჩიჩი-მლადოსტი 1:0
- გრბალი-ლოვჩენი 0:0
- მორნარი-მოგრენი 0:5
- რუდარი-ბარი 0:0
- ზეტა-პეტროვაცი 1:0

## სლოვაკეთი
X ტური
- ჟილინა-დ. სტრედა 0:0
- ნიტრა-ტრნავა 1:0
- ბისტრიცა-ტატრანი 3:0
- რუჟომბეროკი-შენიცა 1:2
- სლოვანი-დუბნიცა 6:1
- მორავცე -კოშიცე 4:1

## პოლონეთი
VII ტური
- კორონა-შლიონსკი 2:1
- ლეგია-ლეხი 2:1
- ლეჩია-გურნიკი 5:1
- პოლონია (ვ)-პოლონია (ბ) 2:2
- კრაკოვია-არკა 2:0
- რუხი-ვიძევი 1:1
- ბელხატოვი-ვისლა 1:1
- იაგელონია-ზაგლებე 2:0

## რუმინეთი
IX ტური
- უნივერსიტატეა (კლ)-კლუჟი 1:1
- ვასლუი-გლორია 1:0
- სპორტული-ასტრა 0:1
- ოცელული-სტიაუა 1:0
- პანდური-ტიმიშოარა 0:1
- რაპიდი-ვიქტორია 7:1
- ტარგუ-უნივერსიტატეა (კრ) დღეს
- ბრაშოვი-გაზ მეთანი დღეს
- უნირეა-დინამო დღეს

## სერბეთი
VI ტური
- პარტიზანი-სპარტაკი 0:0
- მეტალაკი-სარტიდი 0:3
- ინდია-ბორჩა 0:0
- იავორი-იაგოდინა 0:0
- სლობოდა-ვოივოდინა 0:0
- ოფკ-რადი 0:1
- ჩუკარიჩკი-ცრვენა ზვეზდა 0:1
- ჰაიდუკი-ბორაცი 1:1

## სლოვენია
XI ტური
- კოპერი-დომჟალე 2:0
- პუბლიკუმი-ტრიგლავი 1:1
- ოლიმპია-გორიცა 0:0
- მარიბორი-რუდარი 3:1
- პრიმორიე-ნაფტა 4:2

## აზერბაიჯანი
VII ტური
- ქაბალა-ყარაბახი 2:1
- მუგანი-სიმურქი 1:0
- ხაზარი-ნეფთჩი 1:0
- აზალ-მოიქ 2:0
- განჯა-ინტერი 1:0
- ბაქო-თურანი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხაზარი | 7 | 5 | 2 | 0 | 8-0 | 17 |
| 2. ნეფთჩი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-2 | 16 |
| 3. აზალ | 7 | 4 | 2 | 1 | 9-5 | 14 |
| 4. ინტერი | 7 | 4 | 1 | 2 | 6-3 | 13 |
| 5. მუგანი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-6 | 9 |
| 6. ყარაბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 7. განჯა | 7 | 1 | 5 | 1 | 6-8 | 8 |
| 8. ქაბალა | 7 | 2 | 1 | 4 | 4-7 | 7 |
| 9. ბაქო | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 10. მოიქ | 7 | 1 | 1 | 5 | 3-13 | 4 |
| 11. თურანი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-9 | 3 |
| 12. სიმურქი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-13 | 3 |

## სომხეთი
XXII ტური
- ულისესი-იმპულსი 1:2
- განძასარი-კილიკია გადაიდო
- პიუნიკი-შირაკი დღეს

## მექსიკა
IX ტური
- ნეკაქსა-კრუს ასული 2:1
- ხაგუარესი-სან ლუისი 2:1
- კერეტარო-მონტერეი 0:0
- პაჩუკა-ტეკოსი 3:1
- ატლასი-პუებლა 1:0
- მორელია-ტოლუკა 1:2
- ტიგრესი-გვადალახარა 1:1
- პუმასი-ატლანტე 2:2
- ამერიკა-ს. ლაგუნა გვ. დასრულდა

## იაპონია
XXIV ტური
- იამაგატა-შონანი 1:1
- ურავა-ნიიგატა 2:0
- ტოკიო-ომია 0:1
- კავასაკი-გამბა 1:2
- იოკოჰამა-ვეგალტა 0:1
- შიმიზუ-ნაგოია 1:5
- კიოტო-ჯუბილო ივატა 0:1
- კობე-სერეზო 0:0
- ჰიროშიმა-კაშიმა 1:1

## ურუგვაი
V ტური
- ფენიქსი-სენტრალი 0:1
- რივერ პლეიტი-ტაკუარემბო 2:0
- მირამარი-ნასიონალი 2:4
- სერო-რასინგი 1:1
- ლივერპული-დანუბიო 1:1
- მონტევიდეო-რამპლა 2:0
- ბელა ვისტა-პენიაროლი 1:2
- ელ ტანკე-დეფენსორი გადაიდო

## ჩილე
XXV ტური
- სან ლუისი-კობრესალი 1:1
- ს. მორნინგი-ევერტონი 3:0
- უნ. ესპანიოლა-უნ. კონსეფსიონი 3:0
- უნ. კატოლიკა-იტალიანო 2:3
- ლა სერენა-კოლო კოლო 1:2
- უონდერერსი-ოჰიგინსი 1:1
- კობრელოა-ატ. ნუბლენსე 3:2
- უაჩიპატო-სან ფელიპე 1:1
- უნ. ჩილე-პალესტინო გვ. დასრულდა

## ქართული სპორტი

ჭიდაობა

# მალხაზ ჯორბენაძე: შეცდომები აღარ განმეორდება

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ალმასკომის ამასწინანდელ სხდომაზე, რომელზეც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი გუნდების ჩავარდნის მიზეზებზე იმსჯელეს, თავი სადღაც სხვაგან მეგონა და არა ჭიდაობის ფედერაციაში - მისი ხელმძღვანელები გაღიზიანებული, მკაცრი ტონით ლაპარაკობდნენ იმ პრობლემებზე, რომელთა თაობაზე წერისთვისაც მანამდე ჟურნალისტებს ამრეზით გვიყურებდნენ. თუმცა ჯანდაბას პირადი წყენა - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და, ოღონდ ამაზე ილაპარაკონ, ოღონდ იგივე მომავალში აღარ განმეორდეს, ოღონდ წარმატებები იყოს და ჩვენ როგორმე დავივიწყებთ წარსულს. თუმცა მაინც გვიჩნდება კითხვა - რატომ არ ითქვა ეს ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატამდე? ხარვეზების შესახებ ხომ ყველამ იცოდა და ისიც ცხადი იყო, გუნდების წარმატებით გამოსასვლელად ყველაფერი არ კეთდებოდა. ვგულისხმობთ დისციპლინის მოშლას, რაც მხოლოდ მწვრთნელთა ბრალი არაა. რატომ არ დაასახელეს იმ ლიდერთა გვარები საჯაროდ და სახალხოდ, რომლებიც ან ზერელედ, ან საერთოდ არ ვარჯიშობდნენ? ადრე ფედერაციასა თუ ნაკრებებში ამაზე ყველა ერთს ამბობდა, ეს ჭიდაობის ოჯახის საქმეა და აქაური ამბების გარეთ გატანა არაა მიზანშეწონილიო. მათ შევახსენებთ, რომ ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და, ამდენად, საზოგადოებრივი ოჯახიც. ამიტომ ის ვალდებულია, საზოგადოებასაც ჩააბაროს ანგარიში, რადგან ფედერაცია ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტიდან ანუ საზოგადოების რიგით წევრთაგან ამოღებული გადასახადებით ფინანსდება. თანაც ეს სპორტსმენთა საზოგადოების სამსჯავროზე გამოყვანაც იქნება, რომელიც, ვფიქრობთ, მათზე ზემოქმედების ბევრად ეფექტური მეთოდია, ვიდრე - კაბინეტებში მეგობრული დამუნათება. პრობლემებზე ახლა ლაპარაკმა ძიუდოს ჩავარდნაზე „ლელოს“ შარშანდელი სათაური გაგვახსენა - „აპრიორი ქართული ვარიანტი - ქართველები გადაბრუნებულ ურემთან“. აჯობებდა, პრობლემებზე ურემის გადაბრუნებამდე გველაპარაკა.

ცხადია, ალმასკომზე ყველა პრობლემაზე არ თქმულა. მათზე თუ ზემოთ დასმულ კითხვებზე საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივან მალხაზ ჯორბენაძეს ვესაუბრეთ, თუმცა ინტერვიუ ალმასკომზე მომხდარი უსიამოვნო ამბით დავიწყეთ, როცა სახელოვანმა ფალავანმა, მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ოქრო-ვერცხლის მფლობელმა რომან რურუამ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შესახებ განაცხადა. შეგახსენებთ, რომ რურუამ ფედერაცია მოსკოვიდან, მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოსული მოსაწვევის დამალვაში დაადანაშაულა. ამ თემის გარდა, ჯორბენაძე სხვა საინტერესო საკითხებზეც გვესაუბრა, მალე კი თავად რომან რურუას ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ.

**- მაინც რატომ ვერ დაუკავშირდით რომან რურუას მთელი თვის განმავლობაში?**

- რომან რურუა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად წელიწადის და სამი თვის წინ ავირჩიეთ ბერძნულ-რომაულის განხრით. თავიდან ძალზე აქტიურად ჩაერთო მუშაობაში, რაც ძალიან მიხაროდა - ის ხომ ტიტულოვანი და გამოცდილი კაცია. გეგმებიც დავსახეთ და საკმაოდ ბევრიც გავაკეთეთ, მაგრამ მერე პიროვნულ მომენტებზე გადავიდა. კერძოდ, ბეგი დარჩიას უპირისპირდებოდა, მაგრამ ცდილობდა, ეს ჩემი მეშვეობით გაეკეთებინა და ჩემზე ახდენდა ზეწოლას - მოსთხოვე წლიური სამოქმედო გეგმა, სავარჯიშო გრაფიკი და ასე შემდეგო. მე ვუთხარი, ეგ ჩემს სფეროში არ შედის, რადგან გენერალური მდივანი ვარ, თქვენ ჩემზე მეტი ხართ ყველაფრით - ტიტულებით, ასაკით, სტატუსით ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით და თქვენ მოსთხოვეთ-მეთქი...

**- საინტერესოა, ვის კომპეტენციაში შედის მწვრთნელთა კონტროლი? წესით, ასეთი გეგმები მართლაც უნდა იდოს.**

- ადრე ამას სახელმწიფო მწვრთნელი აკეთებდა, ახლა კი ეს პოსტი აღარაა. ამას ძირითადად ყოფილი სპორტის დეპარტამენტი გვთხოვდა, რომელსაც ვაწვდიდით გეგმებს და მათთან ერთად განვიხილავდით კიდეც. ცხადია, იქ სავარჯიშო პროცესის ნიუანსებზე ლაპარაკი არ იყო - მხოლოდ ტურნირები, შეკრებები, როდის რომელი გაგვევლო, როდის დაგვეწყო და ასე შემდეგ... რურუას თუ რაიმეს შესწორება და სწავლება უნდოდა, ერთხელაც არ დასწრებია ვარჯიშს. ფალავანთა კლუბის დარბაზში გავიზარდე და ერთხელ არ მახსოვს იქ შემოსული, ვინმესთვის კონსულტაცია მაინც რომ გაეწიოს.

**- სპორტის დეპარტამენტის მოთხოვნა ერთია, მაგრამ ნებისმიერი სახეობა მაინც ფედერაციამ უნდა მართოს და ამიტომ ისევ დავინტერესდები - ვისი ფუნქციაა მსგავსი გეგმების მოთხოვნა-განხილვა? ასეთი რამეები მართლაც უნდა იყოს და რურუას მოთხოვნა სამართლიანი ჩანს, მაგრამ ორივე ირიდებდით თავიდან.**

- მწვრთნელთა საბჭო იხილავს. ისე, რურუას არც მსგავსი მოთხოვნის საფუძველი ჰქონდა, რადგან ადრე თვითონაც იყო ფედერაციის პრეზიდენტიც, მთავარი მწვრთნელიც, მაგრამ წარუმატებელი. მაშინაც ახლანდელივით წელიწადზე ცოტა მეტ დროში დატოვა ფედერაცია. მიმაჩნია, რომ ვიცე-პრეზიდენტად მისი არჩევა შეცდომა იყო, რადგან ძირგამომთხრელი საქმეების მეტს არაფერს აკეთებდა. ახლა უფრო კარგად ვხვდები, რომ მოსვლისთანავე მისი უპირველესი ამოცანა დარჩიას მოხსნა იყო. მე არ ვიცი მათი ადრინდელი დამოკიდებულება, მაგრამ ასე კი დავინახე. დამირეკავდა სამუშაო საათებში და მეტყოდა, ამოდი მცხეთაში, აქ უნდა გესაუბროო. ვიცე-პრეზიდენტი ხარ, ფედერაციაში მოდი და აქ ვილაპარაკოთ, მცხეთაში, სახლში რატომ უნდა გესტუმრო? სახლში მოვალ შაბათ-კვირას, როგორც უმცროსი მეგობარი და თანამშრომელი. მოგვიანებით დამირეკა და მითხრა, მე მანდ ვერ ვივლი და გამოვაგზავნი ჩემს წარმომადგენელს, რომელსაც დაუნიშნეთ ხელფასი და ის მომახსენებს ფედერაციის ამბებსო. ცხადია, ამაზე ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გენაძემ უარი თქვა.

**- და მაინც - ძალზე უცნაურად ჩანს, რომ ერთი თვის განმავლობაში მოსაწვევი ვერ მიაწოდეთ.**

- მაგასაც მოგახსენებთ. როცა მას გენაძემ წარმომადგენლის დანიშვნაზე უარი უთხრა, აბა, მე მანდ რაღა უნდა ვაკეთო, შემეშვით, თავი დამანებეთო, გვითხრა და არც გაგვკარებია. მას ყოველ ტურნირზე ვურეკავდი, მაგრამ ერთადერთხელ მიპასუხა ზარზე და მაშინაც ის მითხრა, თავი დამანებეთო. მერე ფედერაციის თანამშრომელ გოგოებს ვარეკინებდი ქალაქის ნომრიდან. როგორც კი ეტყოდნენ, ჭიდაობის ფედერაციიდან ვრეკავთო, იმათაც იმავეს ეუბნებოდა - თქვენ კიდევ ვერ გაიგეთ, თავი დამანებეთ და შემეშვითო, ბოლოს კი ისეთივე ყვირილით თიშავდა ტელეფონს, როგორც ალმასკომზე ყვიროდა. მსოფლიოს ჩემპიონატი მოდიოდა, ერთხელ არ მოსულა დარბაზში, ერთხელ არ ჩასულა დუშეთში... მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი ხარ, შენი მისვლა რამხელა სტიმული იქნება სპორტსმენებისთვის?!

**- ვერც ნაცნობების მეშვეობით დაუკავშირდით?**

- კი, შევუთვალეთ. ზუსტად იმ დროს ფედერაციაში თბილისის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვალიკო იაშვილი მოვიდა და მას ვთხოვე, ჩემს ზარებს არ პასუხობს და ეგებ თქვენ დაურეკოთ-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ მიწვევა იყო გადასაცემი. არ ვიცი, ისინი დაუკავშირდნენ თუ არა, მაგრამ ვაღიარებ - მე უნდა გამეფრთხილებინა. თუმცა როცა მიწვევა მოვიდა, მაშინვე დავურეკე, მაგრამ არ მიპასუხა. თუმცა ვიცე-პრეზიდენტი ფედერაციაში მაინც ხომ უნდა მოვიდეს?

**- აბა, ალმასკომზე მოსაწვევად როგორ დაუკავშირდით?**

- შემიძლია დაგალაპარაკოთ ფედერაციის ის თანამშრომელი გოგონა, რომელსაც მასთან დარეკვა ვთხოვე და თვითონ მოგიყვებათ, როგორ უპასუხა ისევ ყვირილით და ისეთივე ტექსტით - თქვენ კიდევ ვერ გაიგეთ, რომ შემეშვათ, თქვენთან საქმე არ მაქვსო. მერე არ ვიცი, საიდან გაიგო, მაგრამ მე ისე ვიცოდი, რომ არ მოდიოდა. თუმცა მაინც დაესწრო, მაგრამ არავის მისალმებია - მოვიდა,



დაჯდა და ელოდებოდა, როდის შეიკრიბებოდა ხალხი, რათა თავისი სათქმელი ეთქვა და წასულიყო.

**- ალმასკომის შემდეგ თუ ესაუბრეთ? როგორ წარიმართება მისი ვიცე-პრეზიდენტობის საკითხი, ან ახალს როდის აირჩევთ, ეს თუ მართლა დადგება დღის წესრიგში?**

- არანაირი კონტაქტი არ გვქონია. რაც შეეხება მის თანამდებობას ფედერაციაში, მხოლოდ სიტყვიერი განცხადება არაა საკმარისი - წერილობით უნდა მომართოს ფედერაციას. ალბათ, რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა ჩატარდება და ავირჩევთ ახალ ვიცე-პრეზიდენტს.

**- გადავიდეთ მსოფლიოს ჩემპიონატზე. რატომ არ იმსჯელა ფედერაციამ ნაკრებებში, ზოგადად - ქართულ საჭიდაო მეურნეობაში არსებულ პრობლემებზე ამ ტურნირამდე? ხომ ყველამ იცოდა ხელის შემშლელი მიზეზების არსებობა და ისიც, რომ ეს მსოფლიოზე კარგ შედეგს არ მოიტანდა?**

- მსოფლიოს ჩემპიონატზე მართლაც გამოჩნდა სუსტი მხარეები. მთავარია, ისინი აღმოვფხვრათ. ძალზე ცუდია, რომ ლიდერების ღირსეული შემცვლელები არ გვყავს. საბედნიეროდ, რამაზ ნოზაძეს უკვე გამოუჩნდა რეზერვი, გოგშელიძესთან კი ჯერაც არ გვყავს ისეთი სპორტსმენი, ვისაც ნებისმიერ ტურნირზე მედლის მოპოვება შეუძლია. თუმცა არ ვამბობ, რომ გოგშელიძისთვის ბრინჯაო წარმატებაა - მას ბევრად მეტი შეუძლია. სწორედ ამიტომ ითხოვს ზაზა თურმანიძე სავარჯიშოდ მის თბილისში გადმოყვანას. ეს სპორტსმენისთვისაც უკეთესი იქნება, თორემ გორიდან ვერ ივლის თბილისში. თურმანიძემ მსგავსი რამ 2008 წელს ევროპის პირველობის წინ გააკეთა და მაშინ გოგშელიძე ჩემპიონი გახდა.

**- ევროპის ჩემპიონატის წინ იმავე ბერძნულ-რომაულ ნაკრებში მომხდარზე რას იტყვით, როცა მოჭიდავეთა ჯგუფი დარჩიას დაუპირისპირდა? ამბობენ, მაშინ ზოგიერთი ფედერაციიდანაც დაუპირისპირდა მწვრთნელსო. რატომ არ ითქვა ამ ყველაფერზე ღიად, საჯაროდ, მედიისთვის? ამით ხომ პრობლემა მიიჩქმალა...**

- ეს ამბავი არ ყოფილა მიჩქმალული - ამაზე მაშინდელი სპორტის დეპარტამენტიც დროულად ჩავაყენეთ საქმის კურსში, მედიისთვის კი იქნებ ყოველთვის ვერ გავმართოთ პრესკონფერენცია.

იქ მომხდარზე კი ამის თქმა შემიძლია: მაშინდელი სპორტის დეპარტამენტის ინიციატივის გათვალისწინებით, რაც ნაკრებ გუნდებთან დამწყები მწვრთნელების მიმაგრებას ითვალისწინებდა მათი დაოსტატების მიზნით, ამ ნაკრებს ბადრი ხასაია გავაყოლეთ. სამწუხაროდ, მას მაშინვე გაუჩნდა მთავარი მწვრთნელობის ამბიცია. არ ვიცი, ეს ვისი სტრატეგია იყო, მაგრამ იმთავითვე დაუწყო ბრძოლა დარჩიას. ის არეულობაც ამას მოჰყვა.

რაც შეეხება ფედერაციისგან წინააღმდეგობას, არ ვიცი, ამაზე ვინ რას ამბობს და რა ინფორმაცია გაქვთ, მაგრამ არავინ ჩარეულა და მით უფრო - გაუმტყუნებია მწვრთნელი. საქმეში არც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თამაზ გეგეშიძე ჩარეულა, რომლის შვილს - ვლადიმერ გეგეშიძეს უკავშირდებოდა ის ამბები.

**- თუ ფედერაციაში იცოდით, რომ ხასაია ამას აკეთებდა გუნდში, თუ ის ბოლო შეკრებაზე თვითნებურად გაჰყვა ნაკრებს, რატომ არ მიიღეთ ზომები და არ აღკვეთეთ?**

- ბათუმის ამბები ბოლოს გავიგეთ, თუმცა ეს აღარ განმეორდება. ვაღიარებ, რომ დავაგვიანეთ, მაგრამ გამოვასწორებთ.

**- არის კი იმის გარანტია, რომ გამოასწორებთ და მომავალში აღარ მოხდება?**

- სხვა გზა არ არის - მსგავსი ფაქტები აღარ უნდა დავუშვათ და აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

# ჭიდაობით დამშვენებული დღესასწაული

გასულ უქმეებზე ზეიმით აღინიშნა სახალხო დღესასწაული „დუშეთობა“. ღონისძიებაზე, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მრავალი წარმომადგენელი დაესწრო, ყველაზე მეტი გულშემატკივარი ქართულმა ჭიდაობამ მიიზიდა — სამი ათასამდე ქომაგმა მოიყარა თავი დუშეთის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც ნახერხმოყრილ სარბიელზე ქვეყნის შვიდი რეგიონის გუნდები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. მხარის ხელმძღვანელობამ ჩემპიონთა და პრიზიორთა წასახალისებლად 10 ათასი ლარი გამოყო.

მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ნაკრებთა (თითოეულში 6-6 მოჭიდავე) ორთაბრძოლა მასპინძლებმა (**თორნიკე თათარაშვილი, დავით ოსიშვილი, ლევან ნახუცრიშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, გიორგი ცოციაშვილი, მირიან პავლიაშვილი**) იოლად მოიგეს, მაგრამ ნახევარფინალში თავადაც დამარცხდნენ სამაჩაბლოელთა მძლეველ შიდაქართლელებთან (**პაატა მერებაშვილი, გიორგი პაპინაშვილი, ზვიად ბაზანდარაშვილი, პაატა ლვინიაშვილი, ნიკა ბიბილაშვილი, ნოდარ მეტრეველი**). თბილისის ნაკრებმა, რომელიც საქართველოს საუკეთესო ძიუდოისტებით (**ამირან პაპინაშვილი, ზაზა კედელაშვილი, ლევან წიკლაური, ბადრი გავაშელიშვილი, ლომერ ჟორჟოლიანი, ალექსი დავითაშვილი**, მწვრთნელი **გურამ მოდებაძე**) იყო დაკომპლექტებული, აფხაზეთისა და კახეთის წარმომადგენლებს აჯობა. გადამწყვეტ პაექრობაში მოდებაძის შეგირდებმა მეტოქეს 5:1 მოუგეს და ჯილდო 5 ათასი ლარიც დაიმსახურეს. შიდაქართლელებს 3 ათასი ლარი ერგოთ, მესამე ადგილზე გასულ მცხეთა-მთიანეთის გუნდს 2 ათასი ლარი გადაეცა.

**ცეზარ ჩოჩელი,** მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული: *„დუშეთობის“ დღესასწაული ნამდვილად დაამშვენა ეროვნულმა სიამაყემ — ქართულმა ჭიდაობამ. ფალავნებმა ლამაზი ფანდებით მოხიბლეს სტადიონზე მრავლად მოსული გულშემატკივარი.*

*ქართული ჭიდაობა ეროვნული საუნჯეა და ძირითადი ბაზა თუნდაც სპორტის ისეთი პოპულარული სახეობისთვის, როგორიც ძიუდოა. ამიტომაც ვცდილობთ, გვერდით დავუდგეთ ქართული ჭიდაობის ფედერაციას. წლეულს რამდენიმე საინტერესო ღონისძიება გვქონდა სხვადასხვა სოფელში. 1 ოქტომბერი ეროვნული გმირების — ქსნის ერისთავების წმინდანად ხსენების დღეა. 2003 წლიდან ახალგორში, სწორედ, ქსნის ხეობაში ტრადიციულად ქართული ჭიდაობითაც აღვნიშნავდით ამ დღეს. დროებითი გადაადგილების პირობებში ღონისძიებას წეროვანში ჩავატარებთ, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილას, სადაც შარშან ნახერხმოყრილი სარბიელი მოვაწყვეთ.*

**უშანგი ყურაშვილი,** ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი:

*„ტოკიოში თვალს ვადევნებდით ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენი ფალავნები იოლად ძლევენ მეტოქეებს, ქართულ ჭიდაობას თუ მეტად გაუშინაურდებიან. რაც დრო გადის, ძიუდო სულ უფრო ემსგავსება ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, ამიტომ, ყველაფერი უნდა ვილონოთ მისი ახალ საფეხურზე ასაყვანად.*

*დღევანდელი საინტერესო ღონისძიებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ცეზარ ჩოჩელს, ამ შეჯიბრების ორგანიზატორებს — დუშეთის გამგებელ ზურაბ ოტიაშვილსა და სპორტის სამსახურის უფროს ივერი ჯიქურაულს.*

*სეზონის ბოლომდე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება გველის: პირველ ოქტომბერს — წეროვანში; 9 ოქტომბერს ახმეტა სახელოვანი ფალავნის ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალს უმასპინძლებს, რომელსაც როგორც შარშან, ამჯერადაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დააფინანსებს. ოქტომბრის ბოლომდე კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში სპორტის სამინისტროს და სეოკ-ის ერთობლივი დახმარებით დიდი ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი. მერე 2010 წლის ფალავნობაც გაიმართება.*

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



გამარჯვებული გუნდი

ფარიკაობა

# ხმლითა და დაშნით...

ევროპის ფარიკაობის კონფედერაციამ კადეტი მუშკეტერებისთვის შარშან თასი დააწესა, რომლის გათამაშების ორ ეტაპზე მოხმალავე **მიხეილ მარდალეიშვილმა,** რომელიც ახლა კონტინენტზე კლასიფიკაციით მერვეა, მესამე ადგილები დაიკავა.

ამას წინათ მსგავს შეჯიბრებაში დაშნით მოფარიკავენი ჩაებნენ ანკარაში. პირველობისთვის 9 ქვეყნის 64 წარმომადგენელი იბრძოდა. საქართველოს სპორტულ ღირსებას ქუთაისის საფარიკაო სკოლის (დირექტორი **ვახტანგ ჭოლაძე**) წარმომადგენლები - **ირაკლი ამბროლაძე, ლევან ფცქიალაძე, თორნიკე მემანიშვილი, ირაკლი ფანცხავა** (მწვრთნელი — **მალხაზ ძნელაძე**) იცავდნენ. პირად პირველობაში ფანცხავამ, მემანიშვილმა და ამბროლაძემ, შესაბამისად, XI-XIII ადგილები დაიკავეს, ფცქიალაძე კი 28-ე იყო. სამაგიეროდ, რიონისპირელმა კადეტებმა გუნდურ პირველობაში იყოჩაღეს. მეოთხედფინალში დანიელები დაამარცხეს — 45:31, ნახევარფინალში თურქებს სძლიეს 45:38, ფინალური პაექრობა კი რუმინელებთან დათმეს 39:45 და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

გუშინ თბილისში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული მოფარიკავეთა ეროვნული ჩემპიონატი დამთავრდა. საფარიკაო ბილიკებზე დედაქალაქის, ქუთაისის, წყალტუბოს, რუსთავისა და აჭარის 95 მონაწილე გამოვიდა სამივე სახეობაში. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მოხმალავეთა პაექრობა. ვაჟთა ფინალში **სანდრო ბაზაძემ** 15:14 აჯობა უფროს ძმას - **ბექას** და ოქროს მედალი მოიპოვა. დების ნახევარფინალი გაიმართა ქალებში. აქაც უმცროსმა **თეოდორა კახიანმა** უფროს დას — **სოფიოს** მოუგო 15:12, მერე ფინალში ტრადიციული კონკურენტი **თათია აფციაურიც** დაამარცხა (15:11) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

» მე-13 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ცინცაძემ ბალტიის თასი მოიყუდა

## როკმა რიტასი დაახყუდა

**გიორგი ცინცაძემ** "ტარტუ როკში" დაბრუნება ბალტიის თასის მოგებით აღნიშნა. როკერებმა ნახევარფინალში ტალინის „კალევი" დაამარცხეს, ხოლო ფინალში - ევროლიგის ლიტველი წარმომადგენელი „ლიეტუვოს რიტასი".

მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით. ნახევარფინალში გუნდები ასე დანყვილდნენ: „ვენტსპილსი" (ლატვია)-"რიტასი" (ლიტვა), „როკი" (ესტონეთი)-"კალევი" (ესტონეთი). ტურნირს ტარტუს დარბაზმა უმასპინძლა, სადაც არაერთ ტრაფარეტზე შეხვდებოდით წარწერას „გიორგი". ლიტვურმა „რიტასმა" ნახევარფინალში ისევე იოლად სძლია „ვენტსპილსს", როგორც „როკმა" - „კალევს". ორივე წყვილში 19-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა: ლიტველებმა ლატვიელებს 82:63 აჯობეს, ხოლო ცინცაძის გუნდმა კალეველებს - 73:54.

„როკერებმა" მეტოქეს მესამე პერიოდში მოუღეს ბოლო, 22:7 მოუგეს და გამარჯვებულის ბედიც ნაადრევად გადაწყვიტეს.

გიორგი ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო და თანაგუნდელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მართალია, მან მხოლოდ ორი ორქულიანი და 4 საჯარიმო ისროლა, მაგრამ თანაგუნდელებს პასები უხვად ჩამოურიგა - 8 შედეგიანი გადაცემა, 5 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება. „ბუმ" 23 წუთი ითამაშა. „როკერთაგან" 10 ქულას **იანარ ტალტსი** (16) და ნიგერიელი **კალისტუს ეზიუკვუ** (14 ქულა, 11 მოხსნა) ასცდნენ. მათი კარგი ქმედების კოეფიციენტი 19-ს გაუტოლდა, ცინცაძე ამ მაჩვენებლით მესამე იყო - 13.

ფინალში „ტარტუ როკს" სერიოზული გამოცდა ელოდა - ბოლო წლებში ესტონელები ლიტვურ გრანდებთან, „რიტასთან" და „ჟალგირისთან" გამარჯვებაზე მხოლოდ ოცნებობდნენ. „ტარტუს" დარბაზში ესტონელი ქომაგები სენსაციის ხილვის იმედად მივიდნენ და „როკმა" გაუმართლა - „რიტასს" არაფერი დაუთმო, ბოლო წამებამდე თანაბრად ებრძოლა. საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე ესტონელები 55:54-ს იგებდნენ, რის შემდეგაც მათ დაცვაში თამაში კიდევ უფრო გააუმჯობესეს და დარჩენილ დროში „რიტასს" მხოლოდ 3 ქულა ჩააგდებინეს. გამარჯვებულის ბედი კი „როკერთა" გამოცდილმა ფორვარდმა **იანარ ტალტსმა** გადაწყვიტა: სირენამდე 1:39 წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო, 0:27 წუთით ადრე ორი საჯარიმო და... 60:54.

ამას მოჰყვა ერთი მხრიდან **ბიელიცას** სამქულიანი და მეორე მხრიდან ეზიუკვუს საჯარიმო. 61:57 და „ტარტუ როკმა" სეზონი მქუხარე გამარჯვებით დაიწყო.

ტურნირის საუკეთესო კალისტუს ეზიუკვუ გახდა, რომელმაც „რიტასს" 11 ქულა ჩაუგდო. ტალტსმა ფინალში ყველაზე მეტი, 14 ქულა მიითვალა, გიორგი ცინცაძემ კი 16 წუთში 4 ქულა (6-დან 2 ორქულიანი), 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. იგი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან **სტენ-ტიმუ სოკის** ნაცვლად შევიდა.

მატჩის შემდეგ ბალტიის თასის მფლობელთა მწვრთნელი **ინდრიკ ვესპაანუ** გახარებული იყო:

*- დავამტკიცეთ, რომ ევროლიგის წარმომადგენელ გუნდებთანაც შეგვიძლია გამარჯვება, ბალტიის ლიგაზე „ჟალგირისსა" და „რიტასს" ჩემპიონობაში სხვებიც შეეცილებიან...*

„როკისა" და ესტონეთის ნაკრების ყოფილი უკანახაზელის **ტანელ ტეინის** (კარიერა წლეულს დაასრულა) მონათხრობში გიორგი ცინცაძეს ერთი აბზაცი მიეძღვნა:

*- „როკი" ბალტიის ლიგაშიც თუ ისევე ითამაშებს, როგორც თასის ფინალში, საბოლოოდ ბევრს მიაღწევს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სეზონი ახლა იწყება, ბევრი გუნდი სრულად არ შევსებულა. ზოგი კალათბურთელი ახალი ჩასულია და ადაპტაციისთვის დრო სჭირდება. მაგალითისთვის გიორგი ცინცაძეც გამოდგება. იგი ორი კვირაა, რაც გუნდთან ვარჯიშობს და გუნდს უნდა შეეჩვიოს. ორი წლის წინათ, როცა ცინცაძე „როკში" თამაშობდა, შედარებით გამოცდილი შემადგენლობა გვყავდა, გიორგიმაც ბევრი შეიძინა და ახლა იგი გუნდში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია ამ მხრივ. სეზონის მსვლელობაში „ტარტუს" პროგრესსაც ველი და ცინცაძისასაც. ვფიქრობ, შეცდომების რაოდენობასაც მინიმუმამდე დაიყვანს და „როკში" მისი ფუნქციაც გაიზრდება.*

ბალტიის თასზე მესამე ადგილზე გავიდა ლატვიის „ვენტსპილსი", რომელსაც „როკის" ყოფილი თავკაცი **ალგირდას ბრაზისი** წვრთნის. ტარტუელთა გუნდზე მანაც ილაპარაკა:

*- მას შემდეგ, რაც ტარტუდან წავედი, ბევრი რამ შეიცვალა. თუმცა ერთი-ორი მოთამაშე ისევ გუნდშია. ტალტსი და ცინცაძე ძველებურად შედეგიანები არიან. ცინცაძე კარგად თამაშობდა და ტარტუში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ვფიქრობ, მას წლეულს არანაკლებ წარმატებული სეზონი ექნება.*

შეგახსენებთ, რომ 2007 წელს ესტონეთის ჩემპიონატის პლეი ოფებში სწორედ ბრაზისმა ამოაგდო ძირითადი ხუთეულიდან ცინცაძე და მის ნაცვლად ახალწვეული **დევიდ ბეილი** ჩასვა, რომელმაც იმ სეზონში ვერ გაამართლა.

ბოლოს ესტონურ ინტერნეტგაზეთ „პროსტიმეესში" გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგებს გთავაზობთ. კითხვა ასეთია: ახალ სეზონში ვინ გახდება „როკის" ლიდერი?

ხმების რაოდენობის მიხედვით საუკეთესო სამეული ასე გამოიყურება:

მესამე - **იანარ ტალტსი (15.8 პროცენტი).**
მეორე - **ჯორჯ ვეიდემანი** (19.9)
პირველი - **გიორგი ცინცაძე (41.9)**

ვაჟა სიმონიშვილი



# მანუმ მაპორიჩს თავი გაახსენა

**იტალიაში ლომბარდიის თასისთვის ბრძოლაში ოთხი კლუბი ჩაერთო: „კანტუ", „მილანი", „კრემონა" და „ვარეზე".**

**პირველ ნახევარფინალში მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუმ" „კრემონა" გაანადგურა (70:50), მეორეში „მილანმა" „ვარეზეს" 74:60 სძლია. ფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ „მილანი" და „კანტუ" წარდგნენ. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და „კანტუს" გამარჯვებით 80:78 დასრულდა. მანუჩარ მარკოიშვილმა თავის გუნდს 18 ქულა შესძინა.**

ნახევარფინალში „კრემონას" დამარცხება პირველ რიგში **მანუჩარ მარკოიშვილის** დამსახურებაა, რომელმაც 19 ქულა ჩააგდო. მატჩის მიმოხილვაში რამდენიმეჯერ გვხვდება „ბომბა დი მარკოიშვილი", რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველმა უკანახაზელმა მეტოქე სამქულიანებით „დაბომბა".

საინტერესოა, რომ „კრემონას" მანუს ყოფილი მწვრთნელი **ტომო მაჰორიჩი** ხელმძღვანელობს. ისინი ერთად „კიევში", 2007-08 წლებში მუშაობდნენ. „კრემონაში" „კიევის" მაშინდელი კაპიტანი **არტურ დროზდოვი** ირიცხება, რომელმაც „კანტუსთან" 11 ქულა ჩააგდო.

ორიოდე დღის წინ კანტუელებმა „ფაბიო სიმოს" თასი მოიგეს. ამ ჯილდოს მათ „დინამო სასარი" ეცილებოდა. მანუჩარ მარკოიშვილის გუნდმა 78:62 იმარჯვა. მანუმ 2 ქულა ჩააგდო.

■ ■ ■

სხვათა შორის, „ჯუზეპე ანჯელიკოს" თასისთვის ბრძოლაში ზემოხსენებულმა „დინამო სისარიმ" **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსს" სძლია - 71:70. ქართველმა ფორვარდმა მატჩი 9 ქულით დაასრულა.

მანამდე ბოლონიელებმა შედარებით ძლიერ მეტოქესთან, 8 ქულის სხვაობით დათმეს: „მილანთან", 73:81. ვიქტორმა მოედანი უქულოდ დატოვა.

■ ■ ■

**ნიკა მეტრეველის** „კრაბსმა" „ფერარასთან" ვერაფერი გააწყო - 59:68. ნიკამ 6 ქულა ჩააგდო. „კიბორჩხალებს" შორის გამოცდილი **დუშან ვუკჩევიჩი** გამოირჩა - 20 ქულა.

ვაჟა სიმონიშვილი

ფარიკაობა

# ხმლითა და დაშნით...

« მე-12 გვერდიდან

ამ სახეობაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მოხმალავეებს წლის ბოლომდე მნიშვნელოვანი ღონისძიებები ელით. როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით სახვაძემ** გვითხრა, 12 ოქტომბერს მთავარი მწვრთნელის, **მერაბ ბაზაძის** ხელმძღვანელობით ბექა და სანდრო ბაზაძეები და **მიხეილ მარდალეიშვილი** კიევში გაემგზავრებიან უკრაინელ კოლეგებთან ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. მისი დამთავრების შემდეგ ბექა ბაზაძე პარიზში 4 და 6 ნოემბერს მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს, ხოლო სანდრო ბაზაძე, მარდალეიშვილი, თეოდორა კახიანი და თათია აფციაური ლობნიაში (მოსკოვთან ახლოს) იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. დეკემბერში კადეტები და იუნიორები გერმანიასა და ირანში მსოფლიოს და ევროპის თასის ეტაპებზე გამოცდიან ძალებს.

რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს დანარჩენ ორ სახეობაში, გვინდა გამოვყოთ რაპირაში **ლუკა ლალანიძის** წარმატება. 13 წლის ყმაწვილმა ფინალამდე წარმატებით განვლო ყველა ეტაპი, იქ კი **არჩილ უგულავასთან** დამარცხდა 10:15 და ვერცხლის მედალს დაჯერდა.

ახლა კი გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

**ხმალი. გოგონები.** 1. თეოდორა კახიანი, 2. თათია აფციაური, 3. სოფიო კახიანი (სამივე-თბილისი) და ანა სინათაშვილი (ქუთაისი);

**ვაჟები.** 1. სანდრო ბაზაძე, 2. ბექა ბაზაძე, 3. შოთა შავგულიძე (სამივე-ქუთაისი) და დავითი მთვარელიძე (თბილისი).



მარცხნიდან: ვახტანგ ჭოლაძე, ირაკლი ამბროლაძე, ლევან ფცქიალაძე, თორნიკე მემანიშვილი, ირაკლი ფანცხავა, მალხაზ ძნელაძე

**რაპირა. გოგონები.** 1. თეონა გოგლიძე (თბილისი), 2. თინა ბოლქვაძე, 3. ეკა გიორგაძე (ორივე - ქუთაისი) და ციმი ხარხელაური (თბილისი).

**ვაჟები.** 1. არჩილ უგულავა, 2. ლუკა ლალანიძე, 3. სანდრო სიხარულიძე (სამივე - თბილისი) და ირაკლი ჭელიძე (ბათუმი).

**დაშნა. გოგონები.** 1. ეკატერინე ალბრეხტი, 2. მარი ლომიძე (ორივე - თბილისი), 3. ალექსანდრა ანანიაშვილი (ბათუმი) და ნათია ჩაჩხიანი (ქუთაისი).

**ვაჟები.** 1. ანზორ ალბრეხტი (თბილისი), 2. დავით არველაძე (ქუთაისი), 3. მამუკა მახაშვილი და ზვიად სისაური (ორივე - თბილისი).

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# ვაჟების დიდი გამოცდა...

ხანტი-მანსიისკში რუსეთის ქალთა პირველი ნაკრები მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე საშუალო რეიტინგით ყველას უსწრებს და ასპარეზობის მთავარ ფავორიტადაც ითვლება. მასპინძლები ჯერჯერობით ვარაუდს ამართლებენ: IV ტურში დრეზდენის ოლიმპიადის ჩემპიონ ქართველ ქალებს მოუგეს 2,5:1,5, შემდეგ მსგავსი ანგარიშით ასევე კონკურენტი ჩინელები დაამარცხეს და 5 ტურის შემდეგ ბულგარელთა მძლეველ (3:1) უკრაინელებთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

ჩრდილოელ მეზობლებთან დანებების მერე ჩვენს მანდილოსნებს ცხელ გულზე წილისყრამ აზერბაიჯანელების ნაკრები არგუნა. ამ გუნდმა შარშან ქართველებს ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედლები დააკარგვინა (შეხვედრა ფრედ დამთავრდა). რუსებზე გაბრაზებულმა ჩემპიონებმა ჯავრი აზერბაიჯანელებზე იყარეს — 4:0 დაამარცხეს: **ზეინაბ მამედიაროვა** (2234)-**ნანა ძაგნიძე** (2534) 0:1, **ლელა ჯავახიშვილი** (2451)-**ტურკან მამედიაროვა** (2301) 1:0, **გულნარ მამადოვა** (2293)-**სალომე მელია** (2439) 0:1, **სოფიკო ხუხაშვილი** (2422)-**ნარგიზ უმუდოვა** (2251) 1:0.

ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **რუმინეთი-უნგრეთი 1,5:2,5, აშშ-სლოვენია 2,5:1,5, ინდოეთი-ირანი 3:1, ინდონეზია-სერბეთი 1:3, საბერძნეთი-სომხეთი 1,5:2,5, პერუ-გერმანია 1:3, პოლონეთი-ავსტრია 4:0, რუსეთი (2)-კუბა 2,5:1,5, რუსეთი (3)-ჩეხეთი 3,5:0,5.**

ხუთი ტურის შემდეგ 10-10 ქულით უკრაინა და რუსეთი (1) მეწინავეობენ. ლიდერებს თითო ქულით აშშ და უნგრეთი ჩამორჩება. 8-8 ქულა აქვს 12 ქვეყანას, მათ შორის — საქართველოს, რომელიც დამატებითი მაჩვენებლებით მე-5 ადგილზე იმყოფება.

გუშინ მოჭადრაკეები ისვენებდნენ. დღეს მე-6 ტურში დიდ ინტერესს იწვევს რუსეთი-1 (15)-უკრაინის (16) დაპირისპირება. საქართველოს ქალთა ნაკრები (16) ამერიკელებს (15, **ირინა კრუში-2490, ანა ზატონსკიხი-2480, თათევ აბრაჰამიანი-**2352, **კალიმე ბაკინსკაიტე-**2328, **საბინა-ფრანჩესკა ფოიშორი-**2293) ხვდება. მეწინავეთაგან დანარჩენი გუნდები ასე დაწყვილდნენ: უნგრეთი (14)-პოლონეთი (16), რუსეთი-3 (15,5)-ჩინეთი (14,5), ინდოეთი (15)-იტალია (12,5), ბულგარეთი (12)-სერბეთი (15), სომხეთი (15)-რუსეთი-2 (13), შვეიცარია (12,5)-გერმანია (15).

საჭადრაკო ოლიმპიადის ერთგვარ სენსაციად იქცა საქართველოს ვაჟთა ნაკრების შედეგი. მას შემდეგ, რაც შაბათს ვიეტნამს 3,5:0,5 სძლია (**ბაადურ ჯობავამ** (2710), **მერაბ გაგუნაშვილმა** (2598) და **ლევან ფანცულაიამ** (2599), შესაბამისად, **ლემ ქუანგ ლი** (2694), **სონ ნგუენი** (2633) და **ჰაი დაო** (2520) დაამარცხეს, ხოლო **მიხეილ მჭედლიშვილი** (2628) **დანგ ნგუენს** (2500) დაუზავდა), ჩვენმა გუნდმა 10 ქულით პირველი ადგილზე გადაინაცვლა. მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვეს სომხებმა (რუსეთის მე-2 ნაკრებს მოუგებს 2,5:1,5) და უნგრელებმა (რუსეთის პირველ ნაკრებს აჯობეს 2,5:1,5), მაგრამ ჩვენები მეტოქეებს მოთამაშეთა მიერ მოგროვებული ქულებით (17,5) უსწრებენ. 9-9 ქულას მოუყარეს თავი უკრაინამ და ჰოლანდიამ. 10 ნაკრებს 8-8 ქულა აქვს. დღეს ქართველი დიდოსტატები სომხებს (15. **ლევონ არონიანი-**2783, **ვლადიმირ აკოფიანი-**2691, **გაბრიელ სარგისიანი-**2677, **არმან პაშიკიანი-**2693, **ავეტიკ გრიგორიანი-**2579) ეთამაშებიან. VI ტურში მეწინავეთა დანარჩენი წყვილები ასეთია: **უკრაინა (15,5)-უნგრეთი (13,5), რუსეთი-2 (15,5)-ჰოლანდია (9), რუსეთი-1 (14)-ჩეხეთი (15,5), აზერბაიჯანი (15)-ინდოეთი (14), ვიეტნამი (15)-აშშ (14,5), პოლონეთი (15)-ესტონეთი (13,5), რუსეთი-3 (12,5)-საბერძნეთი (7 ქულა, 14).**

ვაჟა დანელია

# ორი ტურით ადრე

ბათუმში 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე რამდენიმე ჩვენებური სხვადასხვა სინჯის მედლის მოპოვების შანსს ინარჩუნებს.

8-წლიანებში **სანდრა კაპანაძე** და **მაია ბეჭვაია** 6-6 ქულით **ეკატერინა კოლცევასთან** (რუსეთი) ერთად პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ. ბიჭებში ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან **ნიკოლოზ პეტრიაშვილი** და **ლუკა ობოლაძე.**

10-წლიანებში **ნატა ჯიბუტი** ერთპიროვნულად მეწინავეობს. თითო ქულით ნაკლები აქვთ **ნინო ჯალაღონიას, ელენე კოსტავას** და **მარიამ დოლიძეს.** ამ ასაკის ქართველ ბიჭებს კვარცხლბეკზე ასვლის შანსი, ფაქტობრივად, არ შერჩათ. მსგავსი სიტუაციაა 12 წლის გოგონებშიც, თუმცა აქ არც ვაჟებს აქვთ უკეთესი მდგომარეობა, რადგან 5-ქულიანი **ნოე თუთისანის** შესაძლებლობანი მინიმალურია.

14-წლიან გოგონებში 6 ქულით ერთპიროვნულად **ულვია ფატალიევა** (აზერბაიჯანი) მეწინავეობს. **თეკლა მაჭარაშვილმა** და **ნატო იმნაძემ** 5,5-5,5 მოუყარეს თავი და მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. ვაჟებში **ირაკლი ბერაძეს** მედლისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლია.

16-წლიან გოგონებში 6 ქულით პირველ ადგილზეა **მერი არაბიძე.** 5,5 ქულითა და უკეთესი კოეფიციენტით **მარიამ დანელია** მეორეა. ვაჟებში **ნოდარ ლორთქიფანიძემ** 5 ქულა მოაგროვა. ერთპიროვნულ ლიდერს ქულით, მეორე-მეოთხეადგილოსნებს კი ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება.

18-წლიანებში **ქეთი წაწალაშვილი** 5,5 ქულით **ხაიალა აბდულასთან** (აზერბაიჯანი) ერთად გათამაშების ცხრილის სათავეშია. ქულით ნაკლები აქვს **ფატმან რიჟამაძეს.** ვაჟებში 4,5-ქულიან **ზურაბ ჯავახაძეს სამველ ტერ-პეტროსიანი** (სომხეთი) და **ვასიფ დურარბეილი** (აზერბაიჯანი) 1,5-1,5 ქულით უსწრებენ.

დღეს მერვე ტურის პარტიები გაიმართება, რომელთა შედეგები გათამაშების ცხრილებში მეტ სიცხადეს შეიტანს.

ვაჟა დანელია

სუმოს სამყარო. აკი ბაშო

# ტოჩინოშინმა კომუსუბის ტიტული დაიბრუნა

სუმოს ისტორიაში ქართველთათვის ყველაზე წარმატებული ბაშო დასრულდა: პირველად სამივე ჩვენებურმა უმაღლეს დივიზიონში სუპერტურნირი დადებითი ბალანსით დაასრულა: 22 წლის **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** მიზანს მიაღწია - კომუსუბის ტიტული პირველივე ცდაზე დაიბრუნა, ხოლო 23 წლის **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** პირადი რეკორდი დაამყარა, 10 შეხვედრა მოიგო; რეიტინგში წინ წაიწევს 29 წლის **ლევან ცაგურიაც (კოკაი)**...

შემოდგომის ბაშოს უკანასკნელ დღეს ტოჩინოშინი ლამის უკვე კომუსუბის რანგში გავიდა დოჰიოზე, რადგან რამდენიმე წუთით ადრე მისი უშუალო კონკურენტი **კოტოშოგიკუ** დამარცხდა და მე-10 „ქულას" ვერ შეწვდა. ჩვენებურმა, ყოველი შემთხვევისთვის, თავისი მიღწევა მე-9 გამარჯვებით გაამყარა, იორიკირით ექსკომუსუბი **შიმოტორის** მოუგო. ლევანმა ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა და **კისენოსატოსგან** გამოთავისუფლებულ ტიტულს მიიღებს. მართალია, პირველი ქართველი კომუსუბი კოკაი იყო, თანაც „შავმა ზღვამ" ორი ბაშო გაძლო ამ რანგში, მაგრამ ტოჩინოშინი პირველი ქართველია, რომელმაც დაკარგული ტიტული დაიბრუნა.

კოკაიმ ბაშოს ბოლოს ველარ იჭიდავა სათანადოდ, ბოლო ექვსი ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთი მოიგო, თუმცა ის ერთიც საკმარისი გამოდგა დადებითი ბალანსისთვის - 8-7. ბოლო დღეს „შავი ზღვა" ჩინელ **სოკოკურაისთან** დამარცხდა.

გაგამარუს ბოლო ბრძოლა თვალსაჩინო სანახავი გამოდგა - ორცენტნერიანმა ქართველმა ელიტის ყველაზე მსუბუქი სუმოისტი **ჰაკუბა** ორ წამში მოისროლა დოჰიოდან, ხუმრობა ხომ არ არის წონაში 78-კილოიანი სხვაობა! გაგამარუმ ბაშო 10-5 ბალანსით დაასრულა და ოძეკ **კოტოოშუსა** და **ტამავაშისთან** ერთად ბაშოზე მეხუთე ადგილი გაიყო.

დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** ზედიზედ მეოთხე ბაშო მოიგო დაუმარცხებლად. მონღოს აგერ უკვე 62 ორთაბრძოლაა, არ წაუგია. ჰაკუჰომ იმპერატორის თასი კარიერაში მე-16-ედ მიიღო.

მანამდე, შაბათს, ტოჩინოშინმა უვატენაგეს ილეთით დასცა მე-12 მაეგაშირა **ტაკეკაძე** და ამით თავად კაჩი კოში მოიპოვა, ხოლო დიდ ჩემპიონ ჰაკუჰოს უკანასკნელი კონკურენტიც ჩამოაცილა. ქართული სუმოს პიონერი კოკაი ახალგაზრდა თანამემამულე გაგამარუს ხვდებოდა, გაგამარუმ წამებში განდევნა „შავი ზღვა" დოჰიოდან.

**XIV დღე:** ჰაკუჰო-კოტოოშუ (იორიკირი), ბარუტო-ჰარუმაფუჯი (ცუკიდაში), კაიო-კისენოსატო (იორიკირი), ტოჩიოძანი-ჰაკუბა (იორიკირი), არანი-ტოკუსეგავა (ოშიდაში), ამინიშიკი-კაკურიუ (ცუკიოტოში), ვაკანოსატო-მოკონამი (უვატენაგე), ბუშუიამა-ტოკიტენკუ (ოშიდაში), ტოჩინოშინი-ტაკეკაძე (უვატენაგე), ჰომაშო-ტაკამისაკარი (იორიკირი), სოკოკურაი-კიოკუტენჰო (იორიკირი), კოტოშოგიკუ-იოშიკაძე (ოშიდაში), ასასეკირიუ-ტოჩინონადა (უვატენაგე), ტოსაიუტაკა-კასუგაო (იორიკირი), კიტატაიკი-ტოიოძაკურა (ოშიდაში), გაგამარუ-კოკაი (იორიკირი), კიმურაიამა-კაკიძოე (ოშიდაში), შიმოტორი-ტამავაში (ცუკიოტოში), კოტოკასუგა-ტოსანოუმი (შიტადედაშინაგე), კორიუ-კიოკუნანკაი (ჰატაკიკომი).

**ბოლო დღე:** ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), კოტოოშუ- ბარუტო (იორიკირი), არანი- კაიო (იორიკირი), ტოჩიოძანი-ასასეკირიუ (ჰატაკიკომი), კისენოსატო-ამინიშიკი (ოშიდაში), კაკურიუ-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), ტოკუსეგავა-ტოკიტენკუ (იორიკირი), ვაკანოსატო-ტოსაიუტაკა (სუკუინაგე), ჰომაშო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოჩინოშინი-შიმოტორი (იორიკირი), ტაკეკაძე-კოტოშოგიკუ (იორიკირი), ტაკამისაკარი-კაკიძოე (იორიტაოში), გაგამარუ-ჰაკუბა (ოშიდაში), მოკონამი -კიოკუნანკაი (უვატენაგე) , ტამავაში-კიტატაიკი (ცუკიდაში), სოკოკურაი-კოკაი (იორიკირი), კოტოკასუგა-კიმურაიამა (ოშიდაში), ბუშუიამა-ტოსანოუმი (იორიკირი), კორიუ-ტოიოძაკურა (ჰატაკიკომი), ტოჩინონადა-კასუგაო (იორიტაოში).

**საბოლოო მდგომარეობა**

**15-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), **12-3:** ტაკეკაძე (მაეგაშირა 12),**11-4:** ტოჩიოძანი (სეკივაკე), იოშიკაძე (მ 11), **10-5:** კოტოოშუ (ოძეკი), ტამავაში (მ 14), **გაგამარუ** (მ 15), **9-6:** ბარუტო (ოძეკი), კაკურიუ (კომუსუბი), **ტოჩინოშინი** (მ 2), კოტოშოგიკუ (მ 3), ასასეკირიუ (მ 6), კიტატაიკი (მ 7), კოტოკასუგა (მ 11), **8-7:** ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კაიო (ოძეკი), ამინიშიკი (მ 4), ჰაკუბა (მ 5), **კოკაი** (მ 8), კიმურაიამა (მ 9), შიმოტორი (მ 10), სოკოკურაი (მ 13), ტოჩინონადა (მ 14), **7-8:** არანი (სეკივაკე), კისენოსატო (კომუსუბი), ჰომაშო (მ 2), **6-9:** ტოკუსეგავა (მ 4), ტოსაიუტაკა (მ 7), ბუშუიამა (მ 9), კორიუ (მ 12), კასუგაო (მ 13), ტოიოძაკურა (მ 17), **5-10:** ვაკანოსატო (მ 1), მოკონამი (მ 6), **4-11:** კიოკუტენჰო (მ 3), ტაკამისაკარი (მ 5), ჰოკუტორიკი (მ 14), კიოკუნანკაი (მ 16), **3-12:** კაკიძოე (მ 15), **2-13:** ტოკიტენკუ (მ 1), ტოსანოუმი (მ 16), **0-15:** მასაცუკასა (მ 8)

**ტიტულები: იმპერატორის თასი:** ჰაკუჰო (მე-16), **ბრწყინვალე ასპარეზობა:** არავის, **მებრძოლი სული:** ტაკეკაძე (მე-2), იოშიკაძე (მე-2), **ტექნიკური რიკიში:** ტოჩიოძანი (მე-2), **ჟიურის ჩემპიონი:** ტოიონოშიმა (მე-2)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ტატიშვილმა 50 ქულა მოიპოვა

საქართველოს პირველ ჩოგან **ანა ტატიშვილს** (152) ნიუ მექსიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკიში საკმაოდ წარმატებული ტურნირი გამოუვიდა - ჩვენებურმა 75-ათასიანი ტურნირის ნახევარფინალამდე გააღწია და 50 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა, ზუსტად იმდენი, რასაც თელავის ტურნირში მიიღებდა, თუკი სამშობლოში ითამაშებდა და გაიმარჯვებდა. სამწუხაროდ, ანა არ გვანებივრებს და საქართველოში სათამაშოდ აღარ ჩამოდის, ალბუკერკიში კი სულ ამერიკელებთან მოხდა საქმის დაჭერა.

მე-5 ნომრად განთესილმა ქართველმა მიყოლებით ჩამოიშორა ერთ დროს სახელიანი ჩოგბურთელები: **ალექსანდრა სტივენსონი** (მსოფლიოს მე-18 ჩოგანი ახლო წარსულში) და **ჯული დიტი** (ყოფილი 89-ე ჩოგანი). მეოთხედფინალში მან **კიმბერლი კაუტსი** (308) დაამარცხა - 2:6, 6:1, 7:5. აი, ნახევარფინალში კი **ლინდსეი ლი-უოტერსთან** (229) ველარ იყოჩაღა. 33 წლის ლი-უოტერსმა, რომელიც 1996 წელს (მაშინ ანა 6 წლის იყო!) მსოფლიოს 43-ე ჩოგანი იყო, ერთი ამოსუნთქვით მოუგო ჩვენებურს - 6:0, 6:3. წყვილთა თანრიგში ტატიშვილი და **კატრინ ფოირლე** (179) ნახევარფინალამდე მივიდნენ, სადაც პირველ ნომრად განთესილ ამერიკელებთან (**სპირსი, ვაშინგტონი**) დამარცხდნენ - 7:5, 3:6, 7:10.

შარშან ალბუკერკიში ანა ტატიშვილი პირველივე წრეში დამარცხდა, ასე რომ, რეიტინგში მის საკმაო დაწინაურებას ველით.

**ნიკოლოზ ბასილაშვილი** ამერიკულ კოსტა მესაში (10 ათასი დოლარი) მეოთხედფინალში დამარცხდა მე-2 ნომრად განთესილ მექსიკელ **დანიელ გარსასთან** (447) - 2:6, 4:6. იტალიურ ბრუსაპორტოში **ლადო ჩიხლაძემ** წყვილთა ფინალში (**რიკარდო ბელოტისთან** ერთად) ითამაშა, სადაც პირველ ნომრად განთესილ მასპინძლებთან (**კრეპალდი, გრასი**) წააგო - 3:6, 4:6. მოკლედ, ლადო ორი ტურნირია, რაც დაბრუნდა და 4-დან 3 ფინალში ითამაშა, ერთხელაც მომავალ გამარჯვებულთან დათმო მერვედფინალში.

25-ათასიანი „თელავი ოუფენი" მე-4 ნომრად განთესილმა **მელანი კლაფნერმა** (248) მოიგო, ავსტრიელმა ნახევარფინალში **ოქსანა კალაშნიკოვა** (191) დაგვიმარცხა. ფინალში მე-3 ნომრად განთესილმა უკრაინელმა **ირინა ბურიაჩოკმა** (252) მესამე სეტში შეწყვიტა წინააღმდეგობა - 3:6, 6:0, 3:0 კლაფნერის სასარგებლოდ. წყვილთა ფინალში კალაშნიკოვასა და კლაფნერის დუეტმა **კაპშაის** და **სატმარისთან** წააგო - 1:6, 6:2, 8:10.

ჩოგბურთელები თელავიდან თბილისში ჩამოვიდნენ, სადაც „ბათუმის ნავთობტერმინალის თასზე" (25 ათასი დოლარი) იასპარეზებენ. საკვალიფიკაციო ბადეში 13 ქართველი ჩაება, ძირითად ბადეში კიდევ 8 ჩვენი თანამემამულეა. გაგაცნობთ 8 განთესილს. 1. ოქსანა კალაშნიკოვა, 2. **მაკა ჩახნაშვილი**, 3. ირინა ბურიაჩოკი, 4. მელანი კლაფნერი, 5. **სოფიო შაფათავა**, 6. **თათია მიქაძე**, 7. **რეკა-ლუკა იანი**, 8. **კაროლინა კოშინსკა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. ლეგიონერები

# ყველაზე ქართული ფრანგული გუნდი გალიდერდა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-8 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში ყველაზე ქართული ფრანგული გუნდი „მონპელიე" მოექცა.

**მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" შინ დივიზიონის დებიუტანტი „ლა როშელი დაამარცხა - 26:6 და გუნდის ისტორიაში პირველად ლიდერობს. ელიტური, პირველი დივიზიონის ახალბედებთან თამაში საკმაოდ მძიმე გამოდგა. სტუმართა გუნდი მედგრად იცავდა თავს. საწყისი 15 წუთი ისე მიილია მონპელიელებმა მონაგარს ვერაფერი შესძინეს. ამის შემდეგ სალელოვე შეტევა საფრანგეთის ნაკრების მგეზავმა **ფრანსუა ტრინ-დუკმა** წამოიწყო, საქართველოს ნაკრების მეორეხაზელმა მამუკა გორგოძემ განაგრძო და შუამარბ **სილვენ მირანს** ლელო გაატანინა.



გოდერძი შველიძის ლელო

„გულივერა" მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდა და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. შველიძემ, რომელიც თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო, 71-ე წუთზე ლელო გაიტანა, რამაც „მონპელიეს" საპრემიო ქულა და ლიდერობა მოუტანა. ფრანგულმა ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა", მე-8 ტურში, სწორედ შველიძის ლელო გამოარჩია.

ჟღენტი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო. ჩხაიძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ. მომდევნო ტურში „მონპელიეს" კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელის სტუმრად „სტად ფრანსესთან". მართალია, პარიზული გუნდი ამჟამად მიზეზთა გამო შედარებით დაუძლურებულია, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა.

მე-8 ტურის შემდეგ ლიდერთა შორისაა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონიც". ჩვენებურის გუნდმა სტუმრად გათამაშების აუტსაიდერი „ბურგუენი" დაამარცხა - 26:3. ტულონელთა რიგებში კვლავ გამორჩეული იყო ინგლისის ნაკრების მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**, რომელიც შეტევებსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა და კარშიც ზუსტად ურტყამდა. მის ანგარიშზე 16 ქულაა (ორი-ორი საჯარიმო, არეკნი და გარდასახვა).

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 73-ე წუთიდან გამოჩნდა. ამსობაში თითქმის ჩაშლის პირასაა მისული „ტულონში" ახალი ზელანდიის ნაკრების მგეზავის **დენ კარტერის** ტრანსფერი.

„კარტერს ზედმეტი მოსდის. მან წელიწადში მილიონ ორასი ათასი ევრო მოითხოვა. კონტრაქტი კი სამწლიანი უნდა იყოს. ასეთ დიდ თანხას მსოფლიოში არავის უხდიან. ალბათ, ჩვენც ვერ გადავიხდით", - თქვა „ტულონის" მულტიმილიონერმა მფლობელმა **მურად ბურჯელალმა.**

საფრანგეთის ჩემპიონმა, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" შინ მოუგო **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს" - 24:6. „ვულკანებმა" ამ გამარჯვებით ოდნავ გამოიკეთეს სატურნირო მდგომარეობა.

ზირაქაშვილი თადარიგში იყო და თამაშში 43-ე წუთიდან ჩაერთო. გიორგაძეს და ფეიქრიშვილის არ უთამაშიათ.

**დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი" შინ „ტულუზთან" ფრეს დასჯერდა - 16:16. მასპინძლები თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე 6 ქულით იგებდნენ - 16:10, თუმცა ტულუზელთა მგეზავმა **დავიდ სკრელამ** ორი საჯარიმო გაიტანა და თანაგუნდელები მარცხისგან იხსნა.

ხინჩაგიშვილი, რომელიც თამაშში 44-ე წუთიდან ჩაერთო, 59-ე წუთზე არბიტრმა გაასინბინა. კაკოვინი განაცხადში არ იყო.

ისევ დამარცხდა **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი". ჩვენებურის გუნდმა ამჯერად შინ წააგო „სტად ფრანსესთან" - 12:27. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო.



გოდერძი შველიძე (№17) და ბენჟამინ ტიერი

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

VIII ტური: ბურგუენი-ტულონი 3:26, კლერმონი-კასტრი 24:6, მეტრო რასინგი-ბიარიცი 17:12, ბრივი-ტულუზი 16:16, ბაიონი-პერპინიანი 25:26, აჟენი-სტად ფრანსე 12:27, მონპელიე-ლაროშელი 26:6.

სატურნირო მდგომარეობა: 1. მონპელიე - 27 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 27, 3. ტულუზი - 23, 4. ტულონი - 23, 5. პერპინიანი - 22, 6. ბაიონი - 22, 7. ბიარიცი - 19, 8. კლერმონი - 19, 9. სტად ფრანსე - 19, 10. კასტრი - 18, 11. ბრივი - 17, 12. ლა როშელი - 10, 13. აჟენი - 7, 14. ბურგუენი - 6.

IX ტური: ტულონი-კასტრი, პერპინიანი-ლა როშელი, კლერმონი-აჟენი, სტად ფრანსე-მონპელიე, ბურგუენი-ბრივი, ტულუზი-მეტრო რასინგი, ბაიონი-ბიარიცი.

**II დივიზიონი**

მეორეადგილოსანმა **გურამ კავთიძის** „ლიონმა" სტუმრად წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბორდოსთან" - 15:3. კავთიძე განაცხადში არ იყო.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ მოუგო „ოშს" - 18:14. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 35-ე წუთზე შეცვალეს. მირცხულავას არ უთამაშია.

**გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა" სტუმრად მოუგო „ექსს" - 36:21. მენაბდიშვილი განაცხადში არ იყო.

V ტური: კოლომიე-სენტ ეტიენი 23:23, დაქსი-ოიონაქსი 26:14, ტარბი-ოში 18:14, ნარბონი-მონ დე მარსანი 24:13, ექსი-გრენობლი 21:36, კარკასონი-ორიაკი 30:6, ბორდო-ლიონი 15:3, პო-ალბი 13:19

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ალბი - 22 ქულა, 2. ლიონი - 17, 3. ოიონაქსი - 15, 4. ორიაკი - 14, 5. კოლომიე - 14, 6. ტარბი - 14, 7. გრენობლი - 13, 8. მონ დე მარსანი - 11, 9. კარკასონი - 10, 10. დაქსი - 9, 11. ნარბონი - 9, 12. პო - 8, 13. ბორდო - 7, 14. ოში - 7, 15. სენტ ეტიენი - 7, 16. ექსი - 4.**

**VI ტური: ოში-დაქსი, ექსი-კოლომიე, ალბი-მონ დე მარსანი, ოიონაქსი-ორიაკი, პო-ნარბონი, ლიონი-გრენობლი, კარკასონი-ტარბი, სენტ ეტიენი-ბორდო.**

რუმინეთის ჩემპიონატში პლეი ოფის ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. **ბიძინა სამხარაძის, კახაბერ უჩავას, ლაშა თავართქილაძის, ოთარ ტურაშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ფარულმა" ბუქარესტის „სტიაუასთან" 15:21 წააგო და ახლა „დინამოსთან" მესამე ადგილისთვის ითამაშებს.

სამხარაძემ, თავართქილაძემ და ნატრიაშვილმა სრულად ითამაშეს. ტურაშვილი 56-ე წუთზე შეცვალეს, უჩავა თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო.

ფინალში „სტიაუა" 2 ოქტომბერს მოქმედ ჩემპიონს, „ბაია მარეს" დაუპირისპირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

# ფავორიტები არ აგებენ

ლოგიკურად დასრულდა ქალებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპი - ფავორიტებმა სამ-სამი გამარჯვებით თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს და მაქსიმალური ქულებით გადავიდნენ მეორე ეტაპზე, სადაც სამი ტურის ჩატარების შემდეგ მეოთხედფინალური წყვილები გაირკვევა.

**A ჯგუფი**

**ავსტრალია-ჩინეთი 91:68**
**კანადა-ბელარუსი 49:61**

ავსტრალიამ ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა ჯგუფური ეტაპი და არც ერთ მატჩში არ შეგვპარვია ეჭვი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთა უპირატესობაში. გამონაკლისი არც ბოლო შეხვედრა ყოფილა. პირველ მეოთხედში 32 ქულის ჩაგდების შემდეგ, **კერი გრაფის** შეგირდებს მოდუნების საშუალება მიეცათ და მოქმედმა ჩემპიონმა იოლად მიიყვანა საქმე ლოგიკურ შედეგამდე. WNBA-ის წლევანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშე **ლორა ჯექსონმა** სოლიდური დასვენების საშუალება მიიღო. ავსტრალიამ ჯგუფურ ტურნირზე საშუალოდ 24-ქულიანი უპირატესობით დამარცხა მეტოქეები.

ბელარუსმა პრაქტიკულად ექვსი კალათბურთელით დაამარცხა კანადის ნაკრები. ევროპელები არც ისე ზუსტად ისროდნენ, სამაგიეროდ ფარქვეშ ირჯებოდნენ კარგად და ამ კომპონენტში აშკარად აჯობეს მეტოქეს - 42:27. მიუხედავად ამისა, მესამე მეოთხედის შუაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ინტრიგა, მაგრამ ბელარუსმა მიზანი გაასწორა და ყველაფერი თავის ადგილას დადგა. საინტერესოა, რომ კანადისთვის ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამ გუნდმა 50-ქულიანი ზღვარი გადალახა.

**სატურნირო მდგომარეობა:** ავსტრალია - 3 მოგება/0 წაგება, ბელარუსი - 2/1, კანადა - 1/2, ჩინეთი - 0/3.

**B ჯგუფი**

**აშშ-საფრანგეთი 81:60**
**სენეგალი-საბერძნეთი 68:83**

ამერიკისა და საფრანგეთის მატჩი სანახაობრივი გამოვიდა. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ბოლო ოლიმპიადის გამარჯვებული ბოლო ევრობასკეტის ტრიუმფატორს ხვდებოდა. რაც შეეხება ბრძოლას, ის მხოლოდ პირველ მეოთხედში იყო, რის შემდეგაც აშშ გაიქცა და საფრანგეთი აღარ იყო ფავორიტის დამწევი. სხვაობა ყოველ წუთს იზრდებოდა და საფინალო სირენისთვის 21 ქულა შეადგინა. საინტერესოა, რომ ასეთი უპირატესობის მისაღწევად ამერიკელებს სამქულიანების გამოყენება არ დასჭირვებიათ. მათ მხოლოდ შვიდი შორეული ტყორცნა შესრულეს და სამი ჩააგდეს. აშშ ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა ჯგუფურ ეტაპზე და ეს გუნდი სამართლიანად მიიჩნევა ტურნირის მთავარ ფავორიტად.

სენეგალისა და საბერძნეთის მატჩში ირკვეოდა მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე საგზურის ბედი. წინა ორ მატჩში სამარცხვინო განადგურების შემდეგ, აფრიკელებმა 68 ქულა ჩააგდეს და ამითაც კმაყოფილები უნდა იყვნენ. მატჩის მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მით უმეტეს, რომ სენეგალმა ვერ შეაჩერა რეაქტიული **ევანტია მალცი**, რომელმაც 15-დან 11 ბურთი ჩააგდო (11დან 7 სამქულიანი) და საბერძნეთს 31 ქულა მოუტანა.

**სატურნირო მდგომარეობა:** აშშ - 3 მოგება/0 წაგება, საფრანგეთი - 2/1, საბერძნეთი - 1/2, სენეგალი - 0/3.

**C ჯგუფი**

**მალი-კორეა 66:68 (ო)**
**ბრაზილია-ესპანეთი 57:69**

როცა მალიმ ტურნირის სტარტზე 44 ქულა წააგო ესპანეთთან, ეს გუნდი ყველამ ტურნირის უსუსტეს ნაკრებად მონათლა, მაგრამ მომდევნო ორ მატჩში აფრიკელებმა სკეპტიკოსების გაჩუმება შეძლეს. თავიდან მათ კინაღამ ბრაზილიას მოუგეს, ბოლო ტურში კი თანაბრად შეებრძოლენ კორეას. არადა, აზიელები თავიდან 18:3 გაიქცნენ, მაგრამ შემდეგ კონცენტრაცია დაკარგეს და კინაღამ დაისაჯნენ. ძირითადი დროის ბოლო წამებზე ანგარიში 62:62 იყო, მალი უტევდა, მაგრამ ბურთი დაკარგა. დამატებით დროში კლასმა მაინც გადამწყვეტი სიტყვა თქვა და კორეამ პრესტიჟი შეინარჩუნა.

პირველ ორ ტურში ბრაზილიამ არც ისე შინაარსიანი თამაში აჩვენა და ესპანეთთან მისგან გმირობას არავინ ელოდა. მიუხედავად ამისა, ლათინოამერიკელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და პირველ მეოთხედში ფრეს მიაღწიეს, მაგრამ ამის შემდეგ ხანგრძლივი ჩავარდნა დაიწყო - ესპანეთმა მეორე მეოთხედი 22:8 მოიგო, მესამე - 23:15 და გამარჯვებულის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი იყო. ესპანეთის ნაკრებში კვლავ ორი კალათბურთელის გამორჩევა შეიძლება - 34 წლის **ამაია ვალდემორომ** 17 ქულა დააგროვა, **სანჩო ლიტლმა** კი ყველა კომპონენტში გამოიჩინა თავი - 10 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი და 3 ჩაჭრა.

**სატურნირო მდგომარეობა:** ესპანეთი - 3 მოგება/0 წაგება, კორეა - 2/1, ბრაზილია - 1/2, მალი - 0/3.

**D ჯგუფი**

**იაპონია-ჩეხეთი 60:66**
**რუსეთი-არგენტინა 77:59**

ამ ჯგუფში მთავარი მატჩი მეორე ტურში გაიმართა, როცა რუსეთმა ერთი ქულით მოუგო მასპინძელ ჩეხეთს და პირველი ადგილი გაინაღდა. ამ შეხვედრამ ჩეხეთი ისე დაღალა, რომ იაპონიასთან დიდი პრობლემები შეექმნა. საფინალო სირენამდე 4 წუთითა და 21 წამით ადრე, მასპინძლები 9 ქულით იყვნენ წინ, მაგრამ მეტოქეს დაწევის საშუალება მისცეს. იაპონიას ბოლო წუთებზე უფრო ზუსტად რომ ესროლა, შეიძლება მეორე ადგილიდან გასულიყო მეორე ჯგუფურ ეტაპზე.

**სატურნირო მდგომარეობა:** რუსეთი - 3 მოგება/0 წაგება, ჩეხეთი - 2/1, იაპონია - 1/2, არგენტინა - 0/3.

**II ჯგუფური**

**E ჯგუფი**

1. ავსტრალია - 4
2. აშშ - 4
3. საფრანგეთი - 3
4. ბელარუსი - 3
5. საბერძნეთი - 2
6. კანადა - 2

**F ჯგუფი**

1. რუსეთი - 4
2. ესპანეთი - 4
3. ჩეხეთი - 3
4. კორეა - 3
5. ბრაზილია - 2
6. იაპონია - 2

დიდი ტრეიდი მზადდება

# ალენ აივერსონი ბეშიქთაშმა დაპატიჟა



კარმელო ენტონი

უახლოეს დღეებში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, შესაძლოა, მეგატრეიდი განხორციელდეს, რომელშიც ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. გაცვლის მთავარი მოქმედი პირი იქნება „დენვერის" ლიდერი **კარმელო ენტონი.**

თუ ეს ცნობა დადასტურდა, ენტონი „ნიუ ჯერსი ნეტსში" აღმოჩნდება, „დენვერში" გადავა „იუტას" რუსი ფორვარდი **ანდრეი კირილენკო,** თავის მხრივ, „ჯაზმენთა" რიგებს შეავსებს „შარლოტის" ფორვარდი **ბორის დიაო,** ხოლო „ბობკეტსი" „ნიუ ჯერსიდან" მცველ **დევინ ჰარისს** მიიღებს.

გარდა ამისა, „დენვერს" 2010 წლის დრაფტის მესამე ნომერი **დერიკ ფეივორსი** და 2011 და 2012 წლების დრაფტში პირველი რაუნდში არჩევის უფლება ერგება.

რაც შეეხება ენტონის, მისი ტრეიდი „ნეტსში" იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ის „დენვერთან" მიმდინარე კონტრაქტის სამი წლით გახანგრძლივებას დათანხმდება. ამ ხელშეკრულების ღირებულება 65 მილიონ დოლარს შეადგენს.

■ ■ ■

ვეტერან ვარსკვლავს **ალენ აივერსონს** კარიერის გაგრძელების ახალი ვარიანტი გამოუჩნდა. რეგულარული ჩემპიონატის ყოფილ MVP-ს წინადადებით მიმართა თურქეთის „ბეშიქთაშმა".

თურქული პრესის ცნობით, „ბეშიქთაში" აივერსონს წლიური ხელფასის სახით 1.5-2 მილიონ დოლარს სთავაზობს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ალენმა უარი თქვა ერთ-ერთი ჩინური კლუბის 4-მილიონიან კონტრაქტზე.

■ ■ ■

ორი ახალი კალათბურთელი შეიძინა „ნიუ ორლეან ჰორნეტსმა". კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა **ჯანერო პარგოსა და ჰოპს მენსა-ბონსუსთან** კონტრაქტების გაფორმების შესახებ, თუმცა ხელშეკრულების დეტალები უცნობი დარჩა.

პარგომ NBA-ში შვიდი სეზონი გაატარა - მისი სტატისტიკური მონაგარი 6.6 ქულასა და 2.0 შედეგიან პასს უდრის, რაც შეეხება მენსა-ბონსუს, მას მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში თამაშის სამწლიანი სტაჟი აქვს.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტ უორიორზის" მთავარი მწვრთნელი **დონ ნელსონი** უახლოეს დღეებში დატოვებს გუნდს და სავარაუდოდ, კარიერას დაასრულებს.

ჯერჯერობით უცნობია, ვეტერანი მწვრთნელი თავად გადადგება პოსტიდან თუ კლუბის ხელმძღვანელობა მიუთითებს კარისკენ. ნებისმიერ შემთხვევაში კალიფორნიულ კლუბს მოუწევს ნელსონისთვის კონტრაქტის ბოლო წლით გათვალისწინებული 6 მილიონი დოლარის გადახდა.

ამა წლის აპრილში 70 წლის სპეციალისტი ლიგაში გამარჯვებების რაოდენობით NBA-ის რეკორდსმენი გახდა. ახლა მის ანგარიშზე მწვრთნელის რანგში მოპოვებული 1335 მოგებაა, რაც სამით მეტია შინა რეკორდსმენის - **ლენი უილკენსის** მაჩვენებელზე.

„გოლდენ სტეიტის" გარდა, ნელსონს 31-წლიანი კარიერის განმავლობაში „მილუოკიში", „ნიუ იორკსა" და „დალასში" უმუშავია.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ეკვადორი | |
|---|---|
| მაკარა-მანტა | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-ელ ნასიონალი | 0:1 |
| ოლმედო-უნ. კატოლიკა | 1:1 |
| ლდუ კიტო-ესპოლი | 3:0 |
| დეპ. კუენსა-ბარსელონა | 1:0 |

| კოლუმბია | |
|---|---|
| ტოლიმა-კორტულუა | 3:0 |
| ატ. ხუნიორი-ონსე კალდასი | 2:2 |
| მილიონარ.-ამერიკა დე კალი | 2:0 |
| კუკუტა-ინდეპენდიენტე | 1:2 |
| დეპ. კინდიო-ჩიკო | 2:1 |
| დეპ. კალი-ატ. უილა | 0:0 |
| დეპ. პერეირა-ენვიგადო | 1:1 |
| ლა ეკვიდადი-რეალ კარტახენა | 2:1 |

| პარაგვაი. X ტური | |
|---|---|
| ნასიონალი-ტაკუარი | 1:0 |
| 3 დე ფებრერო-ლიბერტადი | 2:1 |
| სოლ დე ამერიკა-ლუკენო | 2:1 |
| სპორტივო-ოლიმპია | 1:2 |

**ფრენბურთი. მს. ჩემპიონატი**

| კაცები | |
|---|---|
| არგენტინა-მექსიკა | 3:1 |
| კუბა-ტუნისი | 3:0 |
| პუერტო რიკო-კამერუნი | 3:0 |
| სერბეთი-კანადა | 1:3 |
| ჩეხეთი-ჩინეთი | 3:1 |
| იაპონია-ირანი | 1:3 |
| ბრაზილია-ესპანეთი | 3:1 |
| იტალია-ეგვიპტე | 3:0 |
| რუსეთი-ავსტრალია | 3:1 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ატლანტი-სპარტაკი | 0:0 ბულ. 1:0 |
| სევერსტალი-ლოკომოტივი | 2:3 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ვენა-ვილახი | 2:1 |
| ზალცბურგი-გრაცი | 5:3 |
| კლაგენფიურტი-ზაგრები | 4:3 |
| ლინცი-ალბა | 3:3 ბულ. 0:1 |
| ოლიმპია-აკრონი | 3:3 დ.დ. 4:3 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-დიუსელდორფი | 3:2 |
| ჰანოვერი-მიუნხენი | 3:3 |
| კიოლნი-იზერლონი | 5:2 |
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 3:2 |
| მანჰაიმი-კრეფელდი | 1:2 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 1:5 |
| მანგლერუდი-ვოლერენგა | 0:3 |
| სტორჰამარი-ფრისკ ასკერი | 2:0 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ბისტრიცა-სლოვანი | 4:3 |
| მარტინი-ნიტრა | 5:3 |
| პოპრადი-ზვოლენი | 5:3 |
| სკალიცა-კოშიცე | 1:3 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 4:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პლზენი-ლიტვინოვი | 6:1 |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 0:2 |
| ტრშინეცი-სპარტა | 5:3 |
| ბრნო-კარლოვი ვარი | 0:7 |
| კლადნო-ბუდეიოვიცე | 0:2 |
| ბოლესლავი-ჟლინი | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბუქარესტი | |
|---|---|
| მონტანიესი-**ჩელა** | 1:6, 3:6 |
| გრანოლერსი-**ანდუხარი** | 6:7, 6:4, 4:6 |
| **ჩელა**-ანდუხარი | 7:5, 6:1 |

| ATP. მეცი | |
|---|---|
| **სიმონი**-კოლშრაიბერი | 6:3, 6:2 |
| გასკე-**ზვერევი** | უარი |
| **სიმონი**-ზვერევი | 6:3, 6:2 |

| WTA. სეული | |
|---|---|
| **კლეიბანოვა**-შავაი | 6:3, 6:2 |
| **ზაკოპალოვა**-პეტროვა | 5:4 უარი |
| **კლეიბანოვა**-ზაკოპალოვა | 6:1, 6:3 |

| WTA. ტაშკენტი | |
|---|---|
| ვესნინა-**კუდრიავცევა** | 4:6, 4:6 |

TV პროგრამა

**27 სექტემბერი. ორშაბათი**

**მზე**

22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვილიარეალი (LIVE).

**I არხი**

22:00 არენა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-სევილია.
08:20 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პარმა.
10:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნასიონალი-კორინთიანსი.
12:00 ახალი ამბები.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ლილი.
14:10 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კალიარი.
15:55 ახალი ამბები.
16:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ლანსი-პსჟ.
18:55 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:50 საერთაშორისო პანორამა.
20:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვილიარეალი (LIVE).
00:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
01:25 საფეხბურთო ღამე.
01:55 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
03:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვილიარეალი.
05:35 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ტოკიო. იაპონია. I დღე (LIVE).
12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ტოკიო. იაპონია. I დღე (LIVE).
15:45 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. იმოლა. იტალია.
16:45 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (+105 კგ). ანტალია. თურქეთი.
18:15 სნუკერი. ბრიტანეთის ღია პირველობა. ფინალი. გლაზგო. შოტლანდია.
20:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები (+105 კგ). ანტალია. თურქეთი.
22:45 მულტისპორტი.
23:15 პრო-რესტლინგი.
00:40 მულტისპორტი.
01:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ფინალი. ტრინიდადი.

კალათბურთი

## ჰოლდენს გული აწუხებს

მოსკოვის ცსკა-ს მცველ **ჯეი არ ჰოლდენს** გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, - წერს არმიელთა კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. ამერიკელი კალათბურთელი ამჟამად ჰიუსტონის კარდიოლოგიურ კლინიკაში იმყოფება, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ არსებობს.

ცსკა უახლოეს დღეებში ელოდება სრული გამოკვლევის შედეგებსა და ამერიკელი ექიმების რეკომენდაციებს.

## ჯექსონი წასვლაზე არ ფიქრობს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** ადრე არაერთხელ განაცხადა, რომ ეს სეზონი ბოლო იქნება მის კარიერაში. თუმცა ახლა NBA-ის ყველაზე ტიტულოვანმა სპეციალისტმა არ გამორიცხა კარიერის გაგრძელება.

*„ჩემი მომავალი კარიერის შესახებ გადაწყვეტილებას ყოველთვის სეზონის დასრულების შემდეგ ვიღებ. ასე ხდებოდა ბოლო სამი წლის განმავლობაში. თუ თავს კარგად ვიგრძნობ, შესაძლოა, დავრჩე „ლეიკერსში" სამუშაოდ. დარწმუნებით არ შემიძლია იმის თქმა, რომ მომდევნო სეზონი ბოლო იქნება NBA-ში",* - განუცხადა ESPN-ს ჯექსონმა.

## სუპერთასი ბარსასია

ესპანეთში საკალათბურთო სეზონი სუპერთასის გათამაშებით გაიხსნა. ეს გახლდათ ოთხთა ტურნირი, რომელმაც ევროლიგის მოქმედი ჩემპიონის - „ბარსელონას" სრული უპირატესობით ჩაიარა. კატალონელებმა ჯერ ნახევარფინალში 34 (!) ქულით მოუგეს პრინციპულ მეტოქეს - მადრიდის „რეალს", ფინალში კი 20 ქულით გაანადგურეს „ვალენსია". სუპერთასის საუკეთესო მოთამაშედ „ბარსას" მცველი **ხუან კარლოს ნავარო** დასახელდა.

**1/2 ფინალი**

**კახა ლაბორალი-ვალენსია 66:67**

კ-ლ: ტელეტოვიჩი (14+8 მოხსნა), ბორაცი (13+10 მოხსნა), სან ემეტერიო (12+11 მოხსნა), უერტასი (10).

ვ: ლიშჩუკი (18), დე კოლო (17), შუნდოვი (14+7 მოხსნა), სავანოვიჩი (10+7 მოხსნა).

**ბარსელონა-რეალი 89:55**

ბ: მორისი (16+3 დაფარება), რუბიო (13+6 მოხსნა), მაიკლი (13), ვასკესი (9+6 მოხსნა).

რ: ტაკერი (15), ფიშერი (10).

**ფინალი**

**ბარსელონა-ვალენსია 83:63**

ბ: ნავარო (22+5 მოხსნა), მაიკლი (17), ნდონგი (13+6 მოხსნა), ბაზილე (12).

ვ: სავანოვიჩი (16+5 მოხსნა), ლიშჩუკი (11+8 მოხსნა), რიჩარდსონი (10), შუნდოვი (9+10 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სერენა პეკინსაც გამოტოვებს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა** კიდევ ერთი ტურნირიდან გამოიტანა განაცხადი. ამერიკელ ჩოგბურთელს, რომელსაც ამ კვირას ტოკიოში უნდა ეთამაშა, პეკინის ტურნირზეც (სტარტი 4 ოქტომბერს) ვერ ვიხილავთ. უიმბლდონის შემდეგ



ორი სერენა

მიღებული ტრავმის გამო სერენა უკვე მეხუთე ტურნირს აკლდება.

*„მართალია, გამოჯანმრთელების პროცესში უკეთესობა შეინიშნება, მაგრამ ჯერ არ შემიძლია კორტზე გასვლა. ამიტომაც გადავწყვიტე ტოკიოსა და პეკინის ტურნირებზე უარის თქმა. იმედი მაქვს, მომავალ წელს არ მომიწევს ამ შესანიშნავი ტურნირების გამოტოვება“,* -ამბობს უმცროსი უილიამსი.

თუმცა სერენას მოსაწყენად არ სცალია. კვირას მას დაბადების დღე მიულოცა მადამ ტიუსოს ვაშინგტონის მუზეუმმა - ჩოგბურთელის ცვილის ფიგურამ საპატიო ადგილი დაიკავა სხვა ექსპონატებს შორის.

ეს ქანდაკება ახალი არ არის, უბრალოდ, ვაშინგტონის მუზეუმმა ის ნიუ იორკის მუზეუმისგან ითხოვა. სამაგიეროდ, ცვილის ფიგურას სამოსი აქვს ახალი - მას ის ფორმა ჩააცვეს, რომლითაც ჩოგბურთელი 2004 წლის ამერიკის ღია პირველობაზე გამოდიოდა.

კრივი

# მენიმ ტრავმა მიიღო

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივემ, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** რამდენიმე დღეა დაიწყო მზადება მექსიკელ **ანტონიო მარგარიტოსთან** ბრძოლისთვის. თავდაპირველად მენიმ კმაყოფილება გამოთქვა თავისი ამჟამინდელი სპორტული ფორმით, მაგრამ ბოლო დღეებში მოულოდნელად მარცხენა ფეხში ტკივილი იგრძნო და ექიმებს მიაშურა. მათ კი მოკრივე საავადმყოფოში გაუშვეს, სადაც ტრავმირებული ფეხი დაწვრილებით გამოიკვლიეს.

*„ექიმმა მითხრა, რომ სერიოზული არაფერია. მცირე სისხლჩაქცევები მაქვს. როგორც ჩანს, ეს ბოლო ვარჯიშის დროს მოხდა“,* - ამბობს მენი.

*„ეს ისეთი ტრავმა არ არის, რის გამოც ბრძოლის გადადება ღირდეს. შევეცდებით ეს პრობლემა რაც შეიძლება მალე მოვაგვაროთ. როგორც ჩანს, უბრალოდ მცირე ჰემატომასთან გვაქვს საქმე, რამაც ტკივილი გამოიწვია. თუმცა ამ ტრავმის მიუხედავად, პაკიაო მაინც კარგად გადაადგილდებოდა რინგზე“,* - ამბობს ფილიპინელის მწვრთნელი **ფრედი როუჩი**.

ამბები

ოლიმპიზმი

## ამერიკა სოკ-ის წინააღმდეგ

ამერიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა არ შეიტანოს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე განაცხადი მანამდე, სანამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ერთობლივი შემოსავლების გაყოფის შესახებ დავა არ გადაწყდება. ამერიკელები უკმაყოფილონი არიან სოკ-ის მიერ შემოსავლების განაწილებით.

ამერიკული ჩინოვნიკების აზრით, ეროვნულმა კომიტეტებმა უფრო მეტი თანხა უნდა მიიღონ საერთაშორისო კომიტეტის სპონსორული კონტრაქტებიდან. გარდა ამისა, ამერიკელები ცალკე ფულს ითხოვენ ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ოლიმპიადების ტრანსლაციისთვის. თავის მხრივ, სოკ-ი თანხების განაწილების ამჟამინდელ სისტემას ოპტიმალურს უწოდებს.

შეგახსენებთ, რომ 1904 წლიდან მოყოლებული, ამერიკის ტერიტორიაზე ოთხოთხჯერ გაიმართა ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადები.

დოპინგი

## საფრანგეთში დოპინგს ახალი თავმჯდომარე შეებრძოლება

საფრანგეთის ანტისადოპინგო სააგენტოს თავმჯდომარე **პიერ ბორდრიმ** თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა.

71 წლის სპეციალისტმა ეს გადაწყვეტილება ასაკის გამო მიიღო. ის მომავალ თვეში დატოვებს პოსტს და ამის შემდეგ გახდება ცნობილი ახალი თავმჯდომარის ვინაობა. ბორდრი დადებითად აფასებს ამ პოსტზე თავისი ხუთწლიანი მოღვაწეობის შედეგებს.

აწ უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ ყოველმხრივი თანამშრომლობა აღუთქვა ამერიკულ მხარეს ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონის **ლენს არმსტრონგის** საქმის გამოძიებაში.

ფორმულა 1

## რენო ალგერსუარით დაინტერესდა

„ტორო როსოს“ პილოტი **ხაიმე ალგერსუარი** „რენოს“ ინტერესთა სფეროში მოხვდა, - წერს გაზეთი AS. ესპანელმა პილოტმა, შესაძლოა, უკვე მომდევნო სეზონში გამოიცვალოს გუნდი. მის კანდიდატურას **ვიტალი პეტროვის** შემცვლელად განიხილავენ, რომელსაც, თავის მხრივ, ჟურნალისტები „ლოტუსში“ უშვებენ.

გაზეთის ცნობით, ფრანგული საჯინიბოს წარმომადგენლებმა უკვე განიხილეს 20 წლის კატალონიელთან შესაძლო თანამშრომლობის საკითხები. როგორც იცით, „რენო“ პეტროვის შეცვლის კიდევ ერთ ვარიანტად 2007 წლის ჩემპიონ **კიმი რაიკონენს** მოიაზრებს.

## ტორო როსო და ზაუბერი იყიდება?

სინგაპურის გრან-პრის დროს სხვა საინტერესო ჭორებიც გავრცელდა. მაგალითად, ამბობენ, რომ „ზაუბერი“, შესაძლოა, მექსიკელმა მაგნატმა **კარლოს სლიმმა** შეიძინოს, რომელიც **ნიკ ჰაიდფელდის** ადგილზე თავის პილოტს - GP2-ის წევრ **სერხიო პერესს** მიიწვევს.

ამავდროულად, შვეიცარიული გამოცემები წერენ, რომ „ტორო როსოს“ მფლობელი **დიტრიხ მატეშიცი** ამ გუნდს გაყიდვას უპირებს. ამ ამბით, შესაძლოა, კანადელი **ჟაკ ვილნევი** და კომპანია „დურანგო“ დაინტერესდნენ.

ფორმულა 1. სინგაპურის გრან-პრი



ალონსო სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა

# სინგაპური ალონსოსია

ტიტულის ხუთი პრეტენდენტი კვალიფიკაციის შემდეგ პირველ ხუთ საფეხურზე განთავსდა. ამასთან, „შესანიშნავი ხუთეულის“ ბოლოში ჩემპიონატის ლიდერი **მარკ უებერი** („რედ ბული“) აღმოჩნდა. შესაბამისად, გულშემატკივარს საინტერესო სტარტის იმედი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა: პოულის მფლობელმა **ფერნანდო ალონსომ** („ფერარი“) შეინარჩუნა ლიდერობა, **სებასტიან ფეტელი** („რედ ბული“) მეორეზე დარჩა, უებერმა კი ვერაფერი მოუხერხა „მაკლარენის“ დუეტს.

არ გაუმართლა „დიდ ცირკში“ დაბრუნებულ **ნიკ ჰაიდფელდს** („ზაუბერი“), რომელმაც „ფორს ინდიას“ პილოტებთან ბრძოლაში წინა ანტიფრთა დააზიანა და ბოქსებში გაეშურა. შორს ვერ წავიდა **ვიტანტონიო ლიუცი** („ფორს ინდია“), რომელმაც მეორე წრეზე შეაჩერა დაზიანებული ბოლიდი, ტრასაზე კი პეისკარი გამოვიდა.

ამ გარემოების გამოყენება გადაწყვიტა უებერმა, რომელმაც სტარტზე ვერ გამოიჩინა თავი და ადრეული პიტსტოპით სცადა სიტუაციის გამოსწორება. ავსტრალიელი მე-11 პოზიციაზე აღმოჩნდა, თუმცა **ტიმო გლოკის** („ვირჯინი“), **კამუი კობაიასისა** („ზაუბერი“) და **მიხაელ შუმახერის** („მერსედეს გრან-პრი“) გასწრებით მალე მერვეზე გადავიდა. შემდეგი „წინაღობა“ **რუბენს ბარიკელო** („უილიამსი“) იყო, რომელსაც მარკმა ვერაფერი მოუხერხა, ლიდერები კი უებერთან სხვაობას ზრდიდნენ და პირველობისთვის ბრძოლის შანსი დაკარგული იყო. სამაგიეროდ, რჩებოდა „მაკლარენის“ დუეტთან პაექრობის შესაძლებლობა.

ლიდერთა კვარტეტიდან პირველი პიტსტოპზე **ლუის ჰემილტონი** („მაკლარენი“) შევიდა და ბარიკელოსა და უებერის წყვილის უკან აღმოჩნდა. ლუისის შემდეგ ერთადერთ პიტსტოპზე გაემართნენ ალონსო და ფეტელი. იმ მომენტისთვის გერმანელი კვალში ედგა ესპანელს, მაგრამ სებასტიანმა ბოქსებიდან „ფერარის“ გასწრება ვერ შეძლო. „რედ ბულის“ მექანიკოსები ოდნავ შეყოვდნენ, თანაც „სკუდერიას“ ტექნიკურმა ჯგუფმა იმუშავა უნაკლოდ.

საინტერესო ბრძოლა ჰქონდათ შუმახერსა და კობაიასის. იაპონელი სტარტიდანვე ავიწროებდა გერმანელს და ბოლოს შეტევა გაბედა - იმ მომენტში, როცა „მერსედესის“ პილოტი წრეზე ჩამორჩენილს ებრძოდა. კობაიასი „ცხვირით“ შეეხო მიხაელის ბოლიდს და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ტრასიდან გადააგდო. საბედნიეროდ, შუმახერმა ბრძოლის გაგრძელება შეძლო, იაპონელმა - ვერა. ერთი წრის შემდეგ კამუიმ ბოლიდი დაამსხვრია და იქვე მას **ბრუნო სენა** (HRT F1) დაეჯახა. ტრასაზე ისევ გამოვიდა უსაფრთხოების მანქანა. **რობერტ კუბიცამ** („რენო“) და ბარიკელომ სასწრაფოდ პირველ პიტსტოპზე შეუხვიეს და უებერი მესამე ადგილზე გადავიდა.

რესტარტისას ფეტელმა ვერ გამოიყენა ალონსოს მცირე შეცდომა, უებერს კი, რომელსაც „მაკლარენის“ დუეტი მისდევდა, ლიდერთა წყვილთან წრეზე ჩამორჩენილი „ვირჯინის“ პილოტები არ უშვებდნენ. ამ ფაქტმა ითამაშა გადამწყვეტი როლი - სანამ მარკი აუტსაიდერებს ასწრებდა, ჰემილტონმა ავსტრალიელზე იერიში მიიტანა. მაგრამ უებერმა უბრძოლველად დანებება არ მოისურვა და საქმე კონტაქტამდე მივიდა. ავსტრალიელი ამ ინციდენტის შემდეგ სუფთად გადარჩა, ჰემილტონის მანქანა კი მწყობრიდან გამოვიდა და ბრიტანელმა ზედიზედ მეორე რბოლა დაასრულა ქულების გარეშე.

იმ მომენტში პელოტონში მეორე ავარიაც მოხდა. მიხაელ შუმახერმა კობაიასისთან შეჯახების გამო მეორე „ზაუბერზე“ იძია შური და ნიკ ჰაიდფელდი ტრასიდან გადააგდო. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ახალი ანტიფრისთვის ბოქსებში გაემართა, მისი თანამემამულისთვის კი რბოლა დასრულებული იყო.

რაც შეეხებათ ლიდერებს, მაღალი ტემპის მიუხედავად, ფეტელი შეტევისთვის საჭირო მანძილზე ვერ მიუახლოვდა ალონსოს. მესამეზე უებერი მიდიოდა, რომელმაც თავიდან აიცილა სასჯელი ჰემილტონთან შეჯახებისთვის (სტიუარდებმა გაარჩიეს ეს ინციდენტი, მაგრამ სანქციები არ გამოუტანიათ). მეოთხე იყო ბატონი - მოქმედ ჩემპიონს შეტევა არც უფიქრია, რადგან საკუთარი თვალით იხილა, როგორ გაუსწორდა ავსტრალიელი ჰემილტონს.

46-ე წრეზე მეექვსე ადგილზე მყოფი კუბიცა მოულოდნელად ბოქსებში შევიდა - პოლონელს საბურავი ჰქონდა დაზიანებული. „რენოს“ პილოტი მე-13 ადგილზე დაბრუნდა ტრასაზე და მაშინვე დაიწყო დაკარგულის ანაზღაურება. მან ერთმანეთის მიყოლებით ექვს (!) პილოტს გაუსწრო და მეშვიდე ადგილზე გადავიდა, რითაც მინიმუმამდე დაიყვანა დაუგეგმავი პიტ-სტოპით გამოწვეული დანაკარგი.

ბოლო წრეზე უსიამოვნო ამბავი შეემთხვა **ჰეიკი კოვალაინენს** - მისი „ლოტუსი“ დაიწვა. ხანძრის ჩაქრობის შიდა სისტემამ არ იმუშავა და ფინელის ბოლიდი მთლიანად ცეცხლში გაეხვია. ჰეიკიმ შეძლო მანქანის ტრასის მიღმა გადაყვანა, კოკპიტიდან ამოვიდა, კომისარს ცეცხლსაქრობი გამოსტაცა და თავად დაიწყო ხანძრის ლიკვიდირება.

ფერნანდო ალონსომ კი ფეტელის ზეწოლის მიუხედავად, შეძლო კარიერაში მეორედ სინგაპურის გრან-პრის მოგება. ამასთან, ესპანელმა „დიდი სლემი“ მოიპოვა. ამ ტიტულს ის პილოტები იღებენ, რომლებიც პოულიდან იღებენ სტარტს, ფინიშამდე არავის უთმობენ პირველობას და თან წრეზე საუკეთესო დროს აჩვენებენ. ბოლოს ასეთი რამ 2004 წელს მიხაელ შუმახერმა შეძლო.

მაშ ასე, სინგაპურის გრან-პრიმ შეუნარჩუნა ჩემპიონატს მთავარი ინტრიგა. ტიტულისთვის ისევ ხუთი პილოტი იბრძვის, ოღონდ ამჯერად ცვლილება მოხდა პირველ სამეულში - ჰემილტონმა მეორე ადგილი დაუთმო ალონსოს, ლიდერი კი კვლავაც უებერია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### სინგაპურის გრან-პრი. XV ეტაპი

სინგაპური (61 წრე, 309.316 კმ)

| | |
|---|---|
| 1(1). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 1:57.53,579 |
| 2(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +0,293 |
| 3(5). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +29,141 |
| 4(4). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +30,384 |
| 5(7). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +49,394 |
| 6(6). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | +56,101 |
| 7(8). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +1:26,559 |
| 8(12). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | +1:52,791 |
| 9(24). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +1:53,297 |
| 10(16). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +2:12,416 |
| 11(13). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 12(16). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 13(9). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 14(14). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 15(20). ლუკას დე გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 2 წრე |
| 16(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 3 წრე |
| 17(18). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 11 წრე |
| 18(15). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანის) | 24 წრე |
| 19(3). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 25 წრე |
| 20(22). კრისტიან კლიენი (HRT F1, ავსტრია) | 29 წრე |
| 21(10). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | 31 წრე |
| 22(23). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 31 წრე |
| 23(21). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 34 წრე |
| 24(17). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | 59 წრე |

### საერთო ჩათვლა

1. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 202 ქულა (4 მოგება); 2. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 191 (4); 3. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 182 (3); 4. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 181 (2); 5. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 177 (2); 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 126; 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 122; 8. **რობერტ კუბიცა** (რენო, პოლონეთი) - 114; 9. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 46; 10. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 46; 11. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 39; 12. **კამუი კობაიაში** (BMW-ზაუბერი, იაპონია) - 21; 13. **ნიკო ჰიულკენბერგი** (უილიამსი, გერმანია) - 20; 14. **ვიტალი პეტროვი** (რენო, რუსეთი) - 19; 15. **ვიტანტონიო ლიუცი** (ფორს ინდია, იტალია) - 13; 16. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 7; 17. **პედრო დე ლა როსა** (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) - 6; 18. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 3.

### კონსტრუქტორთა თასი

1. **რედ ბული** - 383 ქულა; 2. **მაკლარენი** - 359; 3. **ფერარი** - 317; 4. **მერსედესი** - 168; 5. **რენო** - 133; 6. **ფორს ინდია** - 59; 6. **უილიამსი** - 59; 8. **BMW-ზაუბერი** - 27; 7. **ტორო როსო** - 10.